# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა-ორშაბათი. 10-11 სექტემბერი. 2000 წელი.

№245-246 (3647)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 50 თეთრი.


გაერო-2000

## დოკუმენტი — შთამომავლობას

მათ — სხვადასხვა ქვეყნების პრეზიდენტებს, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს შეჰყავთ მსოფლიო მესამე ათასწლეულში.

ეს სამახსოვრო ფოტოსურათი — სახიერი დოკუმენტი შთამომავლობისათვის მათ „საუკუნის სამიტის" გახსნის დღეს, 2000 წლის 6 სექტემბერს გადაიღეს.

სახელმწიფოთა მეთაურები ქვეყნების სახელწოდებათა ლათინური ანბანის თანმიმდევრობით დგანან.

ფოტოსურათი საქინფორმის ფოტოქრონიკამ მოგვაწოდა.

ათასწლეულის სამიტი



# ედუარდ შევარდნაძე: ერთი ადამიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება

ამ დროს თბილისში თენდება, 9 სექტემბრის დილის 5 საათია. თქვენ იტყვით, რომ ატლანტიკის თავზე თბილისის დროით ლაპარაკი, გეოგრაფიული ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ცოტა უხერხულია.

რა მოგახსენოთ?!

ნიუ-იორკის დროით საღამოს 9 საათია 8 სექტემბრის. ევროპაში ეს-ესაა შუაღამეს გადასცდა და ხვალე დაიწყო.

საათების სარტყელთა ამ მრავალგანზომილებიან სივრცეში რომ არ დავიკარგოთ, თბილისის დროზე შევჩერდეთ, რადგან სწორედ საქართველოს აქცენტით ლაპარაკობს XXI საუკუნის მსოფლიოს პრობლემებზე ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ბრიფინგი ჟურნალისტებისათვის ამჯერად თვითმფრინავის პრეზიდენტის სალონში გაიმართა:

— გაამართლა თუ არა გაეროს სამიტმა თავისი მაღალი სახელწოდება „ათასწლეულის სამიტისა"?

— არ შეიძლება ითქვას, რომ არ გაამართლა. ეს მართლაც იყო გარკვეული შეჯამება ყველაფერი იმისა, რაც ამ საუკუნეში, ამ ათასწლეულში გაკეთდა — კაცობრიობამ გაიარა ეს გზა.

მაგრამ მე იმასაც ვერ ვიტყვი, რომ იგი იდეალურ დონეზე იყო მომზადებული — არა ორგანიზაციულად — ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე ისე წარმომედგინა, რომ ათასწლეულის სამიტი უფრო უკეთ მომზადებას მოითხოვდა, სახელმწიფოთა უფრო მეტ მონაწილეობას.

იხ. მე-2-3 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

## ზურაბ ჟვანიამ მიიღო ლეგენდარული მოგზაური

საქართველოს სტუმარია ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი და ლეგენდარული მოგზაური ტურ ჰეიერდალი.

86 წლის მეცნიერის საქართველოში ჩამოსვლა, მისივე თქმით, განაპირობა კავკასიისადმი დიდმა ინტერესმა.

ლეგენდარული მოგზაური 9 სექტემბერს მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ტურ ჰეიერდალის ინტერესი კავკასიისადმი მისი მრავალი წლის სამეცნიერო კვლევის შედეგია. მხცოვანმა მეცნიერმა, რომელმაც თავისი მოგზაურობებითა და აღმოჩენებით მრავალგზის გაოცა მსოფლიო და უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო ისტორიის თანამედროვე გააზრებაზე, წინა დღეს მოხსენება წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. გუშინ კი, პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე, მან ვრცლად ისაუბრა კავკასიის როლზე მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში.

იხ. მე-4 გვ.

გიხაროდენ!

## ხუთში დისწული შემეძინა



ძვირფასო რედაქცია, ამ წერილს ზუგდიდის რაიონიდან გწერთ. თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ. მგონი ერთი წელიწადია, რაც ბავშვების დაბადების შესახებ პირველ გვერდზე პატარა ინფორმაცია-მილოცვებს აქვეყნებთ.

5 სექტემბერს დისწული შემეძინა, ლეილა გავხდი. ჩემს დას ნანა კვარაცხელიას და სიძეს თენგო შანიძეს გოგონა შეეძინათ. პატარას ანეტა დაარქვეს, დიდი ბებიის სახელი. ბებია ამბობს, 2 წლის სიცოცხლე მომემატაო. ზეიმია კვარაცხელიებისა და შანიძეების ოჯახებში, პირველი შვილიშვილის გაჩენის გამო.

შვილის შეძენას ვულოცავ ნანას და თენგოს, ბედნიერებას, სიმრავლეს და ულევ სიხარულს ვუსურვებ.

თეონა კვარაცხელია, ზუგდიდი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 245-246. კვირა-ორშაბათი, 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

## ათასწლეულის სამიტი



# ედუარდ შევარდნაძე: ერთი ადამიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება

(პირველი გვერდიდან)

მაგალითად, რატომ არ უნდა ჰქონოდა საქართველოს საშუალება ორი-სამი წლის განმავლობაში ეფიქრა და ემუშავა ამ საკითხზე? იმიტომ კი არა, რომ ჩვენ განსაკუთრებული ინტელექტის ხალხი ვართ, – ყველა სახელმწიფოს აზრი საინტერესო იყო, განვითარებულის თუ განვითარებადის. ძირითადად, წარმოდგენილი იყო ექსპერტების მიერ შემუშავებული დოკუმენტები. თუმცა, ესეც საინტერესო იყო...

ძირითად დოკუმენტში – გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენებაში ბევრი ძალიან საინტერესო აზრია ჩამოყალიბებული. იგი მიუთითებს, რომ მსოფლიო მართლაც ახალია, კაცობრიობამ მიაღწია პრინციპულად ახალ დონეს. მთავარი დასკვნა, რომელიც კაცობრიობამ გამოიტანა და ამ სამიტზეც გამოიკვეთა, შემდეგია: მდიდრები მუდამ მდიდრები ვერ იქნებიან, თუ მათ გვერდით მილიარდობით ადამიანი იშიმშილებს. იმ ციფრებმა, რომლებიც სამიტზე დაასახელეს, რომლებიც სამიტის დოკუმენტებშია მითითებული (განსაკუთრებით, აფრიკის კონტინენტზე, განვითარებად ქვეყნებში), არ შეიძლება არ შეგზაროს.

**ეს თემა, ეს ტკივილი, უფრო ზუსტად, ეს გლობალური პრობლემა, ედუარდ შევარდნაძეს ათასწლეულის სამიტიდან არ გამოჰყოლია. აქაური „ემოციური ღელვის“ შედეგად არ გაჩენილა.**

**ეს მისი თემაა და მისი ტკივილი – წარსულ დროშიც და ამ ეპოქაშიც: შევარდნაძის გამოსვლებს თუნდაც გაეროში (თუნდაც ეუთოსა და სხვა სამიტებზე და სხვაგან და სხვაგან) წითელ ზოლად გასდევს დაუშმეველი მსოფლიოსკენ მისწრაფების აუცილებლობის თემა.**

**სოციალურად სამართლიანი საზოგადოების აშენება საქართველოს პრეზიდენტის პროგრამის მთავარ ქვაკუთხედთაგანია.**

**მიაქციეთ ყურადღება – არა ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში, არამედ საერთო სამართლიანობის კონტექსტში (სოციალურ სამართლიანობაზე ვამბობ), რომელიც ყველა სხვა შემთხვევაში უტოპიაა. ის, რომ ეს პრობლემა კვლავ წამოიჭრა (და მკვეთრადაც აჟღერდა) სამიტის პლენარულ სხდომებზე (და არა მარტო აქ), ბევრად იყო განპირობებული საკითხის ისტორიით, რომელზეც ეს-ესაა ვისაუბრეთ, და, რა თქმა უნდა, მსოფლიო რეალობით. თანაც, არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ ფორმაში.**

**დავუგდოთ ყური პრეზიდენტს:**

– გადასაჭრელ საკითხად განისაზღვრა ვალების საკითხი, და მეც ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ ვალების ბორკილებისაგან უნდა გავათავისუფლოთ ღარიბი, ღატაკი და განვითარებადი ქვეყნები. ეს უნდა მოხდეს ან ამ საუკუნის დამთავრებამდე ან მომავალი საუკუნის დასაწყისში. უფრო შორს გადაწევა აღარ შეიძლება, რადგან კატასტროფული იქნება ასეთი გაჭიანურება მოვალე ქვეყნებისათვის.

ეს აზრი, სხვათა შორის, ბევრმა გაიმეორა.

ათასწლეულის სამიტზე – მოხსენებაშიც და გამოსვლებშიც – აშკარად იგრძნობოდა, რომ ბოლოს და ბოლოს კაცობრიობამ გაიგო არსებული ვითარების სოციალური სიმწვავე.

კაცობრიობამ გაიგო, რომ დაუშვებელია განათლება, მეცნიერება უმაღლეს დონეზე იყოს ცალკეულ ქვეყნებში. და, ამავე დროს, იყოს მილიარდობით წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი.

ხვალ და ზეგ ასეთ კონტრასტს მსოფლიო ვეღარ მოითმენს.

**მომდევნო შეკითხვა (ჩართული შეკითხვა „ალიასი“) გაეროს რეორგანიზაციას შეეხო.**

**ედუარდ შევარდნაძეს ასეთი რეორგანიზაცია პრინციპულად აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ გაეროს უზარმაზარი, ტრადიციული ბიუროკრატიული ინერცია ყოველგვარ სიახლეს ძნელად მიიღებს.**

– მე უკვე ვთქვი, – **უპასუხა პრეზიდენტმა ამ კითხვას,** – სამიტმა წააგო იმით, რომ არ გაიმართა წინასწარი კონსულტაციები სახელმწიფოთა მეთაურებთან.

მე, მაგალითად, სულ სხვა კუთხით დავაყენებდი ამ საკითხს. 1992 წლიდან დაწყებული (და უფრო ადრეც) ყველა ჩემს გამოსვლაში ხაზს ვუსვამდი გაეროს რეფორმირების აუცილებლობას, უშიშროების საბჭოს გაფართოებას, ვეტოს უფლების შეზღუდვის საკითხებს.

რას ნიშნავს ვეტოს უფლება, განვიხილოთ ერთ კონკრეტულ მაგალითზე: ცოტა ხნის წინათ შემუშავდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მოდელი, განიხილეს უშიშროების საბჭოზე და რუსეთმა მისი მიღებისგან თავი შეიკავა. ეს არის მოდელი, დისკუსიის თემა და რატომ უნდა შეეკავებინა თავი?

ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და იმიტომ. მიმაჩნია, რომ ვეტოს უფლება უნდა შეიზღუდოს. არ შეიძლება ისეთი სამოქმედო რეჟიმის შენარჩუნება, როდესაც ერთ სახელმწიფოს არ სურს, კაცობრიობამ კი შეიძლება ამის გამო ბევრი რამ დაკარგოს. ლაპარაკი უნდა იყოს ახალ უშიშროების საბჭოზე.

ჩემი გამოსვლის დასასრულს გენერალური მდივნის სიტყვები მოვიშველიე: უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი სახანძრო მანქანა, რათა მსოფლიოს ყველა კუთხეში კონფლიქტების ხანძარი ჩანასახშივე ჩააქროს. მე მართლა ბედნიერი ვარ იმით, რომ სამიტზე გაიჟღერა, დოკუმენტებშიც აისახა პოზიცია, რომლითაც სახელმწიფოთა შიგნით არსებული კონფლიქტები მარტო ამ სახელმწიფოთა მოსაგვარებელი არ არის.

რამდენი ხანია, ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში მსოფლიო უნდა ჩაერიოს. სხვა შემთხვევაში, პატარა კონფლიქტი შეიძლება დიდ ხანძრად გადაიქცეს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ ნათქვამია. რამდენი სახანძრო მანქანა მოიძებნება, მოისურვებს თუ არა ყველა სახელმწიფო ჩაერთოს ამ მოძრაობაში, ეს ცალკე საკითხია. უმრავლესობა ჩემი კოლეგებისა, ვისაც გაეროს რეორგანიზაციის საკითხებზე ვესაუბრე, აგრეთვე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები იზიარებენ იმ აზრს, რომ გვჭირდება ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაცია.

**პრეზიდენტი შევარდნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით შეეხო ორპოლუსიანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანად გადაქცევის საკითხს, რომელსაც რუსეთის ყოფილი ხელმძღვანელობა აყენებდა. კრიტიკულად შეეხო: ორპოლუსიანი – ორი პოლუსის დაპირისპირება და კონფლიქტები; მრავალპოლუსიანი – ყველაფერი ეს მრავალგზის გამრავლებული. მისი აზრით, მსოფლიო პროცესები, განსაკუთრებით, უსაფრთხოება – თუნდაც სასურსათო უსაფრთხოება (რომელსაც მან თავის სიტყვაში გაუსვა ხაზი) და კონფლიქტების მოგვარება ინტერნაციონალიზებული უნდა იყოს, ზოგადსაკაცობრიო საქმე, ზოგადსაკაცობრიო ამოცანა უნდა იყოს. ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ტრიბუნებიდან გამოსვლებშიც და პირად საუბრებშიც ეს თემები ფრიად აქტუალურად ჟღერდა, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების წარმომადგენლებისგან, ვისაც ასეთი საფრთხე უშუალოდ ემუქრება.**

– ჩემთვის რომ ეკითხათ და ამ სამიტისთვის მოსამზადებელი მუშაობა ორი-სამი წლის წინათ დაგვეწყო არა ექსპერტების დონეზე, არამედ – სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობით, ეს შეკრება მართლაც ათასწლეულის სამიტი იქნებოდა, ბევრი სენისაგან განკურნავდა კაცობრიობას.

აი, ამის იმედი ჯერ კიდევ არა მაქვს.

ძალიან ჭკვიანური იყო კოფი ანანის მოხსენება, ძალიან მიმზიდველი, შესანიშნავი, იდეალებამდე აყვანილი იდეებით და მათი რეალიზაციის გზებით. მაგრამ ეს გზები ისე ფრთხილად არის ნაჩვენები, რომ არც შესრულდეს, მას ბრალს არავინ დასდებს.

**აი ასეთი გულახდილი (კრიტიკულად გულახდილი) იყო პრეზიდენტის პასუხი „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვაზე – გაამართლა თუ არა ათასწლეულის სამიტმა?**

**შეკითხვას (პრაიმ-ნიუსი) „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტის პერსპექტივის შესახებ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ასე უპასუხა:**

– „დიდი აბრეშუმის გზა“ თავისი პროექტებით, და არა მარტო პროექტებით, ხვალინდელი დღით, მომავლით უკვე კოსმოსში ავიდა: მის განვითარებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით ჩინეთამდე და იაპონიამდე უკვე კოსმოსი დასჭირდა – ლაპარაკია ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

სამიტის ფარგლებში საუბარი იყო იმაზე, რომ უნდა დავძლიოთ ის რადიკალური განსხვავება, რომელიც ინფორმაციული უზრუნველყოფის საქმეში არის მაღალგანვითარებულ ქვეყნებსა და ღარიბ და ჩამორჩენილ ქვეყნებს შორის, უნდა ამოვავსოთ ის უფსკრული, რომელიც მათ შორის არსებობს. სხვა შემთხვევაში, ეს განსხვავება (ისევე, როგორც სიღატაკე), უფრო დიდი კატასტროფის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ის, რაც ჩვენ დღეს დავიწყეთ, არის ძალიან დიდი მოძრაობა – კაცობრიობის მასშტაბის, მსოფლიო მასშტაბის – ინფორმაციის, კოსმოსის სფეროში თანამედროვე მიღწევები დაემორჩილოს იმას, რაც ადამიანს სჭირდება.

**და კვლავ: ვალების პატიების ჭრილში საქართველოსთვის დახმარების პერსპექტივა. ეს თემა ჟურნალისტებს რომ განსაკუთრებით აინტერესებთ, დადასტურდა იმითაც, რომ ბრიფინგის დასაწყისში „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ დასმული ეს შეკითხვა ახლა სხვამ („ალიამ“?) გაიმეორა. ამ თემით ზოგი გაზეთი სპეკულირებს კიდეც (შვილებს და შვილიშვილებს ვუტოვებთ გადასახდელად, ვაკაბალებთ ჩვენს მომავალს და ასე შემდეგ). ერთმა ტელეარხმა ეძება, ეძება და იპოვა ამერიკელი, რომელიც ეკრანიდან ამტკიცებდა, აშშ პრეზიდენტის არჩევნებში ვინც გინდა გაიმარჯვოს, არავინ საქართველოს აღარ დაეხმარებაო, გადაწყვეტით ვიციო.**

**ამ თემას ჩვენი გაზეთი კიდევ დაუბრუნდება ნიუ-იორკში ამერიკელებთან საუბრებით. ახლა კი პრეზიდენტს მოვუსმინოთ:**

– ასამბლეის არც ერთ სხდომაზე ისე მწვავედ არ ჟღერდა ვალების საკითხი, როგორც ახლა. ბევრი რამ ითქვა საინტერესო და გადაწყვეტილებები, მე მგონი, კონკრეტული და პერსპექტიულია. არ შეიძლება ვალებით დაახრჩო საქართველო და არა მარტო საქართველო – მაშინ მთელი აფრიკა, ნახევარი აზია უნდა ამოჟლიტო. ამის აბსურდულობა გაიგო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროპამ. უახლოეს წლებში ვალების პატიების საკითხი უნდა გადაწყდეს. სწორედ ამიტომ ვთქვი მე, რომ ღარიბი, ღატაკი და განვითარებადი ქვეყნები უნდა გავათავისუფლოთ იმ ბორკილებისაგან, რომლებსაც ვალები ჰქვია.

რაც შეეხება ახალ კონკრეტულ დახმარებებს.

ჩემს გამოსვლაში განვაცხადე, რომ ჩვენ არა მარტო გვიჭირს, არამედ იმედგაცრუებაა ხალხშიც და მეც, გარკვეულად, იმედი გამიცრუვდა, რადგან არ შესრულდა ის, რაც ჩვენ ცივი ომის დამთავრების დროს გვქონდა ნაფიქრებული.

დიდად გვიჭერენ მხარს ამერიკელები. დღეს მქონდა შეხვედრა ქალბატონ ოლბრაიტთან, რომელმაც აშშ პრეზიდენტის სახელით გამომცა, შეიძლება არცთუ დიდი თანხა, მაგრამ დამატებით იმისა, რასაც ჩვენ ვიღებთ – 2,5 მილიონი დოლარი. ეს გათვალისწინებული იქნება იმ, ყველაზე გაჭირვებული 900 ათასი ადამიანისათვის მარცვლის, საწვავის შესაძენად, ვინც მოსავალი ვერ მოიწია. ასევე – განვითარების სააგენტო, რომელმაც თითქმის მთლიანად გადაწყვიტა თესლით მომარაგების საკითხი საქართველოში. ასევე – სასურსათო პროგრამა, რომელმაც ათეულ ათასობით გაჭირვებული ოჯახისათვის კიდევ ორი წლით გააგრძელა დახმარების პროგრამა, მანამდე, საქართველო ფეხზე დადგება.

ასეთია ერთი შედეგი ამ სამიტისა.

ადამიანებმა გაიგეს, რომ არ შეიძლება მსოფლიოში იყოს ერთი მართლაც ბედნიერი სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი ღარიბ და უპოვარ სახელმწიფოთა გარემოცვაში.

მე ამოვიკითხე სამიტის დოკუმენტებში, რომლებსაც ჯერჯერობით კანონის ძალა არა აქვს, რომ ერთი ადამიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება.

**ერთი ადამიანის საზრუნავი, კაცობრიობის საზრუნავი ხდება. მიაქციეთ ამას ყურადღება, რადგან ეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და აღიარების ახალ ხარისხში აყვანაა, ანუ – კიდევ უფრო გაფართოება. მაგრამ შევარდნაძის რეალისტური ოპტიმიზმი თავდავიწყებულ უეჭველობას არ ნიშნავს, პირიქით, საკმაოდ ზომიერია და დაეჭვების ელემენტსაც არ უგულებელყოფს:**

იხ. მე-3 გვ.

ათასწლეულის სამიტი

# ედუარდ შევარდნაძე: ერთი ადამიანის საზრუნავი კაცობრიობის საზრუნავი ხდება

(მეორე გვერდიდან)

— თუ ეს მიდგომა არ იქნება რეალიზებული, — თქვა მან, — ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკეთ, შეიძლება ქაღალდზე დარჩეს. გუშინ კლინტონთან მიღებაზე ვიყავი, საერთო მიღებაზე. ცოტა ხანს ზოგიერთ საკითხზე ვისაუბრეთ. თქვენ იცით, რომ მან წერილი მომწერა — აუცილებლად დაგეხმარებით, საქართველოს დავეხმარებიო. წუხელ, როცა როგორც მეგობრები ერთმანეთს დავემშვიდობეთ, მითხრა, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში — რესპუბლიკელები თუ დემოკრატები, აშშ საქართველოს მაინც დაეხმარება, რადგან ამერიკის შეერთებული შტატებისათვის თქვენ იქეცით სტრატეგიულ მოკავშირედ, იმ ქვეყნად, რომლის გარეშე ის უზარმაზარი რეგიონი აღარ წარმოგვიდგენია.

და კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრე ნათქვამი: — სანამ აქა ვარ, გამომიყენეთ.

**— ექნება თუ არა მხარდაჭერა იმ პროექტებს, რომლებიც ახლა ხორციელდება საქართველოში?**

— ჩემის აზრით, არსებობს რეალური შანსი, რომ ყველა პროექტი, რომლებიც ახლა ხორციელდება საქართველოში, ბოლომდე იქნება მიყვანილი. მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რახან ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, მისი ცალკეული ელემენტები სადავო არ გახდება.

ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ბატონ ჰათამისთან. მან შემომთავაზა: ჩვენ დიდი რაოდენობით გვაქვს ნავთობი და კიდევ უფრო მეტი — გაზი. ჩვენ გვინდა, თქვა მან, ჩვენი გაზი და ნავთობი გავიყვანოთ საქართველოს ნავსადგურებისაკენ, შემდეგ — ევროპაში, დაგვიჭერთ თუ არა მხარსო. ესე იგი, ბატონ ნიაზოვის ამასწინანდელ წინადადებას **(ყაზახეთის დიდი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების შესახებ. — ა.ს.)** კონკურენტი გაუჩნდა.

**ასეთ შემთხვევაში საქართველოს უკვე შეუძლია თამაშის თავისი წესები უკარნახოს დაინტერესებულ მხარეებს. წარმოგვედგინათ ასეთი რამ სულ ცოტა ხნის წინათ?**

ალბათ, არა.

და ესეც ერთ-ერთი შედეგია ნიუიორკის სექტემბრის სამიტის.

**სეიდ მუჰამედ ჰათამის შესახებ საუბრისას ედუარდ შევარდნაძემ იგი დაახასიათა როგორც მეტად საინტერესო პიროვნება, რომელიც რეალურად შეებრძოლა ფუნდამენტალიზმს ჯერ მარტო, შემდეგ ახალგაზრდობაც აჰყვა.**

— იუნესკოს ეგიდით გამართულ შეხვედრაზე „ცივილიზაციათა დიალოგი“, სადაც მომხსენებელი ჰათამი იყო, მე ახალი ირანი აღმოვაჩინე, ახალი შეხედულებებით. რა თქმა უნდა, ისლამს ეფუძნება. მაგრამ თუ დიალოგი გვსურს, ისლამში უნდა დავინახოთ ის პროგრესული, რომელიც გარკვეულად არის მასში წარმოდგენილი.

**პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მოწოდებულმა ცნობამ, რომ პრეზიდენტმა ჰათამიმ იგი ირანში მიიწვია, ჟურნალისტებში, განსაკუთრებით, ქალებში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია — ჩვენ თუ წაგვიყვანთო?**

ამაზე ედუარდ შევარდნაძემ უპასუხა, რომ ჰათამის ქალებიც, ვაჟებიც ახლდნენ და შესანიშნავად გამოიყურებიან.

**შეხვდა თუ არა პუტინს შევარდნაძე?**

არა. წინასწარ მოილაპარაკეს, რომ ამ სამიტზე ერთმანეთს არ შეხვდებიან.

**იგორ ივანოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც ეკა ხოფერია („რუსთავი-2“) გაეროს დერეფნებში შემთხვევით გადაეყარა და ინტერვიუ ჩამოართვა, მიაჩნია, რომ ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოსვლის დრამატიზება ხდება.**

**ედუარდ შევარდნაძე კი ფიქრობს, რომ რუსეთის პოლიტიკის ორმაგი და სამმაგი სტანდარტები დსთ ქვეყნების მიმართ და ბიშკეკის ხელშეკრულებიდან მისი გამოსვლა სერიოზული შეცდომაა და, სავსებით შესაძლებელია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დაშლის მიზეზი თუ არა, ბიძგი გახდეს; ნიშანი რომ არის, უეჭველია. ევროპამ მიაღწია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის აბსოლუტურად თავისუფალია გადაადგილება. რუსეთი პირიქით იქცევა და ეს ვერ ჯდება სტრატეგიულ მოკავშირეთა ურთიერთობის მცნებაში, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მოკავშირეობა მარტო დეკლარაციული განცხადება არ არის.**

**მადლენ ოლბრაიტთან საუბრის დროს თუ შეეხნენ იელოვას მოწმეთა საკითხს?**

შეეხნენ. ედუარდ შევარდნაძემ აუხსნა სახელმწიფო მდივანს, რომ იელოველთა შემოსვლა შემოჭრის სახით მოხდა, რამაც შეაშფოთა ეკლესიაც და მართლმადიდებელი მრევლი. ყველა საკითხი რელიგიათა შორის ურთიერთობის, სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის მოგვარდება მაშინ, როდესაც საქართველოს ექნება კანონი რელიგიის შესახებ.

**ხომ არ გადაინაცვლა აქცენტებმა დსთ-დან სუუამისკენ?**

სუუამის ქვეყნების პრეზიდენტების შეხვედრები კიევის მომავალი შეხვედრიდან (ლეონიდ კუჩმას წინადადება) მოყოლებული დამოუკიდებელ ხასიათს მიიღებს და არ მოეწყობა სხვადასხვა სამიტების დროს.

ძალიან საინტერესო, მოვლენითი ფაქტი: რუმინეთის პრეზიდენტმა განუცხადა პრეზიდენტ შევარდნაძეს, რომ მისი ქვეყანა მზად არის შეუერთდეს სუუამის ალიანსს!

მრავალმხრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტია: აქცენტები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ინაცვლებს.

საქართველოს გააქტიურება სუუამის ფარგლებში გარკვეული დემარშიც არის ბიშკეკის ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოსვლის წინააღმდეგ.

**არმაზ სანებლიძე,**
„სრ“ სპეც. კორ.

ნიუ-იორკი — თბილისი.

**სურათებზე:** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ათასწლეულის სამიტის ტრიბუნაზე; ბრიფინგი თვითმფრინავში.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



რეაქცია



# ჩვენი ტყეების დღეები დათვლილია?

შარშანწინ, პარლამენტის სხდომის დროს, როცა საქართველოდან ხეტყის გატანის შესახებ კანონპროექტი იხილებოდა, ავდექი და ვთქვი, აქ ტყის სიბრალულისა ვერაფერი გავიგონე-მეთქი. საქმე ისაა, რომ ჩემი აჭარისთანა მთიანი რეგიონების მოსახლეობა, თვით დასახლებული ადგილები, სოფლები, ტყის მასივების ახლანდელი უმოწყალო ჭრის პირობებში, შეიძლება სულ დაიმეწყროს, ჩამოირეცხოს-მეთქი. სიმართლისათვის და წესრიგიანი დემოკრატიისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი „სახალხოელთა“ ფრაქციის ერთი ყველაზე აქტიური მაშინდელი ორატორი გაჯავრდა, ჩემი ტკივილიანი ნათქვამი არ მოიწონა და მას პოპულისტური უწოდა. გავჩუმდი, გული მეტკინა, მეწყინა.

ვისგანაც გაგებას, მხარდაჭერას და თანაგრძნობა-მოწონებას ველოდი, სწორედ იგი, უამრავი შინაური თუ საერთაშორისო კანონების უსაშველო მოშველიებით, ცდილობდა ტყის ჭრა და ხის მორების უცხოეთში საქართველოდან გაზიდვა, კინაღამ აღიარებულ, ნორმალურ, მისაღებ მოვლენად ჩაეთვალა. მაშინ, მე მგონი, პარლამენტმა რაღაცნაირად ბურუსიანი, ჩახვეულ-ჩაკიჭმაჭებული კანონი მიიღო. იმ კანონმა კი არ შეანელა, ხელი შეუწყო ხე-ტყის უფრო გამალებულ განადგურებას ქვეყანაში.

ახლა თანდათან გართულდა ვითარება. როგორც ბოლო ტელეგადაცემებიდან ჩანდა, თვით იმ ორგანოებს და მათს თავკაცებს, ვისაც პირდაპირ ევალებათ საქართველოს ტყის მოვლა, დაცვა და მომჭირნედ, ყაღრით, მომავლის ჭკვიანური ჭვრეტით ხარჯვა, ბაგეთაგან ღერი სიტყვაც არ გადმოცდენიათ ქართული ტყის მდგომარეობის გამო წუხილის რომ მეტყველი.

გარემოს დაცვისა და რესურსების მინისტრი, კეთილშობილი ქალბატონი ნინო ჩხობაძე სათაცარი გულგრილობით და, არ ვიცი, გაუგებარი ღიმილით უპასუხებდა ტელეკომენტატორს. ოღნავ გაოცებასაც გამოხატავდა. დაცვა ტყისა, არგაშვება ხისა ჩვენი საქმე არ გახლავთო, — აი, დაახლოებით ამ აზრს გამოეარჩეველი მის ნათქვამში.

ხოლო ტყის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეტყობა დიდად გამოცდილი, საქმეში ღრმად ჩახედული ბატონი გივი ჯაფარიძე, სახელმწიფო მოღვაწის აუღელვებელი სიდინჯით, უხსნიდა ტელემაყურებელს, ხე-ტყის ჭრა, გატანა ხდება სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების ნებით, მათი დამოწმებული საბუთებითო და სხვა.

მე არ ვკამათობ, ალბათ, ასეც არის. მე გული მტკივა.

რა შემაშფოთებელი სურათი ვნახეთ, როცა აგერ, თბილისის უბეში, წყნეთში, ტყეს შეესივნენ ფულიანი ძალოვანები, ვისზეც ჩვენი და ჩვენი მარჩენალი ბუნების ბედია მინდობილი! სროლაც კი გაისმა და ცულის ხმას ვიღა შეაჩერებდა.

ერთი სიტყვით, ქართული ტყეების დღეები დათვლილია. ლამის დღე გადის და გადის გარეთ ჩვენი სახალხო დოვლათი, ჩვენი ჰაერის, ჩვენი წყლის, ჩვენი რელიეფის შემნახავი და მასაზრდოებელი. ბუნების ჯადო — ხეტყე.

ჩემს ხმასა და ტკივილს შევუერთებ სხვა პატიოსან მამულიშვილთა აღშფოთებულ ოხვრას.

**ფრიდონ ხალვაში.**

გადიან!

## ნოვოროსიისკის მახლობლად დაიწყო საქართველოდან გატანილი რუსეთის სამხედრო ტექნიკის გადმოტვირთვა

ნოვოროსიისკის მახლობლად მდებარე მალი უტრიშის კონცხის მიდამოებში 9 სექტემბერს დაიწყო რუსეთის სამხედრო ტექნიკის მეორე პარტიის გადმოტვირთვა, რომელიც რუსეთის ფედერაციის შავი ზღვის ფლოტის დიდმა სადესანტო ხომალდებმა ჩამოიტანეს ბათუმიდან. რუსეთის სამმა ხომალდმა ჩამოიტანა 10 ტანკი, 19 ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა და 32 ერთეული სპეციალური ტექნიკა და ავტომანქანა, რომლებიც წინათ განლაგებული იყო რუსეთის ჯარების ვაზიანის ბაზაში, აგრეთვე, 29 ერთეული სპეციალური ტექნიკა — რუსეთის ჯარების ბათუმის სამხედრო ბაზიდან.

ტექნიკის გატანა ხდება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. მიმდინარე წლის დამლევამდე საქართველოდან რუსეთში გაიტანენ კიდევ 134 ერთეულ რუსეთის სამხედრო ტექნიკას.

**საქინფორმი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 245-246. კვირა-ორშაბათი, 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# ზურაბ ჟვანიამ მიიღო ლეგენდარული მოგზაური

(პირველი გვერდიდან)

ზურაბ ჟვანიამ მადლობა გადაუხადა სტუმარს საინტერესო საუბრისათვის და აღნიშნა, რომ სტუმრობა ადამიანისა, რომლის ლეგენდარულმა მოგზაურობებმა „კონტიკსა" და „რაზე", აგრეთვე, მის მიერ დაწერილმა წიგნებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მარტო მეცნიერებაზე, არამედ მრავალი თაობის ცნობიერებაზეც, საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული მოვლენაა და ქვეყნის ხელისუფლება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მის საქმიანობას საქართველოში.

შეხვედრის დასასრულ დოქტორმა ტურ ჰეიერდალმა ჩანაწერი გააკეთა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში. ეს არის წიგნში პირველი არაოფიციალური პირის ჩანაწერი.

შეხვედრის შემდეგ მეცნიერმა საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა:

– გული მწყდება, რომ ჩემი ხანმოკლე ვიზიტის დროს თქვენს მშვენიერ ქვეყანაში საშუალება არ მაქვს გავეცნო საქართველოში დაცულ ხელნაწერებს და ისტორიულ მასალებს, რომლებიც მრავალი ისტორიული საიდუმლოს პასუხს შეიცავენ.

დოქტორი ჰეიერდალი აცხადებს, რომ ლინგვისტური და ანთროპოლოგიური კვლევის შედეგად მას ჩამოუყალიბდა ჰიპოთეზა კავკასიური რასისა და ჩრდილოელი ვიკინგების, ზოგადად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ურთიერთობაზე. ამასთან დაკავშირებით კვლევა-ძიება, აგრეთვე კავკასიისა და ჩინეთის ისტორიული განვითარების საკითხები დოქტორ ჰეიერდალის კვლევის მთავარი თემაა და ამ მიზნით 86 წლის ლეგენდარული მოგზაური საქართველოში გეგმავს სამეცნიერო პროექტის განხორციელებას.

**საქინფორმი.**

## სახელმწიფო მინისტრი

# „ტურ ჰეიერდალმა უჩვენა მსოფლიოს, რომ ადამიანთა შესაძლებლობანი განუსაზღვრელია"



მხცოვანი ნორვეგიელი მეცნიერი და არქეოლოგი, 86 წლის ტურ ჰეიერდალი – მეოცე საუკუნის ცოცხალი ლეგენდა, ადამიანი, რომელმაც პირველმა ტივით „კონტიკით" სამხრეთ ამერიკიდან პოლინეზიის კუნძულებამდე გასცურა, ხოლო პაპირუსის ნავით „რა" ორჯზის იმოგზაურა ჩრდილოეთ აფრიკიდან ამერიკის კონტინენტამდე. მეცნიერი სადღეისოდ ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის ნორვეგია-კავკასიის ურთიერთობას, კერძოდ, ძველი კავკასიის ალბანეთის მოსახლეობისა და კულტურის საკითხებს იკვლევს.

კავკასიის რეგიონში მოგზაურობის ფარგლებში, ტურ ჰეიერდალი მეუღლესთან ერთად აზერბაიჯანიდან საქართველოს ორი დღით ეწვია 8 სექტემბერს . როგორც მეცნიერმა 9 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გიორგი არსენიშვილთან შეხვედრისას განაცხადა, იგი უკვე სრულიად დარწმუნებულია, რომ ჩრდილოეთ ნორდიკული და კავკასიური ერები მონათესავენი არიან. არგუმენტად მან დაასახელა ამჟამად სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, თანამედროვე აზერბაიჯანში – სოფელ გიშში (მისი ისტორიული საზღვარი აღმოსავლეთ კახეთის ნაწილს ეკუთვნოდა) წარმოებული არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც ნათელი მოჰფინა ვიკინგთა მიგრაციას სამხრეთ კავკასიაში ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულში.

პირველად გამოჩენილი ნორვეგიელი მეცნიერი საქართველოს 1962 წელს ეწვია. იგი მაშინ ძველი წელთაღრიცხვის მეორე და მესამე ათასწლეულებისა და ქრისტეს დაბადებიდან პირველი-მეორე ასწლეულების კავკასიის ცივილიზაციით იყო დაინტერესებული. მეცნიერის თქმით, მაშინ იგი დარწმუნდა, რომ სწორედ ამ რეგიონში ჩაისახა ცივილიზაცია, რომელიც გაცილებით უსწრებს წინ ევროპულს.

ტურ ჰეიერდალის ახალი თეორიით, ვიკინგები ამ მხარეს ქრისტეს დაბადებიდან პირველ ათასწლეულში ესტუმრნენ. იგი დარწმუნებულია, რომ მათ გაიმეორეს თავიანთ წინაპართა გზა. უძველეს დროში განვითარებული სამდინარო ნავიგაცია ევროპის მრავალ ხალხს აკავშირებდა ერთმანეთთან. მეცნიერის თქმით, მაშინ ევროპის ჩრდილოეთი ნაწილი დაფარული იყო ყინულით და როდესაც მან დნობა დაიწყო, სამხრეთიდან იქ სწორედ მაშინ ჩასახლდა ხალხი. – ამ თეორიას ამართლებს მეცამეტე საუკუნის ნორვეგიის წერილობითი დოკუმენტი, იმის თაობაზე, რომ ჩვენი წინაპრები სამხრეთ კავკასიიდან მოვიდნენ. ჩვენ გვჯერა, რომ ნორვეგიელები კავკასიურ რასას განეკუთვნებიან, – განაცხადა მეცნიერმა.

ტურ ჰეიერდალის ახალი თეორიების თანახმად, წინაქრისტიანულ ალბანელ და სკანდინაველ ხალხთა შორის მონათესავე მსოფლმხედველობისა და კულტურის ნიშნები გამოიკვეთება. იგი დამაჯერებლად ასაბუთებს სკანდინაველთა საზღვაო ლაშქრობების მიმართულებას კავკასიისაკენ. და, მართლაც, ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია ლიპარტ ბაღვაშსა და ბაგრატ მეოთხეს შორის ბრძოლაში სამი ათასი ვარიაგის მონაწილეობის ამბავი. ნორვეგიულ წყაროებშიც ნათლად არის აღწერილი, რომ მდინარე დონიდან სამხრეთ კავკასიისაკენ მიმავალ ვიკინგთა ნაკვალევს მკვლევარები ა[illegible]ასისა და ვანთა სამეფოების არს[illegible]ბობამდე მიჰყავს. ასების სამეფოს [illegible]აზღვრები კი დღევანდელი თურქეთ[illegible] ტერიტორიამდე იყო გადაჭიმული. ჰეიერდალის აზრით, ნორვეგიელ ვიკინგთა სკანდინავიის ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში მიგრაციის ერთ-ერთი საკვანძო გზა როსტოვი იყო, სადაც ნორვეგიელი მეცნიერი თბილისიდან აპირებს ჩასვლას.

– ტურ ჰეიერდალმა უჩვენა მსოფლიოს მრავალ ხალხს, რომ ადამიანთა შესაძლებლობანი განუსაზღვრელია, თუკი საყვარელი საქმის კეთების ჭეშმარიტი სურვილი და ინტერესი გამოძრავებს. მან ერთი მოგზაურობისას მრავალი „ჯომოლუნგმა" დაიპყრო და დაამტკიცა, რომ ადამიანი ძლიერია და მას ბევრის გაკეთება შეუძლია, – განაცხადა გიორგი არსენიშვილმა. სახელმწიფო მინისტრმა ლეგენდარულ მეცნიერსა და არქეოლოგს მდინარე ალაზნის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი, 24 საუკუნის წინანდელი ერთ-ერთი ცნობილი – ოქროს ლომის ფიგურის ორიგინალიდან შესრულებული ვერცხლის ასლი გადასცა საჩუქრად. – ლომი – ძლიერების სიმბოლო – სწორედ თქვენი საქმიანობის სადარია, – დასძინა სახელმწიფო მინისტრმა. – მსურს გადავცე ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით საუკეთესო სურვილები და გულითადი მოკითხვა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პიროვნებას, რომელსაც გამორჩეულად ვცემ პატივს მსოფლიოს სახელოვან პოლიტიკოსთა შორის, – განაცხადა შეხვედრის დასასრულ ტურ ჰეიერდალმა. ახლო მომავალში ნორვეგიელი მეცნიერი და მისი მეუღლე სახელმწიფო მინისტრის მოწვევით საქართველოს კვლავ ესტუმრებიან.

**ნინო გაბრიაძე,**
**საქინფორმის კორ.**

## პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის და ანაზღაურების რეგულირება

საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის საწყის ეტაპზევე დამუშავდა პროფესორ-მასწავლებელთა გეგმური სასწავლო დატვირთვის მოცულობისა და საკონტრაქტო წესით ანაზღაურების გაანგარიშების ინსტრუქცია და სასწავლო დატვირთვის გაანგარიშების ახალი ნორმები. ეს სიახლეები გამიზნულია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ინტელექტუალური პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენებისათვის და შემდეგში მდგომარეობს: გაიმიჯნა სავალდებულო დატვირთვა იმ სასწავლო მუშაობისაგან, რომელიც სრულდება პედაგოგთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე და ანაზღაურდება საათობრივად ფაქტობრივი შესრულების მიხედვით. სავალდებულო დატვირთვა პროფესორის (მეცნიერებათა დოქტორისათვის) განისაზღვრა 350 ასტრონომიული საათის ოდენობით სასწავლო წლის განმავლობაში, დოცენტის (მეცნიერებათა კანდიდატისათვის) – 400 საათის ოდენობით. ამასთანავე, აუცილებელი სალექციო-სააუდიტორიო დატვირთვა ისე იგეგმება, რომ პროფესორი კვირის განმავლობაში სულ ცოტა სამჯერ შევიდეს აუდიტორიაში, დოცენტი კი ოთხჯერ, თანაც განურჩევლად იმისა, საბიუჯეტო სექტორის სტუდენტებთან ტარდება მეცადინეობა თუ არასაბიუჯეტოსთან. სავალდებულო დატვირთვის შესრულება ანაზღაურდება საბიუჯეტო ტარიფებით.

პროფესორ-მასწავლებელთა სტიმულირების მიზნით ერთი სასწავლო წლის ვადით დავუშვით შიდა საუნივერსიტეტო შეთავსება 0,25; 0,5; 0,75 ან 1,0 დროებით განაკვეთზე. ამ შემთხვევაში ანაზღაურება ხდება სპეციალური ტარიფის მიხედვით, რომელიც არსებითად სჭარბობს საბიუჯეტოსას და ანაზღაურდება არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტთა შემონატანებიდან. ამ ღონისძიებამ, შეიძლება ითქვას, საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა უნივერსიტეტის პედაგოგიური კოლექტივის ეკონომიკური მდგომარეობა და გააძლიერა პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობა.

არასაბიუჯეტო სექტორიდან შემოსული თანხების ოპტიმალური განაწილების გზით ხერხდება პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურების განუხრელი ზრდა. კერძოდ, მიმდინარე წელს შესაძლებელი გახდა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების 20 პროცენტით გაზრდა.

1995 წლიდან უნივერსიტეტში კათედრების პედაგოგთა ახალი საშტატო ერთეულების გამოყოფა ხდება საკონტრაქტო პრინციპის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როცა „თსუ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვის მოცულობის და საკონტრაქტო წესით ანაზღაურების გაანგარიშების ინსტრუქციის" მოთხოვნათა შესრულების შემდეგ კათედრას კიდევ რჩება გაუნაწილებელი საათები, მას შეუძლია აღძრას საკითხი ახალი პედაგოგის მოწვევის თაობაზე. ამ შემთხვევაში პედაგოგთან ფორმდება ე. წ. A – კონტრაქტი, რომელიც გულისხმობს ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად განახლებადი ხელშეკრულების გაფორმებას.

თვით კათედრის ძირითადი შტატის ყველა პედაგოგის სავალდებულო დატვირთვის შემდეგ დარჩენილი საათების ჩასატარებლად კათედრისავე წევრების მოწვევა ფორმდება 10-თვიანი B კონტრაქტით, ასევე 10-თვიანი, ოღონდ C კონტრაქტით ხდება გარეშე პირთა მოწვევა ხსენებული ინსტრუქციის შესაბამისად. სამივე – A, B და C კონტრაქტი პედაგოგს ავალდებულებს კათედრაზე სამეცნიერო თემის შესრულებაში ან სასწავლო-მეთოდურ მუშაობაში მონაწილეობას.

უნივერსიტეტში სასწავლო მუშაობის ხარისხის ამაღლება, ცხადია, განსაკუთრებით უწყობს ხელს ჩვენი პროფესორების, დოცენტების, მეცნიერ-თანამშრომლების, მონაწილეობა სიმპოზიუმებში, კონფერენციებისა და ერთობლივ პროექტებში. მიუხედავად უკანასკნელი წლების მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, სხვადასხვა ფონდების მეშვეობით ძირითადად მაინც ხერხდება მათი მივლინებების დაფინანსება. ჩვენ აღრიცხული გვაქვს თითოეული უნივერსიტეტელი მეცნიერის მიერ მიღწეული წარმატება და აღიარება. მოვითხოვთ კიდეც თითოეულმა მათგანმა გააკეთოს სათანადო ანგარიში კათედრების თუ ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

ხშირია უნივერსიტეტის პედაგოგების საზღვარგარეთის უნივერსიტეტში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით და ლექციების წასაკითხად მიწვევაც.

გამოვყოფდით ორ ახალგაზრდა ქართველ მათემატიკოსს – ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის პროფესორებს როსტომ გეწაძეს და ამირან ამბროლაძეს. ამირან ამბროლაძე შვეციაში ლუნდის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და ორჯერ იქნა აღიარებული წლის საუკეთესო ლექტორად, ხოლო როსტომ გეწაძე შვეციის უმეოს უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. ამ უნივერსიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე ამჟამად აშშ-ში, სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტში გადავიდა.

უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრის კურსდამთავრებულმა ავთანდილ გოგიჩაიშვილმა ასპირანტურის კურსი პალეომაგნეტიზმის მიმართულებით განაგრძო საფრანგეთის ქ. მონპელიეს მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტში, სადაც მან წარმატებით დაიცვა DEA (გაღრმავებული სწავლების დიპლომი) და შემდგომ კი იმავე უნივერსიტეტის რეკომენდაციით პროფ. მიშელ პრევოს წარდგენით 1995 წელს მას საფრანგეთის განათლების სამინისტროს გამოუყო სტიპენდია დოქტორანტურისათვის. 1999 წელს ა. გოგიჩაიშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მონპელიეს უნივერსიტეტის სპეციალური ჟიურის წინაშე დედამიწის მაგნეტიზმის პრობლემებზე, რის შემდეგაც იგი მოიწვიეს მეხიკოს უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც ამჟამად განაგრძობს მოღვაწეობას.

ასევე დიდი წარმატებაა უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორის, პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიატის რამაზ ბოჭორიშვილის მიერ ირენ და პიერ ჟოლიო-კიურების სახელობის გრანტის მოპოვება. მან საფრანგეთის ინფორმატიკისა და ავტომატიკის ეროვნულ ინსტიტუტში ერთი წელი ნაყოფიერად იმუშავა.

### სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირება, სწავლება და სტიმულირება

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება მისაღები გამოცდების მეთოდიკის სრულყოფის მიზნით. უნივერსიტეტში ამოქმედდა მძლავრი მოსამზადებელი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომ ფასებში ამზადებს ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო დისციპლინებში. მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისათვის შეიქმნა ერთიანი ტესტირებული გამოცდების ჩატარების სისტემა არასაბიუჯეტო სექტორისათვის, ამ მიზნით დამუშავდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა. გარკვეული ცვლილებებია შეტანილი ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდების მეთოდიკაში საბიუჯეტო სექტორის სტუდენტებისათვის. იმ ფაკულტეტებს (მექანიკა-მათემატიკის,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 244.

## უმაღლესი სკოლა

# საუნივერსიტეტო განათლების რეფორმა: აუცილებლობა, კონცეფცია, რეალიზაცია

გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის), რომელნიც ბოლო წლების განმავლობაში კონტინგენტის ქრონიკულ დეფიციტს განიცდიან, მიეცათ სპეციალობების დასაკომპლექტებლად აბიტურიენტთა მოზიდვის ახალი ფორმების დანერგვის შესაძლებლობა: დაწყებული რაიონებში გასვლიდან, დამთავრებული სპეციალური მოსამზადებელი განყოფილებების გახსნით.

უმაღლესი სკოლის უპირველესი ამოცანა სწავლების ხარისხის ამაღლება, სტუდენტების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის აღჭურვა იყო, არის და იქნება. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი გზა საშუალედო შემოწმების – კოლოკვიუმების და საკონტროლო წერების – როლისა და მნიშვნელობის ამაღლებაა. სტუდენტთა მიერ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამული მასალის საფუძვლიანად შესწავლის, მათი დროის ბიუჯეტის რაციონალურად გამოყენების და სისტემატური მუშაობის მოტივაციის გაძლიერების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საშუალედო შემოწმებების ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებას.

ეს საკითხი მუდმივი ზრუნვის საგანია. ამ მიზნით გავატარეთ კიდეც გადამჭრელი ღონისძიებები. საშუალედო შემოწმების შედეგების მიხედვით, უკვე პირველი ეტაპის შემდეგ, დაახლოებით შუა სემესტრში, აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტები შეიძლება დავტოვოთ კურსზე ან გავრიცხოთ კიდეც სტუდენტთა რიგებიდან.

სასწავლო პროცესის სათანადო გეგმა-პროგრამით წარმართვა არის უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქცია. კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო აქტივობა და მიღწევები კი ამ ძირითადი ფუნქციის მაღალ დონეზე წარმართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, სასწავლო პროცესის მონაწილე მეორე მხარის – სტუდენტის მოტივირებული და აქტიური პოზიცია, პროფესიის დაუფლებისადმი, საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ღირებულებისადმი მისი ნათელი, დადებითი დამოკიდებულება, და ჩვევად დამკვიდრებული, პირადი პასუხისმგებლობის შეგნებით წარმართული, შემოქმედებითი აქტივობა. ამ მიზნისათვის კი, სასწავლო პროცესის სიმწყობრესთან ერთად, უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა მისწრაფების წახალისება, წარმართვა და განვითარება. უნივერსიტეტმა თამამი ნაბიჯი გადადგა და ახალგაზრდობას ხელი შეუწყო დამოუკიდებელ ორგანიზაციად გაფორმებულიყო. ასე შეიქმნა „სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი“.

„სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი“ მოქმედებს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ კანონიერ სამართლებრივ საფუძველზე, როგორც არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ვიმედოვნებთ, რომ იგი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, მით უმეტეს, რომ მისი საქმიანობა ფინანსური თვალსაზრისითაც დამოუკიდებელია და ამდენად ახალგაზრდობას თავისუფალი ეკონომიკის პირობებში საქმიანობისათვისაც ამზადებს, აჩვევს მომჭირნეობას, ყაირათიანობას, პრობლემისადმი პრაგმატულ მიდგომას.



ახალ სისტემაზე გადასვლიდან განვლილი 6 წლის შედეგების ანალიზით ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსალოდნელი ეფექტი მიღწეულია. ბაკალავრიატში არსებითად გაძლიერდა სწავლის და კვლევითი მუშაობის მოტივაცია. ამას ადასტურებს ყოველ საგამოცდო სესიაზე წარჩინებული სტუდენტების 20-25 პროცენტის რაოდენობა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების რაოდენობის და ხარისხის ზრდა. ყოველწლიურად სტუდენტთა სამეცნიერო შრომების რესპუბლიკურ კონკურსზე პრემიების ნახევარი მაინც უნივერსიტეტელების წილად მოდის.

შარშან ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთა შორის 4 იყო პრეზიდენტის სტიპენდიატი, 75 – სახელობითი სტიპენდიატი, 99 – სოროსის სტიპენდიატი, 1561 კი იღებდა ფრიადოსნის სტიპენდიას. მაგისტრანტთა შორის 29 იყო სახელობითი სტიპენდიატი, 669 კი იღებდა ფრიადოსნის სტიპენდიას.

აქვე, გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს 2000 წლის ბიუჯეტის სეკვესტრირებას სტუდენტთა სტიპენდიებიც შეეწირა. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ თავის 4 სექტემბრის სხდომაზე იმსჯელა ამის შესახებ და მიიჩნია, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა, ეს ნაბიჯი ყოვლად გაუმართლებელია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ხელისუფლება გამონახავს საშუალებას, რათა მიმდინარე სასწავლო წელს უნივერსიტეტს აღუდგეს სასტიპენდიო ფონდი.

### სასწავლო ლიტერატურის გამოცემა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმძღვანელოებისა და საუნივერსიტეტო დოკუმენტაციის ოპერატიულად მომზადებისა და პუბლიკაციის მიზნით შეიქმნა სარედაქციო-საპუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური, რომელიც აღჭურვილია სათანადო აპარატურით და მზადაა სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ინფორმაციის ოპერატიული პუბლიკაციისათვის.

თანამედროვე ქართული უმაღლესი სკოლისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ქართულ ენაზე სტუდენტთათვის განკუთვნილი თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა. ამ მიმართულებით მუშაობის სტიმულირებისათვის 1996 წელს შეიქმნა სპეციალური პროგრამა „სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის“, რომლის რეალიზაციისათვის გამოიყო საწყისი თანხა, 30000 ლარი. რექტორის სპეციალური ბრძანებით განსაზღვრულია სახელმძღვანელოთა მომზადების, ავტორთა მატერიალური სტიმულირების, სახელმძღვანელოთა ოპერატიულად გამოცემის ყველა ძირითადი საკითხი. ამ პროგრამამ უნივერსიტეტში დიდი ინტერესი გამოიწვია.

თსუ გამომცემლობის და აღნიშნული სამსახურის თავდადებული მუშაობის წყალობით გამოცემულია 50-ზე მეტი სახელმძღვანელო, 100-ზე მეტი სალექციო კურსი, 20-მდე დამხმარე სახელმძღვანელო, 700-მდე პროგრამა, 50-ზე მეტი მეთოდური მითითება.

### სტრუქტურული ცვლილებები

დამოუკიდებელი საქართველოსათვის მაღალი რანგის სპეციალისტების აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაწყვეტად სწავლების ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლამ აუცილებელი გახადა მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები.

მოხდა ზოგიერთი ფაკულტეტის პროფილის დაზუსტება, შეიქმნა ახალი კათედრები და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები, გაუქმდა ან სხვა კათედრასთან გაერთიანდა რამდენიმე კათედრა, შემოღებულ იქნა ახალი სპეციალობები და ა. შ.

1997 წელს შეიქმნა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. იგი სრულიად ახალი ტიპის სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის წიაღში ახორციელებს შესაბამისი დარგისათვის სწავლების, კვლევის, ინფორმაციულ-საძიებო და საგამომცემლო საქმიანობის სრულ ციკლს.

უნივერსიტეტში მათემატიკური მოდელირების სწავლების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვის მიზნით 1996 წელს ეგმ-ის მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრასთან არსებული ინფორმატიკის ცენტრი გარდაიქმნა მათემატიკური მოდელირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. იგი წარმატებით უძღვება მაგისტრატურაში მათემატიკური მოდელირების სწავლებას სხვადასხვა სპეციალობისათვის, ამუშავებს სასწავლო პროცესის მათემატიკური მოდელირების საკითხებს და ახდენს მათ კომპიუტერულ რეალიზაციას სხვადასხვა საინფორმაციო-საძიებო სისტემების სახით, იკვლევს უწყვეტი გარემოს მექანიკის არაწრფივ ამოცანებს.

1998 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (აშშ) პარტნიორობით ჩამოყალიბდა კავკასიის ბიზნესის სკოლა. ამ სკოლის პირველი მაგისტრანტები ა. წ. აპრილიდან შეუდგნენ სწავლას, სექტემბრიდან კი სწავლა დაიწყება ბაკალავრიატშიც. ამ სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს გადასვლას გეგმურიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ბიზნესმენთა ახალი თაობის აღზრდის გზით.

კიბერნეტიკის და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი გარდაიქმნა გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტად (1994 წ.), კომერციის ფაკულტეტი – კომერციისა და მარკეტინგის (1996 წ.), საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი – მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის (1997 წ.) ფაკულტეტად.

გაიხსნა კათედრები: საქართველოს გეოგრაფიის, ესპანური ფილოლოგიის, ქრისტიანული კულტურის და სიტყვიერების, რადიოლოგიის, უროლოგიის, ქირურგიის, მეანგინეკოლოგიის, პედიატრიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პათანატომიის და სხვ.

გაუქმდა პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის კათედრა.

რეორგანიზებულ იქნა რამდენიმე კათედრა. აი, ისინიც: გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრების ბაზაზე ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ფაკულტეტთშორისი კათედრა; უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა გაერთიანდა მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრასთან და ეწოდა მას უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიისა და მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის კათედრა; ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ადამიანის ანატომიის კათედრას შეეცვალა დასახელება და ეწოდა – ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და განვითარების ბიოლოგიის კათედრა; საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ დარგში მათემატიკური მეთოდების გამოყენების კათედრას შეეცვალა დასახელება და ეწოდა – გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა; გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრას ეწოდა მინერალოგია-პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა; იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრას ეწოდა – სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრა. ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის კათედრა გაიყო ორ დამოუკიდებელ – ნევროლოგიურ და ნეიროქირურგიულ და ფსიქიატრიის კათედრებად.

შემოღებულია ახალი სპეციალობები:

ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტზე – ბიოფარმაკოლოგია, სამედიცინო დაზღვევა, ბიოლოგიური ექსპერტიზა, იხტიოლოგია;

ქიმიის ფაკულტეტზე – ქიმიური ექსპერტიზა, ქიმიური ტოქსიკოლოგია, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ქიმია;

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე – კულტუროლოგია;

ისტორიის ფაკულტეტზე – ისტორიულ კულტუროლოგია;

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე – საბაჟო საქმიანობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი;

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე – იტალიური ენა და ლიტერატურა; ესპანური ენა და ლიტერატურა;

ფიზიკის ფაკულტეტზე – ბიოპოლიმერების ფიზიკა და სამედიცინო დიაგნოსტიკის ფიზიკური საფუძვლები;

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე – სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში, სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში, საკურორტო-სასტუმრო კომპლექსებისა და საერთაშორისო ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი;

ფილოლოგიის ფაკულტეტზე – რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე დამატებით შეისწავლიან სლავურ და აღმოსავლურ ენებს.

ახალი საბაზრო ურთიერთობების შინაარსმა, მეცნიერული აზროვნების „გალაწყობამ“ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესისა და მენეჯმენტის სიახლეების კვალდაკვალ, შესაბამისი ტერმინოლოგია მოითხოვა. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობისა და ტექნოლოგიების კათედრას ეწოდა სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობის, სერტიფიკაციისა და კომერციის კათედრა.

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე შემოღებულია ახალი სპეციალობები: სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა, მენეჯმენტი, პერსონალის მართვა.

მთელ რიგ სპეციალობებზე გაიხსნა უცხოენოვანი განყოფილებები.

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და გიმნაზია-ლიცეუმების პედაგოგთა მომზადება

საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ პედაგოგებზე, რომლებიც ამჟამად უნივერსიტეტის სტუდენტები არიან და რომელთაც უნდა იტვირთონ XXI საუკუნის თაობის აღზრდა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ლაეთმო პედაგოგიურ დისციპლინათა ციკლის სწავლების და კურსდამთავრებულთათვის პედაგოგის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს. აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული ხარვეზები აღმოჩნდა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საქმეში, ზოგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ფორმალიზმის ელემენტებს. მდგომარეობის გამოსწორებისა და მაღალკვალიფიციური პედაგოგების მომზადების მიზნით, ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, განისაზღვრა პედაგოგიური ციკლის საგნების სავალდებულო მოცულობა და თანამიმდევრობა, შედგა სტუდენტების პედპრაქტიკის დღიურის ახალი ვარიანტი, მოსწავლისა და კლასის ფსიქოპედაგოგიური დახასიათების სქემები და ა. შ. ასე რომ, ის ბაკალავრები, რომლებიც ძირითად სპეციალობასთან ერთად პედაგოგის კვალიფიკაციასაც მიიღებენ, საფუძვლიანად მომზადებულები შევლენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და გიმნაზია-ლიცეუმებში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უნივერსიტეტის სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი რგოლის – კათედრის მუშაობის სრულყოფა-გაუმჯობესებას. კათედრებმა გააანალიზეს საშუალო და სემესტრული შემოწმების შედეგები, ფართოდ გაშალეს მუშაობა სახელმძღვანელოების, ლექციების კურსების, ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში შესასწავლი დისციპლინების პროგრამების შესადგენად და გადასამუშავებლად. პედაგოგთა ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია ავლდეს დისციპლინის შესწავლის კალენდარული და პედაგოგიური წლიური ინდივიდუალური სამუშაო გეგმები.

**როინ მეტრეველი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი.

(დასასრული იქნება).

საქართველოს რესპუბლიკა
№ 245-246. კვირა-ორშაბათი. 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

გასაჭირი

# შველა ჯერ კიდევ შეიძლება

**დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს მეაბრეშუმეობამ, რომელიც ყოველთვის განიხილებოდა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების გადიდების წყარო და მუდმივი ზრუნვის საგანი. მეაბრეშუმეობა ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და ხალხში საოცარი პოპულარობით სარგებლობდა.**

საქართველოში მეაბრეშუმეობის გავრცელება ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დარგმა წარმატებით გაუძლო ისტორიის 15-საუკუნოვან ქარტეხილებს. ასე იყო იმიტომ, რომ მეაბრეშუმეობა, ძირითადად, სოფლის მოსახლეობის იმ ფენებშია გავრცელებული, რომელთაც საკუთარი შრომით მოჰყავთ აბრეშუმის პარკი და მნიშვნელოვნად ზრდიან ოჯახის შემოსავლებს. მეაბრეშუმეობაში ფართოდ გამოიყენება ქალების, მოხუცების და მოზარდების შრომა, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის ახალგაზრდობაში შრომითი ჩვევების გამომუშავებისა და შრომის ოჯახური კოოპერირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოფლად მცხოვრებთა დასასაქმებლად მეაბრეშუმეობის როლი ძალზე დიდია. საქართველოში წარმოებული პარკი კონკურენტუნარიანი პროდუქციაა და საექსპორტო მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ, როგორც ბატონი **ედუარდ შევარდნაძე მიუთითებს: „ჩვენ არ შეგვიძლია უარი ვთქვათ ქართულ აბრეშუმზე. მეაბრეშუმეობის პროდუქცია ისევე დამახასიათებელი და ტრადიციულია ჩვენი ხალხისათვის, როგორც ღვინო, ხილი“...**

მიმდინარე ასწლეულის 60-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად იწარმოებოდა საშუალოდ 4-4,2 ათასი ტონა ცოცხალი პარკი, რომლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 14-15 მილიონ მანეთს აღემატებოდა.

მეაბრეშუმეობაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი კომლი, ხოლო მიღებული პროდუქციის შემდგომ გადამუშავებას კიდევ ათასობით კაცი ემსახურებოდა.

მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, აუცილებელია 2001 წელს მაინც დაიწყოს აბრეშუმის ჭიის გამოკვება, თუნდაც მცირე მასშტაბით, რაც მოსახლეობას მისცემს დარგის გადარჩენის იმედს და თუთის ნარგაობის გაჩეხვის ფაქტებიც შემცირდება. მომდევნო სამეურნეო წლისათვის რამდენიმე ასეული კოლოფი ჭიის გამოკვება სავსებით რეალურია და თუ ეს შესაძლებლობებიც არ გამოვიყენეთ, საერთოდ, უარი უნდა ვთქვათ ქართულ აბრეშუმზე. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ: მოსალოდნელზე უკეთესი მდგომარეობაა საკვები ბაზის მხრივ, მაგრამ დაავადება – ფოთლის სიხუჭუჭე კახეთში 1992 წლიდან მძვინვარებს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო პრაქტიკულად მის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ინსტიტუტის სპეციალისტები წარმოების მუშაკებთან ერთად მაინც ახერხებენ ამ დაავადების მეცნიერული გამოკვლევების ჩატარებას. მიუხედავად ამისა, აქაც და, ბუნებრივია, ქართლის რაიონებში გარკვეული რაოდენობით აბრეშუმის ჭიის გამოკვების შესაძლებლობა არსებობს.



სააქციო საზოგადოება „საქაბრეშუმმა“ შედარებით კარგ მდგომარეობაში შეინარჩუნა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც უზრუნველყოფს წარმოებული ცოცხალი პარკის შეუფერხებელ გადამუშავებას. დაფინანსების პირობებში მოხერხდება გრენის დამზადებაც.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტში შენარჩუნებულია პედაგოგ-მეცნიერთა სოლიდური ძალები, რომლებიც მთლიანად აგებენ პასუხს დარგის განვითარების მეცნიერულ უზრუნველყოფასა და კვალიფიციური კადრების მომზადებაზე.

დიდი სირთულეების მიუხედავად, უკანასკნელ ათწლეულში, მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებულია მრავალი, მეტად საინტერესო აგროტექნიკური ღონისძიება, გამოყვანილი, გამოვლინებული და დარაიონებული ფუთის ხის 9 ჯიში (ფორმა) და თუთის აბრეშუმხვევიას 10-მდე ჯიში (ჰიბრიდი), შესაბამის უწყებებთან ერთად შედგენილია დარგის განვითარების მიზნობრივი პროგრამა და გადაწყვეტილია სხვა პრობლემებიც.

საქართველოს სინამდვილეში წლეულს თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვება მხოლოდ მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში და ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში ჩატარდა და საუკეთესო შედეგებია მიღებული.

ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ საცდელ სადგურში თუთის აბრეშუმხვევიას კოლექცია 1916 წლიდან არსებობს. ამჟამად აქ 45 ჯიშია წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქედის რაიონის სოფელ მერსში მევლუდ თურმანიძის საკარმიდამო ნაკვეთზე გაშენდა თუთის მცირე ზომის საცდელი ნაკვეთი, სადაც 9 სხვადასხვა ჯიშისა და ფორმის მცენარეები დაირგო და შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დარგის სასურველ დონემდე განვითარება არ მოხერხდება, თუ თანმიმდევრულად არ დაინერგა წარმოებაში თუთისა და თუთის აბრეშუმხვევიას ახალი მაღალპროდუქტიული დაავადებებისადმი მედეგი ჯიშები (ჰიბრიდები), მოვლის პროგრესული მეთოდები და პარკის დამზადება-გადამუშავების მოწინავე ტექნოლოგიები. სამწუხაროდ, ინსტიტუტში გამოყვანილი თუთისა და თუთის აბრეშუმხვევიას ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და შემუშავებული პროგრესული ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა არ მოხერხდება, თუ აპრობირებული არ იქნა პრაქტიკაში საწარმოო გამოცდის სახით. სამწუხაროდ, მეცნიერება ამ ღონისძიების განხორციელებას ვერ ახერხებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სადღეისოდ არც აბრეშუმის პარკი იწარმოება და არც აბრეშუმის მრეწველობის ობიექტები მუშაობენ.

ბუნებრივია, მკითხველს დაებადება კითხვა, თუ აღნიშნული პირობები რეალურად არსებობს, მცირე მოცულობით მაინც რატომ არ ხდება აბრეშუმის ჭიის გამოკვება?

ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს დარგის ჩამორჩენის მიზეზების დეტალური ანალიზი და არც მისი აღმაელობის ღონისძიებათა კომპლექსის განხილვა (ეს პრობლემები შესწავლილია მეცნიერულ და სხვა სამთავრობო სტრუქტურებში, თუმცა...), არამედ მხოლოდ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, არსებობს თუ არა 2001 წელს აბრეშუმის ჭიის მცირე რაოდენობით მაინც გამოკვების შესაძლებლობა და რა არის საჭირო მისი რეალურად განხორციელებისათვის?

2001 წელს განსაზღვრული რაოდენობით აბრეშუმის ჭიის კოლოფების გამოკვების ყველა წინაპირობა არსებობს და აუცილებელია წარმოებული ცოცხალი პარკის რეალიზაციის პრობლემის მოგვარება.

უნდა ამოქმედდეს აბრეშუმის მრეწველობის სიმძლავრეები იმ მოცულობით, რომ ქვეყანაში დამზადებული პარკის გადამუშავება უზრუნველყოს. უნდა გავიდეთ საგარეო ბაზარზე და ქვეყანაში დამზადებული ჰაერმშრალი პარკის რეალიზაცია მოვახდინოთ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აბრეშუმის პარკის საზღვარგარეთ გატანისათვის საკმარისი არ არის მარტო მეაბრეშუმეობის დარგის მუშაკთა ძალისხმევა. საჭიროა პრობლემის მოგვარების მიზნით, საქმეში ჩაერთოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურებიც.

ვფიქრობთ, სანამ არ არის მოგვარებული სისტემის საწარმოთა პრივატიზაციის საკითხი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა ვთხოვოთ პრეზიდენტს ერთ-ერთი ძაფსახვევი ფაბრიკისათვის (უმჯობესია, თელავი) შეღავათიანი კრედიტის გამოყოფის შესახებ, რომელიც შეისყიდის ქვეყანაში წარმოებულ პარკს, გადაამუშავებს და გასაყიდად ხამ ძაფს გაუშვებს.

**ჩვენი აზრით, თუ მომავალ სამეურნეო წელსაც ვერ მოვახერხებთ მეაბრეშუმეობის მკვდარი წერტილიდან დაძვრას, სამომავლოდ დარგის აღმავლობაზე ფიქრი ოცნებადღა დარჩება.**

**გიორგი ნიკოლეიშვილი,**
**მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.**

სურათებზე: გიორგი ნიკოლეიშვილი, ხელოვნური ცახი აბრეშუმის პარკებით და მეაბრეშუმეობის დარგის ემბლემა.



ქუჩის ბავშვები

# სუსტებს კი იქ არ დაედგომებათ

ზაფხულის პაპანაქებას გარიდებულს მეტროს სიგრილემ საამო ჟრუანტელად დამიარა. გახალისებული იმ მერხზე ჩამოვჯექი, რომლის გასწვრივაც პირველი ვაგონი დგება ხოლმე.

სადეჭი რეზინის ტკაცუნი მომესმა. ამრეზილად გავხედე. ცინცხალი ჯინსის ქურთუკსა და შარვალში გამოკვართული ქერა გოგონა ღონივრად იქნევდა ყბას. აგერ, ბუშტმა დაუფარა მთელი სახე და შემდეგ წკაპუნით აილოკა ტუჩებიდან გამსკდარი „ქუვაჩკის“ ნაგლეჯები. ხელში ხურდა ფულით თითქმის სავსე ცელოფანის მომცრო პარკი უჭირავს. თითებით ეფერება.

დავუკვირდი: მზერა – ანთებული. გამოუთქმელი სიხარბე და ჭერეტით ტკბობა აღბეჭდვია სახეზე. მთელი არსებით იმ ფულშია გათქვეფილი...

ვიცანი. ადრე ხშირად მხვდებოდა მეტროში. ჩაფეთხუმებული, საწყალობელი წრიპინით იწყებდა: „დეიდებო, ბიძიებო!...“ თავს უღონოდ გადაიგდებდა გვერდზე, ხელს ისე დაბლა-დაბლა გამოიშვერდა, ვითომც უფრო ზემოთ აწევის ქანცი გაუწყდაო. ახლა ფეხებს როგორ მოაჩოჩიალებდა?!.

კი, ისაა. გაზრდილა, დაქალიშვილებულა. მაგრამ ვინ უწყის... კიდევ მათხოვრობს? როგორ? განა, ასე კოპწიას, ნაპატიებს გაიკითხავს ვინმე? მაშ, ამდენი აშკარად ჩამომათხოვრებული ხურდა ფული საიდან? ჯერ კი შუადღეც არ გადასულა.

გოგო ჩემსკენ წამოვიდა და გვერდზე მომიჯდა. გზად პარკი სათუთად შეინახა ქურთუკის გულის ჯიბეში. გარედან მოეფერა. მის ყოველ მოძრაობაში, თავდაჭერაში ჩანდა – „შინაა“. ზედ არავისთვის შეუხედავს. ჩვენ – „დანარჩენთ“ – მხოლოდ ფულის დასაცინცლ უსახურ მასად თუ აღგვიქვამს.

შევხედე. თავის სამყაროში ჩაძირული გარინდებული მისჩერებოდა კედელს. თვალში ოთხიოდე წლის ჩიკორა ბიჭუნაც მომხვდა. ჭუჭყიანი შორტები და მაისური ეცვა. ისიც ქერა იყო. ხელში თუნუქის ცარიელი ქილა ეჭირა.

მატარებელი ჩამოდგა. მე და ბიჭუნა პირველ ვაგონში შევედით. ვიდრე ბარგს კუთხეში მივაწყობდი, მატარებელი დაიძრა. ვეღარ დავინახე, გოგონამ რა ქნა.

ბავშვმა ქილა შუა ვაგონში დადგა. ჩანს, ასაკმა თავისი ქნა – წამით ანთებული ონავარი მზერა სტყორცნა მგზავრებს, მაგრამ მყისვე მოიმკვდარუნა თავი და აწრიპინდა. ჰო, აწრიპინდა, აბა, იმას სიმღერას ვინ დაარქმევდა?! ერთი სტროფი წაიკნავლა (მერე ვიანგარიშე – ზუსტად ჰქონდა გათვლილი, რა და როგორ, რათა ყოველ გადარბენაზე თითოეულ ვაგონში იგივე მინისპექტაკლი გაემეორებინა), ქილა აიღო, თავი უილაჯოდ გადააგდო გვერდზე, ხელი ისე უღონოდ დაბლა გამოიშვირა, თითქოს საცაა იქიდანაც ჩამოუვარდებაო და ფეხების თრევა-თრევით ჩამოგვიარა. ხელწერა მეცნო. თუმცა, მაშინ სიმღერა და ქილა არა ყოფილა.

მატარებელი „მარჯანიშვილზე“ რომ გაჩერდა, ზუსტად ბოლო კართან იდგა. მეორე ვაგონის პირველ კარში შევიდა...

„ავლაბარში“ ჩამოვედი. აგერ, ის გოგონა და ბიჭუნა. სადგურიდან აქამდე 4 გაჩერებაა. შემადგენლობაც ოთხვაგონიანია. ბავშვი ფულს უწვდიდა. გოგომ გამოართვა, პარკში ჩაყარა და რაღაც წაუსისინა.

მოპირდაპირე ხაზზე გაჩერდა მატარებელი. ექვსიოდე წლის აშკარად მათხოვარი ბიჭი გადმოვიდა და „ჩვენი“ ხაზისკენ ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა.

უცებ გოგო დაიხარა და შიშით სახემოქცეული გამშდა. პატარამ ჰკიდა თავი გახევებულს. გოგოს სახელოზე დაქაჩა, მიახედა.

გოგო არც განძრეულა. – და ამან კიდევ უფრო შემაძრწუნა. – ისეთი ცივი მძულვარებით აღსავსე მზერა სტყორცნა კონკურენტს. შესაძლოა, „კონვენციის“ დამრღვევს. ჩემდაუნებურად გამაცია. კისრის ძარღვებდაბერილი, მრისხანებისგან აჭარხლებული, მუშტებშეკრული ბიჭუნა აწვართული იდგა გოგოს გვერდზე. გოგოს წარბის ერთი შერხევა და ღრენით ეცემოდა.



„შემოხეტიალებულმა“ კარგად უწყოდა, რა საშინელებასაც დამართავდნენ, რადგანაც სწორედ ამ ცოდნამ დააძლევინა შიშნეული გარინდება და კისრისტეხით მოაკურცხლინა ესკალატორისკენ.

ხომ იქვე ვიდექი და თვალებადქცეული შევყურებდი, მაგრამ თვალის ერთი, სულ ერთი შეელების ღირსადაც არა მცნეს. მათთვის ჩვენ იმდენად ვარსებობთ, რამდენადაც... თავისი სამყარო აქვთ, თავისი კანონებით ცხოვრობენ. და ამ სამყაროში დანდობა-შებრალება მხოლოდ და მხოლოდ სისუსტის გამოვლენაა. სუსტებს კი იქ არ დაედგომებათ.

ხდება ხოლმე: მგლების ზნეობრივი ნიუანსები ადამიანური მორალის გაცნობიერებაში გვეხმარება. ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, ქუჩა ასეულობით ბავშვისათვის სახლი გახდა.

და ამას დროზე თუ არ მივხედეთ, მალე ძალზე ავად შემოგვიბრუნდება! ქუჩას შეფარებული საქართველოს მომავალი აუცილებლად გვაზღვევინებს დაკარგულ ბავშვობას!

**კონსტანტინე გურგენიძე,**
**საქინფორმის კორ.**

## სასამართლო

**მარშან, 15 მაისს შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ახალი თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე. საინტერესოა, რეფორმის შემდგომი მოსამართლეები, რომელთა მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი აზრია შექმნილი, კორუფციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პირობებში თავს როგორ ართმევენ რთულ და პასუხსაგებ საქმეს?**

**მამუკა ნოზაძემ საუბარი სასამართლოს ძველი შემადგენლობის მიერ დატოვებული მემკვიდრეობიდან დაიწყო.**

– მძიმე კატეგორიის საქმეებმა, განსაკუთრებით მრავალწლიანმა სამოქალაქო დავებმა, რომლის განხილვას ძველმა შემადგენლობამ თავი აარიდა და გააჭიანურა, პრობლემები შეგვიქმნა. სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმირებულ მოსახლეობას მართლმსაჯულების განხორციელების იმედი გაუჩნდა და მოსარჩელეთა ნაკადმა საგრძნობლად იმატა, იყო დღეები, როდესაც 50-70 სასარჩელო განცხადება შემოდიოდა. ძველი პლუს ახალი საქმეები პასუხისმგებლობას ზრდიდა, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. განხილვის ვადები ირღვეოდა, რაც მხარეებს სამართლიანი პრეტენზიების საფუძველს აძლევდა, ძველ სასამართლოში მართლმსაჯულებას თუ 17 მოსამართლე ახორციელებდა, ახალში – 7 მოსამართლის საშტატო ერთეული იყო გათვალისწინებული და ისიც წლეულს, აგვისტოში შეივსო. თითოეული მოსამართლე 3-5-მდე ახალ საქმეს იხილავდა და ამ უზვეულო ტემპმა, ერთი საქმიდან მეორეზე გადართვამ, დიდმა დატვირთვამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ხარისხზე, რამაც რამდენიმე მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა განაპირობა.

**– ეს კი საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც სასამართლო რეფორმის განხორციელებას სკეპტიკურად უყურებს, მარცხად მიიჩნია.**

– უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეაჯამა რაიონული სასამართლოების ექვსი თვის მუშაობის შედეგები და ერთ მოსამართლეზე განხილულ საქმეთა რაოდენობით, ამოღებული სახელმწიფო ბაჟების ოდენობით (ჩვენს სასამართლოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველთვიურად 30 ათასამდე ლარი შეაქვს) და სხვა კრიტერიუმების მიხედვით რესპუბლიკის რაიონულ სასამართლოებს შორის ვაკე-საბურთალოს სასამართლო პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ეს გახლავთ „მარცხის“ შედეგი.

**– სამართალდამცავ ორგანოებს პრეტენზია აქვთ, რომ მათ მიერ აღძრულ საქმეებზე სასამართლოები ხშირად ზედმეტ ჰუმანურობას თუ დაინტერესებას იჩენენ, განსაკუთრებით, აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდებისას. ჰუმანურობას კორუფციული ხასიათის საქმეების განხილვის დროსაც იჩენთ?**

– ახალი სასამართლოს ამოქმედების შემდეგ შემოსულია რაოდენობრივად მცირე და კორუფციული ხასიათის ძალზე წვრილმანი საქმეები. 1 ივნისიდან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საქართველოს პრეზიდენტის ანტიკორუფციული პროგრამის ამოქმედების შემდეგ იმატა გამოვლენილ დანაშაულთა რიცხვმა, რასაც ადასტურებს ბოლო ორი თვის განმავლობაში აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებით შემოსული შუამდგომლობები. კერძოდ, ჩვენი სასამართლოს მიერ 10 აგვისტოს გაიცა ბრძანება მრავალი ასეულ ათასობით ლარის მითვისების ფაქტზე მხილებული კონსტანტინე კაპანაძის დაპატიმრების შესახებ. მას ბრალი ედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მუნიციპალური ინფრასტრუქტურების განვითარების პროექტის შესასრულებლად მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებიდან 195338,94 აშშ დოლარისა და 136829,41 ლარის მითვისებაში.

ასევე ქრთამის აღებაში მხილებულია საბაჟო სამსახურის თანამშრომელი, ოფიცერი მიხეილ ნაჭყებია, რომელმაც 3000 დოლარის სანაცვლოდ ორგანიზაცია გაუკეთა საქართველოს ტერიტორიაზე საკვები პროდუქტების შემოტანას, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს საბაჟო გადასახადის სახით 28743,58 ლარის ზარალი მიაყენა. სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა როგორც მას, ასევე ტვირთის მფლობელს, დანარჩენს ძიება გვიჩვენებს. რა თქმა უნდა, დამნაშავეს საკადრისი უნდა მიეზღოს, მაგრამ უპირველესი მაინც იმ ზარალის ანაზღაურებაა, რაც მათი დანაშაულის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა განიცადა.

## ბიუჯეტი რომ არ დაზარალდეს

სასამართლოში უამრავი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალები შემოდის, ექვს თვეში ამ კატეგორიის 1000-მდე საქმე განვიხილეთ. ყველა სამართალდამრღვევს ეკისრება ჯარიმა, რომლის ამოღება ძალიან გართულებულია, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გამომძიებელ ორგანოს თანხების ამოღება კანონით არ ევალება (არც არის დაინტერესებული, რადგან არაფერი რჩება). საბოლოო ანგარიშით ბიუჯეტი რომ არ დაზარალდეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, კანონმდებელთა ყურადღება ერთ აქტუალურ საკითხს მიეაპყრო. ეს გახლავთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შედეგად დაკისრებული ჯარიმების ამოღებისა და ბიუჯეტის შევსების მექანიზმის დახვეწა.

**1 ივნისიდან ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რამაც ხელი შეუწყო დამნაშავეთა წინააღმდეგ სამართალდამცავთა ბრძოლის გააქტიურებას. იმედია, კანონმდებლები თემიდას მსახურთა იმ წინადადებასაც გაითვალისწინებენ, რომლის რეალიზება ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცევა.**

**ლეილა კოშკაძე.**

## კრიმინალი

### თაღლითი დაკავებულია

**მთაწმინდა-კრწანისის** შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს ფირმა „თამუნიას“ პრეზიდენტი, 2000 წლის 15 თებერვალს მთაწმინდის რაიონის პროკურატურის მიერ თაღლითობისათვის პასუხისგებაში მიცემული, თბილისში, წყნეთის ქუჩის პირველ კორპუსში მცხოვრები, 1957 წელს დაბადებული ნინო მახარაშვილი.

მან ჩამოაყალიბა შპს „თამუნია“ და საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლისა და დასაქმების შეპირებით, მოქალაქეებს თაღლითურად გამოსძალა დიდი ოდენობის თანხა. კერძოდ, თბილისში მცხოვრებ ავთანდილ ხიხაძეს – 1800 დოლარი, მანანა ჩელერიშვილს – 1200, მედეა ზურაბაშვილს – 3500, ნათია დომიშვილს – 3000, გიორგი გოგინაშვილს – 1000, ჯულიეტა ხუციშვილს – 3000, დარეჯან ანთაძეს – 500, ლუბა ბერუაშვილს – 500, მარინა შაინიანს – 3500, ლონა გრიშაშვილს – 1500, ლალი მარკოზაშვილს – 1400, ლეილა ნემსიწვერიძეს – 450, მანანა ბერუკაშვილს – 1200, მარინა კაციტაძეს – 2600, რუსთავში მცხოვრებ ია მამუჩიშვილსა და მცხეთის რაიონის სოფელ დიღომში მცხოვრებ ნინო სოზაშვილს კი თითოეულს 2500-2500 დოლარი გამოსტყუა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის განყოფილება.

**საქინფორმი.**

## პოლიცია

**რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სანავსადგურო ქალაქის, ფოთის როგორც ეკონომიკური, ისე გეოპოლიტიკური პოტენციალი. ეს ფაქტორი რეგიონის სამართალდამცავი ორგანოებისთვის მეტად საპასუხისმგებლოა.**

**იმის შესახებ, თუ როგორ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პირადი შემადგენლობა, გვესაუბრება ამ სამმართველოს შტაბის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი სინარ ჯოჯუა.**

– ბოლო ხანს უკეთესობისკენ შებრუნდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, – **თქვა პოლკოვნიკმა,** – სისხლის სამართლის სამძებრო აპარატში შეიცვალა თანამშრომლების 50 პროცენტზე მეტი, ბევრი რამ გაკეთდა მუშაობის გასაუმჯობესებლად. ძირითადად, მოვიდნენ ახალგაზრდა თანამშრომლები. ბუნებრივია, პროფესიონალიზმის ასამაღლებლად საჭიროა დროისმიერი გამოცდილება. ამ გამოცდილების დაგროვებაში კი მათ ეხმარებიან პროფესიონალი თანამშრომლები, მათი შერწყმით ჩამოყალიბდა ძლიერი შემადგენლობა. მობილიზებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურები. დიდი ყურადღება ეთმობა უბნის ინსპექტორების მუშაობას, ისინი დიდად გვეხმარებიან დანაშაულის გახსნა-აცილების საქმეში. გავზარდეთ საგზაო პოლიციის საშტატო ერთეული სხვადასხვა სამსახურის გადაადგილების ხარჯზე.

ქალაქის მერიასთან შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია, ფალსიფიცირებული, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტებისგან მოქალაქეთა დაცვის მიზნით, აქ ტონს იძლევა ჩვენი ეკოლოგიის პოლიცია. მან ამოიღო და დადგენილი წესით გაანადგურა 300 ბოთლი ფალსიფიცირებული „ბორჯომი“, 29,5 კგ ნედლი თევზი, 17 კგ შებოლილი თევზი, 6,8 კგ შებოლილი ღორის ქონი, 169 ცალი სხვადასხვა სახის არასტანდარტული წარმოების ძეხვი, ვადაგასული და კვებისათვის უვარგისი სხვა პროდუქტი. ამის მიუხედავად, ქალაქში მაინც ხდება ფალსიფიცირებული საქონლით ვაჭრობა, ვაგრძელებთ მუშაობას მის აღსაკვეთად.

## დანაშაულთან ბრძოლა მწვავდება

ფოთის ტერიტორიაზე მომხდარი რეზონანსული გახსნილი დანაშაულებიდან დავასახელებ ტატიანა კომარ-დობორჯგინიძისა და ბადრი სხულუხიას მკვლელობას, ასევე, ნ. ჭანტურიაზე ყაჩაღური თავდასხმისა და 19 წლის მიხეილ სიგუას გატაცებისა და მკვლელობის ფაქტებს. სამმართველოს თანამშრომლების ოთხთვიანი თავდაუზოგავი ერთობლივი მუშაობით, შს სამინისტროსა და მხარის მთავარ სამმართველოსთან ურთიერთთანამშრომლობით გაიხსნა უმძიმესი დანაშაულები. დაკავებულია სამი მკვლელი, იძებნება ერთი ორგანიზატორი...

წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებები – კიდევ უფრო დასახვეწია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა; ჯერ კიდევ გაუხსნელია მიმდინარე და გასულ წლებში მომხდარი ყაჩაღობისა და ქურდობის რამდენიმე ფაქტი, დასაკავებელია მძიმე დანაშაულის ჩადენაში მხილებული და ძებნილი პირები. ეს საკითხები ჩვენი საქმიანობის უმთავრესი ამოცანაა.

**– რა მუშაობა წარმოებს კადრების პროფესიული დახელოვნების გასაუმჯობესებლად?**

– ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა და წარმოადგენს კადრების შერჩევა და მათთან მუშაობა. ახლად დაინიშნა შინაგან საქმეთა მალთაყვისა და ნაბადის ქვეგანყოფილებათა უფროსები და მათი მოადგილეები. მუშაობაში ნაკლოვანებებისათვის სამუშაოდან დავითხოვეთ 10 თანამშრომელი, დისციპლინური სასჯელი დავადეთ 17 თანამშრომელს.

**– რა ძირითადი პრობლემები დგას პირადი შემადგენლობის წინაშე?**

– პრობლემებს რა გამოლევს, პრობლემები მარტო ფოთის შს სამმართველოში არ არის, საყოველთაოა, მაგრამ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე ყურადღებას გავამახვილებ.

ფოთში უამრავი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე და უცხოელი სტუმარი-ინვესტორი, ბიზნესმენი ჩამოდის. უპირველესად, მათი ყურადღება გადატანილია იმაზე, თუ როგორი კრიმინოგენური სიტუაციაა ქალაქში.

უხელფასობა, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩაუცმელი პოლიციელი, საგზაო ნიშნების უქონლობა და სხვა, თვალშისაცემია უცხოსთვის. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, ბიუჯეტში შექმნილი პრობლემების მიუხედავად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად დამატებით გამოგვიყო თანხები, 203 საშტატო ერთეულიდან 84-ს ადგილობრივი ბიუჯეტი უხდის ხელფასს. დღის წესრიგში დგას ახალი შენობის საკითხი.

**– რა მდგომარეობაა ქალაქში კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მხრივ?**

– წლეულს ეკონომიკის სფეროში გამოვავლინეთ 12 სისხლის სამართლის დანაშაული, ამოვიღეთ 7288 ყუთი უაქციზო სიგარეტი, 321 ლიტრი უაქციზო სპირტიანი სასმელი. ამ მუშაობას კვლავ გავაგრძელებთ, იგი უკომპრომისო იქნება.

ესაუბრა
**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

### გაიტაცეს საგზაო ფონდის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი

**ახმეტის** რაიონში დაუდგენელმა დამნაშავეებმა გაიტაცეს საგზაო ფონდის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი შოთა მარჩემაშვილი.

როგორც მარჩემაშვილის ნათესავები აცხადებენ, ბოროტგანმზრახველები მძევლის განთავისუფლებისათვის მოითხოვენ გამოსასყიდს 250 ათასი დოლარის ოდენობით. დამნაშავეთა ეს პირობა წერილობით აცნობეს გატაცებულის ოჯახის წევრებს.

ამ მაღალმთიანი რაიონის ერთ-ერთი სოფლის მახლობლად ტყეში იპოვეს გატაცებულის სასამსახურო ავტომანქანა. იგი გაძარცვული არ არის, მაგრამ დამნაშავეებმა მანქანიდან წაიღეს შოთა მარჩემაშვილის პირადი საბუთები. ავტომანქანა იპოვეს ქისტებით კომპაქტურად დასახლებული ადგილიდან რამდენიმე კილომეტრზე, თუმცა, თვით ქისტები უარყოფენ მარჩემაშვილის გატაცებაში მონაწილეობას. მძევლის ადგილსამყოფელის დადგენაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც პოლიციის მუშაკები, ისე ადგილობრივი მცხოვრებლები – ქართველები და ქისტები.

### ხანძარი ლიკვიდირებულია

8 სახანძრო მანქანამ ნახევარი საათის განმავლობაში შეძლო ხანძრის ლიკვიდირება, რომელიც პარასკევს გვიან საღამოს გაჩნდა თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ქიმწმენდის შენობაში. მეხანძრეებმა, აგრეთვე, შეძლეს თავიდან აეცილებინათ შენობაში არსებული ჟანგბადის ბალონების აფეთქება.

ცეცხლი გაჩნდა ქიმწმენდის ერთსართულიანი შენობის სახურავზე, დაიწვა 40 კვადრატული მეტრი ფართობი, არავინ არ დაშავებულა. ჯერჯერობით არ დაუდგენიათ ხანძრის წარმოქმნის მიზეზები.

### მკვლელობა სასტუმრო „ასტორიასთან“

„კანონიერი ქურდი“, საქართველოს მოქალაქე გიორგი სალარინაშვილი, მისი ქართველი მძღოლი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა და ქალი, სავარაუდოდ, კრიმინალური ავტორიტეტის საყვარელი, პარასკევს სანკტ-პეტერბურგის ცენტრში, ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ასტორიას“ შესასვლელთან მოკლეს.

პარასკევს საღამოს სამართალდამცავებმა დააკავეს ორი კავკასიელი, რომლებიც შესაძლოა ამ მკვლელობის შემსრულებლები იყვნენ.

სამივე დაღუპული სასტუმროსთან ცისფერი ჯიპით „გრანდ ჩეროკით“ მივიდა. ავტომანქანიდან გადმოსული „კანონიერი ქურდი“ და მისი საყვარელი პირველმა ქილერმა „აგრანის“ სისტემის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევიდან მოკლა. ამ დროს კი მეორემ მძღოლი ჩაცხრილა.

ამის შემდეგ მკვლელები მრავალრიცხოვანი მოწმეების თვალწინ მიიმალნენ დანაშაულის ადგილიდან.

როგორც ადგილობრივი მილიცია ვარაუდობს, მომხდარი კრიმინალური გარჩევის შედეგი იყო.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

## ჩვენ

# არა მხოლოდ ლანძღვითა...

**არ მეგულება მანქანის მძღოლი, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც არ ჰქონია კონფლიქტური სიტუაცია საგზაო პოლიციელთან, მით უმეტეს, დღეს, როდესაც ისინი არ იცავენ საგზაო მოძრაობის წესებს და უხეშად არღვევენ მას.**

მაგონდება ერთი შემთხვევა. ავსტრიის ერთ-ერთ ქალაქში, ტროტუარიდან დაახლოებით ორ ნაბიჯზე ჯაველ გზაზე მდგომს, ავტომანქანამ მსუბუქად გამკრა. სად იყო და სად არა, გაჩნდა საგზაო პოლიციელი.

პოლიციელს ვთხოვე, არ დაესაჯა მძღოლი, რადგან ისეთი არაფერი მჭირდა, მაგრამ რაოდენ გაკვირვებული დავრჩი, როდესაც პოლიციელმა, რომელსაც მძღოლის დასჯა აზრადაც არ მოსვლია, ჯარიმის ქვითარი მე გამომიწოდა.

მახსენდება მეორე შემთხვევაც. იუგოსლავიაში, ქალაქ ლუბლიანაში სტუმრად ვიყავი. ჩემი მასპინძელი პარლამენტის წევრი იყო. ტრასაზე პოლიციელმა გაგვაჩერა, მიზეზი სიჩქარის გადაჭარბება იყო. მანქანიდან თვალს ვადევნებდი, როგორ ელაპარაკებოდა ჩემი მასპინძელი და რა აუღელვებლად იწყებდა პოლიციელი აქტის წერას.

პოლიციელს ჩემი თავი წარვუდგინე, თან „დინამოს" ვიმპელი და ემბლემა ვაჩუქე (იმ დროს, თბილისის „დინამო" ტურნეს მართავდა სლოვენიაში). პოლიციელმა, რომელიც თავადაც ფეხბურთელი აღმოჩნდა, ჩემს მასპინძელს თითი დაუქნია და მკაცრად გააფრთხილა, დარღვევა კი ჩემი ხათრით აპატია.

მასპინძელი სიხარულს ვერ მალავდა. მიზეზი რომ ვკითხე, ამიხსნა, რომ მას ჯარიმის გადახდა არაფრად მიაჩნდა, მისთვის მთავარი იყო წესრიგის დარღვევის ფაქტი პარლამენტის სპიკერის ყურამდე არ მისულიყო.

ალბათ, წარმოიდგენთ, როგორ გამიკვირდა ყოველივე ეს თბილისიდან ჩასულ კაცს, სადაც უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს როგორც მთავრობის მანქანები, ისე ე. წ. პრესტიჟული „ინამარკები".

მძღოლისა და საგზაო პოლიციელის ურთიერთობა კი მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ქართველი მძღოლი რაღაც განსაკუთრებული ფენომენია. ქედმაღალი, უხეში, რომელიც ხშირად არაფრად აგდებს არც სხვის და არც თავის უსაფრთხოებას (რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება). სწორედ მათზე მოდის ავტოავარიათა ლომის წილი.

არა მგონია, რომელიმე სხვა პროფესიის ადამიანი ილანძღებოდეს ისე, როგორც საგზაო პოლიციელი.

რას წარმოადგენს ქართველი საგზაო პოლიციელი?

ორიოდე წლის წინათ უშუალო კონტაქტი მქონდა სხვადასხვა რანგის 700-მდე საგზაო პოლიციელთან, რომლებსაც ვასწავლიდით ექსტრემალურ სიტუაციაში პირველი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ხერხებსა და საშუალებებს, რაც მათ შემდგომი საქმიანობისას არაერთხელ გამოიყენეს უბედურებაში მყოფი ადამიანების გადასარჩენად.

სამწუხაროდ, ამ უაღრესად საჭირო ღონისძიების განახლება არ მოხერხდა და ეს იმ დროს, როდესაც „დიდი აბრეშუმის გზის" საკითხი და მისი უსაფრთხოება უკვე რეალობად იქცა.

ზემოხსენებულ კურსებზე დავრწმუნდი, რომ საგზაო პოლიციელისათვის (და არა მარტო მათთვის) პროფესიულ ჩვევებთან ერთად, აუცილებელზე აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპების ცოდნა, რადგან საგზაო პოლიციელს, ისე როგორც არავის, მუდმივად ექსტრემალურ სიტუაციაში უხდება მუშაობა.

საგზაო პოლიციელი ჩვეულებრივი მოქალაქეა, მაგრამ, ამავე დროს, ის სახელმწიფოს მიერ დიდი უფლებებით აღჭურვილი პირიც არის, რაც მას უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ არის თუ არა იგი მზად თავისი ზნეობრივი, მორალური, ინტელექტუალური და, თუ გნებავთ, ეკონომიკური მდგომარეობით, ამ დიდი ფუნქციის აღმასრულებლის როლში მოგვევლინოს?

ვიყოთ ობიექტურნი და ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა.

უშნო, ულაზათოდ ეკიპირებული, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე, ხშირად საკუთარი მანქანით, თვეობით უხელფასო (სხვა ნიუანსებზე არ შევჩერდებით), ზამთარ-ზაფხულ ქუჩაში მდგომი, ყველასგან მოძულებული და ხშირად დაუფასებელი. ამის გამო, ნურც ის გაგვიკვირდება, ხშირად თუ ისინიც სცოდავენ, მაგრამ აუცილებელია მათი სიკეთეც დავინახოთ. უბედურების დროს, ვინ გვიდგას ყველაზე პირველი გვერდში. განა, ერთი და ორი შემთხვევა ვიცით პოლიციელთა თავგანწირვისა?! ასე რომ, მათი საქმიანობის შეფასებისას, ობიექტურობის გრძნობას ნუ დავკარგავთ.

რაკი ობიექტურობაზე მიდგა საქმე, ბარემ ისიც ვთქვათ, ვინ უფრო მეტს სცოდავს, პოლიციელი თუ ჩვენ, მძღოლები?

სულ ცოტა ხნის წინათ, ტრასაზე მანქანა გამიფუჭდა, რამდენიმე ათეულმა მანქანამ ისე ჩამიქროლა, ზედაც არავის შემოუხედავს. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა, რომელმაც 20 კილომეტრამდე ბუქსირით პროფილაქტიკამდე მატარა და მანქანის სრულ მოწესრიგებამდე არ მომცილებია.



ეს პიროვნება, როგორც შემდგომ გავიგე, საგზაო პოლიციის პოლკოვნიკი თამაზ კანდელაკი აღმოჩნდა.

რაც შეეხება მძღოლებს, აქ ერთი წინადადება მსურს შევთავაზო საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს.

განა, ცოტანი არიან დისციპლინიანი და კანონის პატივისმცემელი მძღოლები. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ის მძღოლი, ვისაც, ვთქვათ, ოცი წელიწადი და მეტი, არც ერთი ოფიციალური გაფრთხილება არ აქვს, სხვებისგან განსხვავებით, რაღაცით წავახალისოთ? ერთ-ერთ ქვეყანაში, უდისციპლინო მძღოლი, ვალდებულია, გარკვეული დროით, საქარე მინაზე სპეციალური ნიშანი ატაროს.

იქნებ მსგავსი ღონისძიება ჩვენც დავნერგოთ და უდისციპლინო მძღოლების დასჯის პარალელურად, წესიერებიც რაღაცით წავახალისოთ?

არა მხოლოდ ლანძღვითა...

**გივი ყირმელაშვილი,**
**ევროპის კონფედერაციის „სპორტი ყველასათვის" თბილისის კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი.**

## გაზეთი და მკითხველი

# შრომის წიგნაკში ერთი ჩანაწერია...

„საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელი ნომერი გექნებათ, ძალიან მინდა შევიძინო, ჩემს ახლობელს დაქორწინებასულოცავენ, თანაც სურათიც ახლავს თურმე, — ასეთი თხოვნით მიმართა ერთმა მოქალაქემ ტყიბულის ბაზრის შესასვლელთან მდგარ ჯიხურში ჟურნალ-გაზეთების გამყიდველ შურა ჯანელიძეს.

— სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, ამ გაზეთს მხოლოდ რამდენიმე ცალს ვღებულობ და ისიც მიღებისთანავე იყიდება. თუ წასაკითხად გინდა, გაზეთ „ოკრიბის" რედაქციაში მიდი, წაგაკითხებენ, მხოლოდ არ გამამხილო, ლამის ბიბლიოთეკად გადააქციეს რედაქცია. იცოდე, ჩუქება არ სთხოვო, იქ ყველა ნომერს ინახავენ, — დაავალიანა გამყიდველმა მთხოვნელი.

ათიოდე წუთის შემდეგ იგი კვლავ ეწვია მეჯიხურეს:

— გაზეთის ჩუქებაზე მტკიცე უარი მივიღე, მაგრამ რაც მაინტერესებდა, მისი ქსეროასლი კი მომცეს, იგივე არ არის?

ეს ფაქტი გამონაკლისი როდია. „ოკრიბის" რედაქცია ერთადერთი დაწესებულებაა ქალაქში, სადაც შეგიძლიათ ისარგებლოდ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კომპლექტებით, წლების მიხედვით რომ აქვს რედაქციას აკინძული. ეს კარგად იცის ჯიხურის გამყიდველმა და რჩევისათვის მას ემადლიერებიან. ზოგჯერ, პრეტენზიული მთხოვნელის გაგზავნის შემთხვევაში, შურა ჯანელიძე რედაქციის საყვედურსაც ადვილად ეგუება.

40 წელიწადზე მეტია, რაც იგი ამ ჯიხურში ზის. ამიტომ მის შრომის წიგნაკში მხოლოდ ერთი ჩანაწერია. შურა ჯანელიძე წყალტუბოელია. ჟურნალ-გაზეთების სიყვარული მშობლებმა ჩაუნერგეს. მათ ოჯახში თურმე 5 დედმამიშვილი აღიზარდა. ერთ-ერთმა მათგანმა, შურამ ტყიბულის სოფელ საწირეში შექმნა ოჯახი და დარჩა ტყიბულში. ჟურნალ-გაზეთების ჯიხური მისი მეორე ოჯახია. მან არ იცის სამუშაო საათები, რეგლამენტები და დასვენების დღეები. ერთადერთი შვილიშვილის — ეკას ტრაგიკულად დაღუპვით გამოწვეულ სევდას ამ შრომით იქარვებს. მიიღებს თუ არა ახალ ჟურნალ-გაზეთს, პირველი მკითხველი თვითონაა. კითხვას „საქართველოს რესპუბლიკით" იწყებს და შემდეგ კარგი „პროპაგანდისტივით" თავად ურჩევს მასთან მისულთ საინტერესო მასალების გაცნობას. სულ იცის, ვის რომელი გაზეთი თუ ჟურნალი აინტერესებს, დაინახავს თუ არა მათ, ჯიხურის სარკმელიდან მისკენ წამოსულ მყიდველს, მისვლისთანავე ხელში შეაგებებს ხოლმე სასურველ ჟურნალსა თუ გაზეთს.

ჯიხურის ყოველდღიური სტუმრები არიან რეზო ბოჭორიშვილი, ბადრი არაბიძე, დავით ცირეკიძე, ნაზი ბრეგაძე, ვენერა ახობაძე, ლევან ჯიშიაშვილი, იური ბანძელაძე და სხვები.

შურა ჯანელიძეს გული მაინც ეთანაღრება, — ბევრი ვერ ახერხებს გაზეთის შეძენას და იძულებულია ჯიხურთან დადგეს და იქ გადაათვალიეროს ახალი პრესა. გული იმაზეც შესტკივა, რომ 13 წელიწადია ჯიხური დგას და შეცვლას საჭიროებს. შურა ჯანელიძე კადრების კარგ აღმზრდელადაც მიაჩნიათ. 40 წლის განმავლობაში მასთან მრავალმა ახალგაზრდამ გაიარა სტაჟირება და დღეს უკვე ნათელა კუპატაძე, ნინო და ვალიკო ჩიგიძეები, ნარგიზ გვენეტაძე სხვა ჯიხურებში მუშაობენ. მათი თხოვნაც არის, მეტი რაოდენობით მიიღონ ჯიხურებში „საქართველოს რესპუბლიკა" და, თუ გაუყიდავი დარჩა, უკან დაბრუნების პრობლემაც გადაიჭრას.

**გივი გეწაძე.**

## რუბრიკა, რომელიც მკითხველს ასაზრდოებს

თქვენი გაზეთის ფურცლებზე დამკვიდრებული რუბრიკებიდან ყველაზე მეტად „ალბომი" მომწონს, აქ გამოქვეყნებულ ფოტოებში წარსული იკითხება, მკითხველს გარდასულ დღეთა მოგონებებს აღუძრავს, რაც კარგახანს ასაზრდოებს მას. საოცარი განცდა დამეუფლა, როდესაც ჩემი ოჯახის ფოტო დაიბეჭდა, თანაც — უფასოდ.

მადლობა მინდა გითხრათ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ერთობ დიდი სიამოვნების მონიჭებისათვის.

პატივისცემით,
**ქეთევან გაბისონია.**

## საქართველოს ქალთა საბჭოში

# ერთნი მტკვარს ლიახვს ამსგავსებდნენ, მეორენი — ზღვას

**ახლახან, საქართველოს ქალთა საბჭოს თაოსნობით, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, დედაქალაქში დარჩენილი ბავშვების ერთი ჯგუფი პატარა გემით მტკვარზე გაასეირნეს. ის მოეწყო „სამგორიტურის" ხელმძღვანელების თამაზ ბიბილეიშვილისა და ნიკოლოზ გეგუჩაძის ხელშეწყობით. ეს იყო ბავშვებისათვის დაუვიწყარი გასეირნება მტკვარზე.**

თავიდან ცხინვალელი და სოხუმელი ბავშვები ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, მაგრამ მალე, როგორც ეს მათი ასაკისათვის არის დამახასიათებელი, გაუშინაურდნენ ერთმანეთს, გეგონებოდათ დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ, საუბარი ჩვეულებრივი იყო, რომელ კლასში ხარ, რომელ სკოლაში სწავლობ, სოხუმში ან ცხინვალში ხომ არ ყოფილხარ. ერთნი მტკვარს ზღვას ამსგავსებდნენ, მეორენი მდინარე ლიახვს. სიმღერის წამოწყებაც სცადეს... როცა გემმა ცურვით ჩაუარა დედაქალაქს მეტეხის ხიდისკენ, ბავშვებს ესაუბრნენ ძველ თბილისზე, მის ციხესიმაგრეებზე, საეკლესიო ძეგლებზე...

ამ დღეს ბავშვებს ნაყინით, ტკბილეულითა და გამაგრილებელი წყლებით გაუმასპინძლდნენ.

— მომავალი შეხვედრა სოხუმსა და ცხინვალში უნდა მოხდეს, — ასეთი იყო ბავშვების გადაწყვეტილება.

საქართველოს ქალთა საბჭოდან ბავშვებს მასპინძლობდნენ ქალთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარე ზინაიდა კვაჭაძე, წევრები — ქეთევან გაბრუაშვილი, სოხუმიდან დევნილი, აფხაზეთის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე როზა კუხალაშვილი, ცხინვალიდან — ლია დავითაია.

ამ დღეს ერთი უსიამოვნო შეგრძნება მაინც იყო, თვალს ხვდებოდა დანაგვიანებული მტკვრის სანაპირო...

**ნათელა ვარდოსანიძე.**

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

წყალტუბოში, წმინდა მარიამობის დღესასწაულისათვის ძმებთან და ახლობლებთან ერთად ჩავდიოდი, სადაც სანატორიუმ „იმერეთში" ლტოლვილები ცხოვრობენ. ავტობუსის „თბილისი-წყალტუბოს" გასვლამდე ჩემს გვერდით ადგილი ძაძებით შემოსილმა ქალმა დაიკავა, მას თან ბავშვები ახლდნენ. მათი გამცილებელი ახალგაზრდა შავებში ჩაცმული ქალი ცრემლებს ვერ მალავდა. ბავშვები დედას ვერ შორდებოდნენ.

ამ სურათის შემსწრე ბავშვების ბებიას გავესაუბრე. ის ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუდან დევნილი საშა ახველედიანი აღმოჩნდა. მას აფხაზეთის ომში 1993 წლის 27 თებერვალს 23 წლის შვილი რობინზონ ოთხოზორია დაღუპვია. მაშინ ობლად დარჩენილი მისი შვილები — თენგიზი ერთი წლისა და თეიმურაზი ორი წლისა ყოფილან. თავიდან აფხაზეთიდან დევნილებს ხონში სამხედრო დასახლებაში შეუფარებიათ თავი; როგორც ბევრი დევნილის ოჯახი, ჩემი თანამგზავრი საშა, თურმე, თბილისში 67 წლის მეუღლის პენსიის დანიშვნის თაობაზე იყო ჩამოსული, რომელიც უკვე ორი წელიწადია რატომღაც ჭიანურდება.

ვის უნდა მიმართო დასახმარებლად საარსებო წყაროს მოსანახად ამ დუხჭირ ქვეყანაში? ამიტომ ლტოლვილებმა თვითონ გამონახეს გამოსავალი, ბევრი მათგანი ქუჩაში ვაჭრობაში ჩაერთო. სწორედ ბავშვების დედა, რომელსაც თავისი მშობლიური მოვალეობა არ ავიწყდება, იძულებული ხდება დედაქალაქის ქუჩაში გაყიდეს სავაჭროდ.

ეს ყოველივე ცრემლმორეულმა მოხუცმა მიამბო: — 28 აგვისტოს ჩემს შვილს 31 წელი შეუსრულდებოდა. მის საფლავთან ვერ მივსულვარ, მაგრამ მაინც გვსურს ვიცოცხლოთ მე და ჩემმა მეუღლემ, რათა აფხაზეთში დაბრუნებულებმა სული მივიტანოთ შვილის საფლავთან და იქ დავიმკვიდროთ სამუდამო სასუფეველი.

წყალტუბოში გამოვემშვიდობე გაუბედურებულ დედას და ღმერთს შევთხოვე, რათა მისთვის ძალა მიეცა, რომ ეცოცხლა და დაბრუნებულს ეხილა შვილის საფლავი, რადგან მიზანი — ჩემიც და მისიც — მხოლოდ ერთია — აფხაზეთში დაბრუნება!

**რიტა ჩაკვეტაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტაქტები

# „ევრალექსში“ საქართველოდან ორი წევრია

საქართველოს საზღვრებს გარეთ ყოველი მეცნიერის წარმატება გვახარებს ხოლმე. საგულისხმოა ევროპის ლექსიკოგრაფიის ასოციაციის სწავლული მდივნის ჩერი ფონტენელეს წერილი, რომელიც ამ დღეებში ქართველმა მეცნიერმა რევაზ ბერულავამ მიიღო.

„ძვირფასო კოლეგა, მაქვს პატივი მოგესალმოთ, როგორც ევროპის ლექსიკოგრაფიის ასოციაციის **EURALEX**-ის („ევრალექს“) წევრს. თქვენ ხშირად მიიღებთ ყოველკვარტალურ გამოცემას „ლექსიკოგრაფიის საერთაშორისო ჟურნალი“, რომელიც, აგრეთვე, შეიცავს „ევრალექსის“ მოამბეს. შეგიძლიათ შემოგვთავაზოთ სტატიები და პროექტები ლექსიკოგრაფიის საკითხებზე ჩვენს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

ასოციაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ გაწევრიანებისათვის და გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მივიღოთ თქვენი წინადადებები და რჩევები“.

რევაზ ბერულავა არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამეცნიერო-ტექნოლოგიური სექტორის ხელმძღვანელი, 160-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის, ოთხი მონოგრაფიის, ორი სახელმძღვანელოსი, ორი დამხმარე სახელმძღვანელოსი, გამოთვლითი ტექნიკის, საინჟინრო ეკონომიკის, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. თანაავტორებთან ილელა ქვაჩახიასა და თეა ბერულავასთან ერთად შექმნა და 8 წიგნად გამოსცა თანამედროვე დარგების ორ და სამენოვანი ლექსიკონები, აქედან 2 ლექსიკონი განმარტებითი ტერმინოლოგიური ცნობარია.

რევაზ ბერულავა გამომცემლობა „იბერთიდ-პრესის“ დირექტორია, სადაც უკვე გამოიცა სპეციალიზებული ლექსიკონები ეკონომიკის, ბიზნესის, გამოთვლითი ტექნიკის, ინტერნეტის საკითხებზე. გამომცემლობა, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ცნობილია სპეციალისტთა ფართო წრისათვის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ, საზღვარგარეთაც. როგორც ლექსიკონების შექმნა-გამოცემაზე სპეციალიზებულ ერთადერთ გამომცემლობას საქართველოში, ინტერნეტის საინფორმაციო სივრცეში ორი სხვადასხვა მისამართზე გააჩნია საინფორმაციოს გვერდები: ლექსიკოგრაფისტების და გამომცემლობებისათვის.

და კიდევ ერთი სასიამოვნო ცნობაც: ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების საფუძველზე გამომცემლობა, რომელსაც რევაზ ბერულავა უძღვება, ასრულებს ერთობლივ სამუშაოებს მსოფლიოში ცნობილ გამომცემლობასთან „**PETER COLLINS PUDLISHERS**, რის შედეგადაც მალე გამოსცემს ორენოვან იურიდიულ განმარტებით ლექსიკონს. ამჟამად „ევრალექსში“ საქართველო წარმოდგენილია ორი წევრით – რევაზ და თეა ბერულავებით. წარმატება ვუსურვოთ.

**ნათია ვარდოსანიძე.**

წუხილი

## განა რამდენ პენსიას ვიღებთ...

ძვირფასო რედაქცია, იყო დრო, თქვენი გაზეთის მკითხველი ვიყავი. ახლა აღარც ეკონომიურად შემიძლია მისი შეძენა და ფეხის მოტეხვის გამო შინიდანაც ვერ გამოვდივარ, რომ ჯიხურთან მაინც გადავათვალიერო. შრომის პენსიონერი გახლავართ. ჩემს პენსიას ჩემი ახლობელი იღებს. ადრე, მინდობილობას სახლმმართველი მრგვალი ბეჭდით ადასტურებდა, ეგ იყო და ეგ. ახლა ამისათვის ნოტარიუსთან გაფორმებაა საჭირო, რისთვისაც 8 ლარს იღებენ. თანაც მინდობილობა ყოველ სამ თვეში ერთხელ უნდა გამოიცვალოს, და რა თქმა უნდა, შესაბამისად, 8-8 ლარიც უნდა ვიხადოთ.

განა, რამდენ პენსიას ვიღებთ, რომ ამდენი ფული ვიხადოთ?

**სოფიო მინაზაროვა,**
თბილისი, საბურთალოს რაიონი.

მადლიერება

## სულზე მომისწრეს

ივლისი საკმაოდ მაღალი სიცხეებით დაიწყო. მერიის შენობიდან გამოსულმა თავი ცუდად ვიგრძენი. კეთილმა ადამიანებმა მთაწმინდის რაიონის გამგეობაში ამიყვანეს. პირველადმა დახმარებამ შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ „03“ გამოიძახეს, №9 სადგურის სასწრაფო დახმარების ექიმებმა ვიქტორ ბაბირმა და ნანა ორჯონიკიძემ, მართლაც, სულზე მიმოსწრეს...

მადლობა მინდა ვუთხრა მთაწმინდის რაიონის გამგეობის თანამშრომლებს ყურადღებისათვის, ქალაქის მერიას „03“-ის მომსახურების დაფინანსებისათვის, ექიმ ვიქტორ ბაბირსა და ნანა ორჯონიკიძეს გულისხმიერებისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

**დოდო ზურაბიშვილი.**



სულიერება



## უნივერსიტეტის ეკლესიას ხუთი წლისთავი შეუსრულდა

ამ დღეებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკლესიას ხუთი წელიწადი შეუსრულდა. მისი აშენების იდეა უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს ეკუთვნის. ეკლესიის მშენებლობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია || ლოცვა-კურთხევით 1995 წლის 5 სექტემბერს დაიწყო. აკურთხა ყოვლად უსამღვდელოესმა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა (ტაძრის არქიტექტორია გიორგი მარსაგიშვილი). ამ ეკლესიის პირველი წინამძღვარი გახლდათ მამა ბასილ კობახიძე.

– ის ჩვენი გაზრდილია და დღეს სამეცნიერო მუშაობას საქართველოს გარეთ, საფრანგეთში ეწევა, – აღნიშნა ბატონმა როინ მეტრეველმა.

დღეს ეკლესიის წინამძღვარია დეკანოზი მიქაელ წურწუმია, მოძღვარი მამა ბასილ ქორქიკაშვილი.

ეკლესიის 5 წლისთავზე ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა საზეიმო წირვა აღავლინა. წირვას ესწრებოდნენ წინადღით საფრანგეთიდან ჩამობრძანებული მამა ბასილ კობახიძე, აგრეთვე, მამა ილია წერეთელი.

მეუფე დანიელისა და დეკანოზ მიქაელის თხოვნით, მრევლს სიტყვით მიმართა როინ მეტრეველმა.

– ჩვენთვის დიდი პატივია, რომ 5 წლის თავზე აქ წირვა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დანიელმა აღავლინა. უნივერსიტეტის კოლექტივისათვის ძალზე ძვირფასია ეს ტაძარი, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძის ანგელოზის დავით აღმაშენებლის სახელს ატარებს.

მადლობა ყველას, ვინც აქ მსახურობს. ახლადაგებულ ეკლესიაში მრევლის მოზიდვის საქმეში დიდია მამა ბასილ კობახიძის დამსახურება. მადლობა წინამძღვარ მამა მიქაელს, რომელიც მასთან ერთად არაფერს იშურებს ეკლესიის კეთილმოსაწყობად; მადლობა ცნობილ ხატმწერს ამირან გოგლიძეს, რომელმაც ისე მოხატა ეკლესია, რომ მისი ნამუშევარი თანამედროვე ხატწერის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული.

ასე რომ, 2000 წლის სექტემბრის იმ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკლესია თავის 5 წლისთავს მოხატული შეხვდა, რომელიც ამირან გოგლიძემ ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო და ახლახან აგვისტოს ბოლოს სწორედ სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულა.

ძვირფასო რედაქცია, ეს სურათიც, რომელსაც გიგზავნით, ელდარ მალხაზიშვილმა იმ დღეს გადაიღო.

**მანანა არველაძე.**

იმედი

## გაჯანსაღებამ ახალგაზრდების მხრებზე უნდა გადაიაროს

არც ისე შორეულ წარსულს მახსენებს ჩვენი დუხჭირი ცხოვრება. ცნობილი რუსი მწერალი და დრამატურგი ლევ შეინინი თავის „გამომძიებლის ჩანაწერებში“ წერდა: „საბჭოეთის დაარსებიდან მეექვსე წლისთავზე, როგორც ხუთწლიანი სტაჟის კომკავშირელი და რაიკომის წევრი, სასწრაფოდ გამომიძახეს და შემთავაზეს – საიმედო ფინინსპექტორები და გამომძიებლები გვჭირდება. აბა, დაფიქრდი, ფინინსპექტორები ნეპმანების ლაბეგვრის საქმეს განაგებენ, ისინი მიდგომის ათასგვარ საშუალებებს პოულობენ, ამით კი ქვეყნის ბიუჯეტი ზარალდება“.

რამ გამახსენა შეინინის ეს ნაწარმოები? – დღევანდელმა გასაჭირმა. დღეს არა მარტო ნეპმანები, არამედ ათასგვარი ჯურის „კონტრა“ თუ „გველეშაპი“ გადაგვიდგა წინ, ისინი – ჩვენს ულუფას ნთქავენ და ანადგურებენ. გამოგიტყდებით, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ზოგიერთ სტრუქტურაში ძირითადად ისეთი ხალხი ზის, ვინც ვერ ამჩნევს ამას ან კიდევ საკუთარ თავს უფრთხილდება, ჩვენკენ არ იხედება. როგორც არის ნათქვამი: მაძღარ მღვდელს დიაკონიც მაძღარი ეგონაო.

აუცილებელია, მმართველ სტრუქტურაში ახალგაზრდების მოსვლა. საქართველოს კადრები არ უჭირს, პირიქით – საჭიროზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე იურისტი და ეკონომისტი გვყავს, მათი უმრავლესობა უმუშევარია. აუცილებელია, დავასაქმოთ ახალგაზრდა კადრები, რათა ქვეყნის საკეთილდღეოდ დაიხარჯოს მათი მოზღვავებული ენერგია.

მე მჯერა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის, ის ახალგაზრდობის მხარში ამოდგომით სწორი მიმართულებით წაიყვანს ქვეყანას.

**რეზო ლალიაშვილი,**
წყალტუბოს რაიონი,
სოფელი საყულია.

## რა ბედი ეწევა ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს?!

წლეულს ამ საბალეტო კადრების სამჭედლოს თავისი ფინანსური მდგომარეობის მიხედვით 30 მოსწავლის ჩარიცხვა ჰქონდა განზრახული. მოეწყო შესარჩევი გამოცდები, რომელთა შემდეგ შეირჩა 20 აბიტურიენტი, ხოლო 10 შერჩევა სექტემბრისათვის იყო განზრახული.

– სამწუხაროდ, – უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სასწავლებლის დირექტორმა ბარამ ბარამიძემ, – მოვლენები ისე ვითარდება, რომ იქნებ სულაც ვერ მივიღოთ სათანადო თანხები და ახალი შევსების გარეშე დავრჩეთ. და, საერთოდ, დღის წესრიგში მწვავედ დგება საკითხი –გვჭირდება თუ არა საშუალო სპეციალური განათლება?

ჩვენ შევძელით არ შეგვესუსტებინა სასწავლო პროცესი, აღვზარდეთ შესანიშნავი ახალი თაობა. გვეამაყება, რომ წლეულს ბულგარეთში, ვარნის საერთაშორისო ფესტივალზე ჩვენმა აღზრდილმა ლალი კანდელაკმა პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა. მას პარტნიორობას, ასევე, ჩვენი აღზრდილი ვასიკო ახმეტელი უწევდა, რომლებიც საქართველოს სახელით გამოდიოდნენ კონკურსზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ამჟამად თურქეთში მუშაობენ. ასევე წლეულს, მაისში წარმატებით გამოვიდა და მეორე ადგილი დაიკავა ისრაელის საერთაშორისო საბალეტო კონკურსში ჩვენმა აღზრდილმა შორენა ხაინდრავამ. წლეულს ჩვენი კურსდამთავრებული სოფიკო ჯავახაძე მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის დასმა მიიწვია, ხოლო თბილისის ოპერისა და ბალეტის დასში ჩაირიცხნენ ანა ყიფშიძე, ნონა დევდარიანი. სულ, წლეულს თეატრის საბალეტო დასს ჩვენი სასწავლებლის აღზრდილები – ოთხი ვაჟი და ექვსი გოგონა შეემატნენ.

## ქართველი ბალეტმაისტერი სანკტ-პეტერბურგში მიიწვიეს

ცნობილი ქართველი ბალეტმაისტერი გოგი ალექსიძე სანკტ-პეტერბურგში მიიწვიეს. იგი ამიერიდან ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიაში საბალეტო კათედრის გამგე იქნება. თუმცა, ქართველი ბალეტმაისტერი კვლავ განაგრძობს თავის საქმიანობას თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელშიც.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**ამ ბოლო დროს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ვულკანების ამოფრქვევის მრავალი შემთხვევაა.**

**გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გაგვიმარტოთ, რა იწვევს ამ მოვლენებს?**

**გიორგი კვერნაძე,**
**თბილისი.**

– ვულკანი (ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება ვულკანუსის მიხედვით) გეოლოგიური წარმონაქმნია დედამიწის ქერქში არსებულ არხებსა და ნაპრალებზე, რომლებიდანაც დედამიწის ზედაპირზე პერიოდულად ან მუდმივად იფრქვევა ლავა, გავარვარებული აირებისა და ქანების ნამსხვრევების ამოტყორცნის სიმაღლე კი 1-5 კილომეტრის ფარგლებში მერყეობს (იყო შემთხვევა, როცა მან 45 კმ სიმაღლესაც კი მიაღწია).

ვულკანი სამი სახისაა: მოქმედი, რომელიც გამუდმებით ან პერიოდულად იფრქვევა, მიძინებული, რომლის ქვეშ ლოკალური მიწისძვრების კერებია და არ არის გამორიცხული მისი მოქმედების განახლება და, ჩამქრალი, რომლებიც მოქმედებდა მხოლოდ გეოლოგიურ წარსულში და დღეს აქტივობის არავითარი ნიშანწყალი არ გააჩნია.

მის ამოფრქვევას წინ უსწრებს ვულკანური მიწისძვრები და აკუსტიკური მოვლენები.

# ათასწლეულის სამიტის ახალი სკანდალები



ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ჩხრეკას ათასწლეულის სამიტზე ახალი სკანდალები მოჰყვა. მათი ცენტრალური პერსონაჟები გახდნენ ისეთი პატივცემული პოლიტიკოსები, როგორებიც არიან ბელორუსიის პრეზიდენტი ლუკაშენკო, კუბის პრეზიდენტი კასტრო და ზიმბაბვეს პრეზიდენტი მუგაბე.

სამიტი, როგორც ცნობილია, დაიწყო ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის სკანდალური უარით მასში მონაწილეობაზე. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა ისინი ფრანკფურტის აეროპორტში გაჩხრიკეს. თან, ჩხრეკისას მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეები ტიტლიკანა დააყენეს და მთელი ბარგი გადაუქექეს. ამის გამო შემდეგ თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯო ლოქჰარტმა სინანული გამოთქვა, მაგრამ კორეელები ძალზე განაწყენდნენ. მათ კლინტონის ადმინისტრაციას ხულიგნების ხროვა უწოდეს, ხოლო თვით შეერთებულ შტატებს – მოკვეთილი სახელმწიფო.

ჩრდილოეთკორეელების შემდეგ ამერიკელებს ბელორუსებიც შემოსწყრნენ. სამიტი ვადამდე დატოვა ბელორუსიის დელეგაციამაც ალექსანდრე ლუკაშენკოს მეთაურობით. ნიუ-იორკიდან ლუკაშენკოს უეცარი გამგზავრების მიზეზი ბელორუსიის ხელისუფალთ ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ. მაგრამ, ინტერფაქსის ცნობით, დელეგაციის გამგზავრების საბაბი გახდა ის ფაქტი, რომ ბელორუსიის პრეზიდენტი არ დაპატიჟეს სამიტისადმი მიძღვნილ ოფიციალურ დარბაზობაზე. გაეროს წყაროები ამტკიცებენ, რომ ბელორუსიის ლიდერის გვარი სიიდან პირადად ბილ კლინტონმა ამოაგდო. ცნობილია, რომ აშშ და კიდევ მთელი რიგი ქვეყნები არ ცნობენ ბელორუსიის არჩევნების შედეგებს და ლუკაშენკო არალეგიტიმურ პრეზიდენტად მიაჩნიათ. არ არის გამორიცხული, რომ ლუკაშენკო არ დაპატიჟეს სამიტზე მისი მეტისმეტად ემოციური გამოსვლის გამო.

კიდევ უფრო ემოციური გამოდგა კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს სიტყვა. კომანდანტემ თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ კათედრაზე ავიდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გადააფარა ყვითელ ლამპას, რომელიც მაშინ ინთება, როდესაც გამომსვლელი 5-წუთიან რეგლამენტს არღვევს. აუდიტორია, რომელიც უპირატესად პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრებისა და მეფეებისაგან შედგებოდა, ახარხარდა და დიდხანს იცინოდა. შემდეგ კასტრო, როგორც ვარაუდობდნენ, კრიტიკით დაატყდა თავს გაეროსა და, საერთოდ, კაპიტალიზმის სამყაროს.

სანამ კასტრო სამიტის მონაწილეებს „თვალს უხელდა“, კუბელმა ემიგრანტებმა მოითხოვეს, ფიდელი დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ. ასობით ნიუ-იორკელი კასტროს კორტეჟს შეხვდა სტვენითა და ყიჟინით, ხოლო მერმა რუდოლფ ჯულიანიმ საჯაროდ უწოდა კომანდანტეს კაცისმკვლელი. ცოტა ხანში ამის შემდეგ „ძმათა ხსნის“ ემიგრანტულმა ორგანიზაციამ ჯულიანის სთხოვა, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი კასტროსათვის სასამართლო სარჩელის წარსადგენად იმის გამო, რომ ცოტა ხნის წინათ კუბის საჰაერო დაცვამ ამ ორგანიზაციის თვითმფრინავი ჩამოაგდო ფლორიდის სანაპიროს მახლობლად. ჯულიანიმ თქვა, კუბელებს ფედერალური გამოძიების ბიურო მოუელისო, და განაცხადა, რომ „ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კასტრომ უდანაშაულო ადამიანთა დახოცვა ბრძანა“.

ამასობაში, ნიუ-იორკის შავკანიანთა უბანში – ჰარლემის რაიონში გაჩაღდა უმძლავრესი კამპანია ზიმბაბვეს პრეზიდენტის მუგაბეს მხარდასაჭერად. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ მუგაბემ ბიძგი მისცა მძლავრ რევოლუციურ მოძრაობას, ეგრეთ წოდებულ „შავ რევოლუციას“. ბრიტანეთის ყოფილი კოლონიის შავკანიანი მცხოვრებნი შეუდგნენ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას და თეთრკანიანთა ხოცვა-ჟლეტას. ჰარლემის „ზიმბაბვეს მეგობართა ორგანიზაციამ“ ამ ქვეყნის ლიდერის პროპაგანდა გააჩაღა. თვით მუგაბე კი ნიუ-იორკის ბაპტისტურ ეკლესიაში გამოვიდა ვრცელი სიტყვით.






# რუსეთის მეძავთა პირველი ყრილობის შესახვედრად

**რამდენიმე დღის შემდეგ სარატოვში უპრეცედენტო ღონისძიება ეწყობა. ოლქის ხელისუფალნი ემზადებიან რუსეთის ისტორიაში პირველი მეძავთა ყრილობის შესახვედრად. ამრიგად, სარატოვის ადმინისტრაცია ცდილობს, თუნდაც გააკონტროლოს ის, რისი ვერც აკრძალვა მოუხერხებია და ვერც ლეგალიზება.**

მეძავთა ყრილობის მოწვევის ინიციატორია სარატოვის გუბერნატორი დიმიტრი აიაცკოვი. სარატოვის ოლქის ხელისუფლები,



უკვე დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს პროსტიტუციის პრობლემები, ვინაიდან პროსტიტუცია არის, იყო და იქნება, და მასთან ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელია. სარატოველებმა წამოაყენეს წინადადება მისი ლეგალიზების თაობაზე. ის კი არა, გაჩნდა იდეა, გახსნან საროსკიპო, – რუსეთში პირველი. მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსით ეს დანაშაულია. ამიტომ, საბორდელო ბიზნესის ლეგალიზაციის საკითხი ღიად რჩება. მაგრამ სარატოვის ადმინისტრაცია არ ნებდება და ცდილობს, თანდათან „მოიშინაუროს“ მეძავები. ხელისუფლები სიყვარულის ქურუმებს სთავაზობენ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტას. სანაცვლოდ კი სურთ, კონტროლი გაუწიონ ამ საქმეს და მიანიჭონ მას ცივილიზებული ფორმები.

სექსის ინდუსტრიის მუშაკთა ყრილობაზე, რომელზეც სულ ცოტა 500 დელეგატი შეიკრიბება, უძველესი პროფესიის წარმომადგენლები შეხვდებიან ადმინისტრაციას, აგრეთვე, თვით გუბერნატორს.

ოლქის ხელისუფალნი ცდილობენ, დაეხმარონ მეძავებს მათი პრობლემების გადაჭრაში. მაგალითად, მოუგვარონ მილიციასთან ურთიერთობა – ყველასთვის ცნობილია, რომ მეძავებს იძულებულს ხდიან, მოაწყონ ხოლმე ეგრეთ წოდებული „შაბათობები“, როდესაც უფასოდ ემსახურებიან მილიციელებს. ხელისუფლებმა უნდა იზრუნონ იმისთვისაც, თუ როგორ დაიცვან მეძავები მანიაკებისაგან.

ამასობაში კი, სარატოვის ოლქის ხელმძღვანელობა არ კარგავს იმედს, რომ პრობლემა სახელმწიფოს მასშტაბით მოგვარდება. სპეციალური კომისია უკვე იწყებს მუშაობას პროსტიტუციის ფედერალური კანონის პროექტზე.

# ტიპიური მკვლელი თქვენს შორის არის!

**როგორც ცნობილია, ამერიკის სკოლებში დრო და დრო ისვრიან ხოლმე. ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად აშშ ცდილობს, შეიმუშაოს რამდენიმე სპეციალური პროგრამა.**

პრობლემაზე მუშაობის პროცესში ფედერალური გამოძიების ბიურომ გადაწყვიტა, შეექმნა პოტენციური „მსროლელი“ მოსწავლის ტიპიური პორტრეტი, ანუ შეექმნა ერთგვარი პორტრეტი, რომელიც ანალოგიური იქნებოდა იმისა, მოსკოვის მილიცია „კავკასიური ეროვნების პირებს“ რომ უწოდებს. ასეთ პირებს აიძულებენ, გაიარონ სპეციალური რეგისტრაცია, უმოწმებენ ქუჩაში პასპორტს და, საერთოდ, ალმაცერად უყურებენ.

ძნელი სათქმელია, როგორი გამოვიდოდა ტიპიური პოტენციური ამერიკელი მკვლელი მოსწავლის პორტრეტი, მაგრამ აშშ-მ ასევე მოულოდნელად შეწყვიტა დაწყებული მუშაობა. მთავარი მოტივი უბრალოა: ასეთი პორტრეტის შე-



ქმნა და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნება გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის სხვა სავსებით მშვიდობიან მოსწავლეებს.

თუმცა, **აშშ**-ში არსებობს სკოლაში სროლის ატეხის მიდრეკილების მქონე მოსწავლეების ხასიათის ნიშნებისა და პერსონალური მახასიათებლების სანიმუშო სია. მასში შედის 28 სხვადასხვა პუნქტი: თვითშეფასება, ფსიქოლოგიური არაადეკვატურობის სხვადასხვა გამოვლინებანი, ოჯახში იარაღის ხელმისაწვდომობა და, საერთოდ, ოჯახური ვითარება, ნარკოტიკების მოხმარების მისაწვდომობა, ინტერნეტის ამა თუ იმ საიტებისა და ტელევიზიის გადაცემების პოპულარობა.

# ამერიკის მონაცემები «კურსკის» შესახებ

**ათასწლეულის სამიტის დროს ამერიკის მხარემ რუსეთს გადასცა სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ დაღუპვას შეეხება. ამ თემაზე მანჰეტენის „უოლდორფ-ასტორია“ სასტუმროში იმ-**



**სჯელეს ბილ კლინტონმა და ვლადიმერ პუტინმა.**

„რუსების თხოვნით, ჩვენ მათ გადავეცით ყველაფერი იმის თაობაზე, რაც ვიცით „კურსკის“ ტრაგედიასთან დაკავშირებით, – განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა დეივიდ სტოკუენმა, რომელმაც უარი თქვა დაწვრილებითი ცნობების მოცემაზე.



ამ თვალსაზრისით მან განაგრძო აშშ თავდაცვის სამინისტროს ხაზი, რომელმაც იკმარა ის განცხადება, რომ „კურსკი“ უცხოურ წყალქვეშა ნავთან შეტაკებისას არ დაზიანებულა.

„ჩვენ არ ვიხილავთ ხოლმე წყალქვეშა ოპერაციების დეტალებს ან მათ ადგილსამყოფელს“, – აცხადებდა პენტაგონის წარმომადგენელი, კონტრადმირალი კრეიგ უედლი, რომელმაც მხოლოდ ის თქვა, რომ წვრთნას თვალს ადევნებდა, აგრეთვე, სადაზვერვო ხომალდი „ლოიალი“, რომელშიც სამხედროების ჯგუფი და სამოქალაქო ეკიპაჟი იყო.

პრესაში გაჟონილი მონაცემებით, ამერიკულმა ჰიდროლოკატორებმა თავდაპირველად აღრიცხეს „კურსკის“ ბორტზე მომხდარი აფეთქება, ხოლო 2 წუთისა და 15 წამის შემდეგ გაიგონეს მეორე, გაცილებით უფრო ძლიერი.

პრესაში დაიბეჭდა აგრეთვე ვერსია ახალი „შკვალ“ ტორპედოს აფეთქების თაობაზე, მაგრამ ოფიციალურად პენტაგონს ასეთი არაფერი განუცხადებია.

ინგლისურ პრესაში აღინიშნა, რომ ამერიკელ ედმუნდ პოუპს, რომელიც რუსეთში დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით, ინკრიმინირებული აქვს საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება სწორედ „შკვალ“ ტორპედოს თაობაზე. სხვათა შორის, კლინტონმა პუტინთან ერთად პოუპის საკითხზეც იმსჯელა, წერს დასასრულ **ვლადიმერ კოზლოვსკი**, ბი-ბი-სის მიმომხილველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაერო: ახალი შეხედულება მშვიდობისმყოფლობაზე

**ათასწლეულის სამიტზე მრავალი ქვეყნის ლიდერებმა თავიანთ დისკუსიებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს გაეროს სამშვიდობისმყოფლო ოპერაციებს, უწინარესად, აფ-**



**რიკაში. ამ უპრეცედენტო შეხვედრის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა, როგორ განამტკიცონ გაეროს უნარი, აღადგინოს და დაამკვიდროს მშვიდობა პლანეტის სხვადასხვა წერტილში.**

უშიშროების საბჭოს წევრი 15 ქვეყნის ლიდერები სპეციალურ სხდომას გამართავენ მშვიდობისა და უშიშროების საკითხებზე. სამიტის ფარგლებში მოეწყობა, აგრეთვე, მთელი რიგი დახურული შეხვედრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომავლის განსახილველად.

## სავალალო გამოცდილება

კონფლიქტებმა სიერა-ლეონეში, სომალიში, რუანდასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოითხოვეს გაეროს მთელი ძალების დაძაბვა და დააყენეს მისი მშვიდობისმყოფლური როლის საკითხები.



მსოფლიო ლიდერებს წარედგინა მოხსენება, რომელიც მოიწონა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა და მისცა რეკომენდაცია გაეროს სამშვიდობისმყოფლო მისიებისადმი მიდგომის სრული გადასინჯვისათვის. გაეროს მარცხი აფრიკაში, ბი-ბი-სის მიმომხილველის ბარნაბი მეისონის აზრით, გვაფიქრებინებს, რომ ამგვარი შინაური კონფლიქტები მოითხოვენ უფრო შეთანხმებულ და მტკიცე რეაქციებს, რაც გაეროს ამჟამად არ ძალუძს.

ბი-ბი-სის კორესპონდენტი სიერა-ლეონეში ალან ლითლი თავის დროზე ბოსნიაში იმყოფებოდა და გამოავლინა ბევრი ზოგადი ნიშანი გაეროს წარუმატებლობებში: უდავოა, საერთო მიზეზები არის და, საბედნიეროდ, ახლა საერთაშორისო გაერთიანებას თანდათან გამოაქვს ერთიანი დასკვნა იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობენ ისინი.

## ბოსნიიდან სიერა-ლეონემდე

**ახლა აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ბოსნიაში ჩარევამ მხოლოდ გაახანგრძლივა კონფლიქტი და ვერანაირად ვერ შეცვალა მისი შედეგები. ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ „მშვიდობისმყოფლები ვერ გაავლებენ ხაზს რესპუბლიკის კანონიერ მთავრობასა და რადოვან კარაჯიჩის მოთარეშე მოლაშქრეებს შორის".**

ახლა კოფი ანანი და მისი ადმინისტრაცია ამუშავებენ სხვაგვარ მიდგომას: არა მარტო მშვიდობის მხარდაჭერა, არამედ მშვიდობის ძალისმიერი დამყარებაც. მუშავდება დოქტრინა, რომ მშვიდობის დამყარება უნდა იყოს სტრატეგიული თვალსაზრისით ნეიტრალური, ანუ არ უნდა იყოს მიმართული რომელიმე მტრის წინააღმდეგ. მაგრამ მშვიდობისმყოფელ ძალებს უნდა ჰქონდეთ უფლება, დასაჯონ მხარეები საერთაშორისო კანონების დაუცველობისათვის.

# ბერეზოვსკი კიდევ ჩამოფრინდება



**როგორც რუსეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, სათათბიროს ყოფილი დეპუტატის ბორის ბერეზოვსკის თვითმფრინავი იძულებით დაჯდა დიუსელდორფის აეროპორტში.**

სატელეფონო ინტერვიუში ბერეზოვსკიმ „ინტერფაქსს" აცნობა, რომ „თვითმფრინავში რაღაცას ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ პილოტებმა შეძლეს, დაესვათ თვითმფრინავი". ბერეზოვსკისათვის მოულოდნელი ძირს დაშვება უსიამოვნო სიურპრიზი იყო. თუმცა, ალმოდებული ლაინერით ფრენაც ვერ არის სასიხარულო პერსპექტივა.

ჯერჯერობით არავინ იცის, საით გაეშურება ბორის აბრამის ძე მოსკოვში დაბრუნების შემდეგ. მაგრამ დიდ ინტერესს იწვევს პრესკონფერენცია, რომელიც ეძღვნება „ОРТ აქციების კერძო პაკეტის გადაცემას ჟურნალისტებისა და შემოქმედი ინტელიგენციისათვის".

# ცივი ომის ისტორიიდან

# „სოიუზ-აპოლონი"

# იალტიდან მალტამდე



**იმ დროს კრიტიკოსები „ძვირადღირებულ კოსმოსურ ცირკად" და „250-მილიონ დოლარიან ხელისჩამორთმევად" იხსენიებდნენ „აპოლონ-სოიუზის" 1975 წლის მისიას. მაგრამ ეს მისია გახდა ცივი ომის დროიდან ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დათბობის ერთ-ერთი იშვიათი მომენტი. გარდა ამისა, მან საფუძველი ჩაუყარა შემდგომ საერთაშორისო კოსმოსურ ფრენას.**

„აპოლონ-სოიუზი" (ზოგ ისტორიულ ტექსტში – „სოიუზ-აპოლონად" მოხსენიებული) იყო კოსმოსური ექსპედიცია, რომელიც გარკვეული პოლიტიკური სიტუაციის ფარგლებში ხორციელდებოდა.



„ეს იყო ფრიად მნიშვნელოვანი სიმბოლო კოსმოსური თანამშრომლობისა, – ამბობს **ალექს როლანდი, ნასა**-ს ყოფილი ისტორიკოსი, დიუკის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე, – გარდა ამისა, ამ ფრენამ დაასრულა კოსმოსური რბოლის ყველაზე დაძაბული მონაკვეთი, რომელიც საბჭოთა თანამგზავრის ფრენით დაიწყო".

1975 წლის 15 ივლისს „სოიუზ" კოსმოსური ხომალდი, რომელშიც კოსმონავტები ალექსი ლეონოვი და ვალერი კუბასოვი იყვნენ, ორბიტაზე გაუშვეს ბაიკონურის (ყაზახეთი) კოსმოდრომიდან. დაახლოებით რვა საათის შემდეგ ფლორიდის კანავერალის კონცხიდან აფრინდა „სატურნ-1ბ" რაკეტა „აპოლონ" ხომალდითურთ, რომელშიც იყვნენ ამერიკელი ასტრონავტები ტომას სტაფორდი, ვენს ბრენდი და დონალდ „დიკ" სლეიტონი.

დედამიწელები ორი დღის განმავლობაში სულგანაბულნი ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ მანევრირებენ ხომალდები შეპირაპირების პოზიციის შესარჩევად – ისინი ემზადებოდნენ უპრეცედენტო საერთაშორისო კოსმოსური მისიისათვის.

კონტაქტი შედგა დედამიწის ზედაპირიდან 140 მილ სიმაღლეზე, ატლანტიკის თავზე. შეპირაპირებიდან სამი საათის შემდეგ ლეონოვმა და სტაფორდმა კოსმოსურ რაბში მისალმების შემდეგ გულში ჩაიკრეს ერთმანეთი.




მისიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სიმბოლურ მოქმედებას. კოსმონავტები და ასტრონავტები ერთმანეთს უცვლიდნენ ალმებს, სუვენირებს, ფირფიტებს. საბჭოთა ლიდერის ლეონიდ ბრეჟნევისა და ამერიკის პრეზიდენტის ჯერალდ ფორდის მისალმებანი გადაიცემოდა შეპირაპირებულ ხომალდებსა და მთელ მსოფლიოში.

ასტრონავტები და კოსმონავტები აწყობდნენ სატელევიზიო ექსკურსიებს თავიანთ ხომალდებში მსოფლიოს ტელემაყურებლებისათვის. ისინი უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს – რუსებმა მოამზადეს სადილი, რომელშიც შედიოდა თაფლაკვერი („პრიანიკი"), რუსული ჭვავის პური, ნიგოზი, ქლიავი, ხორცის პაშტეტი და ხაჭო. ამერიკელებმა ამას უპასუხეს ინდაურით, ხორცის ბურთულებით, „ა-ლა კინგ" ქათმით და ზღვის პროდუქტების სოკოიანი სუპით. გაისმოდა მეგობრობის სადღეგრძელოები – მართალია, არყის ნაცვლად ბორშჩს ხვრეპდნენ.

კოსმონავტები ასევე სრულყოფდნენ შეპირაპირების პროცედურას და აწყობდნენ სამეცნიერო ექსპერიმენტებს. ამ ექსპერიმენტებიდან ზოგიერთი გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც რუსები და ამერიკელები თითქმის ორ დღეს ერთად ყოფნის შემდეგ დასცილდნენ ერთმანეთს.



რამდენიმე წვრილმანი ტექნიკური უწესივრობის, მათ შორის, „აპოლონის" კაბინაში პოტენციურად საშიში ქიმიური ნივთიერების გაჟონვის მიუხედავად, ორივე ეკიპაჟი მშვიდობიანად დაბრუნდა დედამიწაზე: „სოიუზი" პარაშუტით დაეშვა ხმელეთზე სსრ კავშირში 21 ივლისს, ხოლო „აპოლონი" წყლის ზედაპირზე დაჯდა ჰავაის მახლობლად სამი დღის შემდეგ.

„აპოლონ-სოიუზ" ექსპედიციამ არა მარტო მონიშნა მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობის გაუმჯობესება. „ყოველივე ამაში დიდმნიშვნელოვანი იყო ის, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ახლა უკვე შეეძლოთ, ცდილიყვნენ, შეეთანხმებინათ თავიანთი ტექნოლოგიები, რათა საჭიროების შემთხვევაში ეხსნათ ერთმანეთი, ამბობს როლანდი. სამწუხაროდ, შემდგომი წლების მანძილზე ურთიერთობა კვლავ გაუარესდა, და ერთობლივი კოსმოსური ფრენის განგრძობის იმედები გაქრა 90-იანი წლების დამდეგს „შატლ-მირ" ექსპედიციებამდე.

„აპოლონ-სოიუზი" ასევე მოასწავებდა „აპოლონ" ამერიკული კოსმოსური პროექტის დასასრულს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა, კერძოდ, მთვარეზე გაფრენა. ამ ექსპედიციის შემდეგ **ნასა**-ს ექვს წელიწადს არ გაუშვია პილოტირებული ხომალდები და მხოლოდ კოსმოსური მაქოს დახვეწაზე მუშაობდა.

ამის შედეგად 1800 კაცმა დაკარგა სამუშაო ფლორიდის კენედის კოსმოსურ ცენტრში.

მაინც, რას მიაღწია „აპოლონ-სოიუზ" ექსპედიციამ?

„თუ თქვენ ჰკითხავთ ჩემს სტუდენტებს, რა არის „აპოლონ-სოიუზი", ისინი ვერ გიპასუხებენ, – ამბობს როლანდი, – ისტორიული მნიშვნელობა მას არ ჰქონია – ეს ისე, ცივი ომის ხანის შემთხვევითობა იყო".

მაგრამ ვეტერანი ასტრონავტი ვენს ბრენდი, ამჟამად ნასა-ს კალიფორნიის დრაიდენის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე აეროკოსმოსური პროექტის დარგში, სხვაგვარად თვლის.

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის – და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოსათვის – ეს იყო უკეთესი ურთიერთგაგებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, – ამბობს იგი, – ჩვენ გავხდით კარგი მაგალითი არასახუმარო ცივი ომის დროს და ცხადვყავით, რომ ორ ქვეყანას შეუძლია, ერთად მოჰკიდოს ხელი საქმეს და ერთად შეასხას მას ხორცი", – ნათქვამია დასასრულ სი-ენ-ენის კორესპონდენტის **ბრიუს კენედის** მიმოხილვაში.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდებს უძღვებიან**

***არჩილ მანჯგალაძე,***
***კახა ქორიძე.***

## პოეზია უპირველეს ყოვლისა



# ილია ბარამიძე

### ჩემი ლექსები

დღეს შემიძლია გითხრათ თამამად,
და კვერს დამიკრავს ნებისმიერი,
ჩემი ლექსების ნაღდი მამა ვარ,
მე მგვანან სულით, ქცევით, იერით.
ვერმალებიან უმცროს-უფროსებს,
თავს გრძნობენ მუდამ მიუსაფრებად,
მოცლილობისას უყვართ სუფრაზე
განავარდება, ანუ გაფრენა.
ოი, რამდენჯერ ღვინით გალეშილთ
აურევიათ ქუჩა-შუკები,
დაწანწალობენ სადღაც ქალებში
და ყველა ქალი უყვართ უკლებლივ.
სხვა მხრივ კი თითქოს ბედს არ ვემდური,
ვცოცხლობ მათთვის და მათი იმედით,
ბედნიერი ვარ თუ უბედური
მათ გამო, ცოცხალ მამას ვინ მეტყვის.
მაინც იმედით ვუმზერ მომავალს,
ისევ მათ გამო, მათი მიზეზით.
ნუ გამამტყუნებთ, რა ვქნა, მამა ვარ,
როგორც გამზარდეს, შვილებს ისე ვზრდი.

### შური

ამ საუკუნის დასალიერთან
რამდენი ვინმე გასალიერდა.
ხაწამლავსა და დროს არ იშურებს
მოშურნე შავად მოშარიშურე.
ჩემს მოშურნეებს (თუ მყავს) არ ვერჩი,
შურთ ნიამორის თხების არვეში.
მოშურნევ, მხარზე გკოცნი მმასავით,
დამისხი ღვინო შხამით ნაზავი!
ჩემი ღმერთი ხარ დასაფიცარი
და ნიამორად რახან მიცანი,
შენს სადღეგრძელოს დიდი ჩაფით ვსვამ,
ეს შხამი მიჯობს გვირგვინს დაფნისა.
ო, შემოქმედის მუზავ, ძლიერო,
რა იქნებოდი უსალიეროდ!

### აფხაზეთს

თუკი ბრძოლის ველზე
მივიცვლები უცებ,
ჩემს ღორღიან ლექსებს
დამაყრიან გულზე,
შენს ცას მომაისეს
დაუთმობენ მსტოვარს,
აფხაზეთო, ისევ
დამიძახე, მოვალ!

### ბოჰემა

წამოენთება როცა
აღმოსავლეთი შორით,
ბაგიდან მომწყვეტს კოცნას
ცა მოციქულთა სწორი.
და სინანულით ამცრის
ღამენათევლს და დღებნელს.
ჩემი ბოჰემის აზრი
უაზრობაში მებნეთ.
სიცოცხლის მილ-ღვიძილი
უახლოვდება დუმილს,
ვიცი, დამღუპავს ღვინო
გემოწმინდა და შუში.
ხევდით ვიგონებ განვლილ
დღეებს ნეტარი კვნესის,
ვიცი, დამღუპავს ქალი,
ღვინოზე უღვინესი,
მაგრამ ვპოულობ უცებ
დაღუპვის მთავარ მიზეზს —
ვიცი, დამღუპავს...
თუმცა,
დაღუპული ვარ ისეც...

### კახეთი

კერას წითლად ანათებს
წმინდა ალი წალმების,
უსამველოდ ხანატრელ კახეთს მივესალმები.
მტერთან დაურიდალს და
მოკეთესთან მორიდალს
და სულსპეტაკს, ვითარცა
ნიავს ცივგომბორიდან.
კახეთს მივესალმები მთვრალი ამ ლამაზი ცით,
მტრის წინ დაუჩოქებელს,
დამჩოქებელს ვაზის წინ.
ვინ ჩაუდგა ტიტანთა ღონე შორი მითიდან,
იმდენ მტერს ვით იტანდა,
ამდენ სტუმარს ვით იტანს.
ჟამით გაუნელებელ სიყვარულად ვიტვირთებ
დურუჯისპირს დურაჯთა
მოდარაჯედ მიჯრილ მთებს,
მზერას მოვაჭრევვინებ კახურ მოჩახჩახე მზეს
და თბილისურ ღამეებს
ფიქრში გავლევ კახეთზე.

### მარტოსული ქალბატონი

ხევდით იგონებს თავის ცისფერ წლებს
და სიყვარულის იწილ-ბიწილოს.
როგორ არ შვენის ღრუბელს სიბერწე,
თუ ღრუბელია, უნდა იწვიმოს.
ჰგონია, მზისკენ მიჰყავს ბორიოს,
მზისკენ, რომელიც ერთხელ ესიზმრა.
თეთრო ღრუბელო, მზემდე შორია
და ჩემამდეა უმოკლესი გზა.
ჩამოდი, ნისლად შემომეხვიე,
გზებზე მატარე ხელის ცეცებით,
ჯერ ამითრთოლე სუნთქვა ვერხვივით,
მერე არ ვნაღვლობ, თუ დავეცემი.
შემომეტმასნე ისე, უბე რომ
გამევსოს შენი ცრემლით, ამოთი,
საით მიდიხარ, თეთრო ღრუბელო,
მზემდე შორია, ჩემთან ჩამოდი.

### თავისუფლება

შემოვიტმასნი ჯინსებს,
ხან სად ვილოთებ, ხან სად,
წავალ და ცოლის ჯინზე
ჩავეხუტები ხასას.
არ მეჩქარება არსად,
გავყვები ქართა ლივლივს,
დავხარჯავ ბოლო ლარსაც
და ღრუბელივით ვივლი.
ყოფნა-არყოფნის მივხვდი
მუღამს და თანაც რა დროს!
ვეთამაშები სიკვდილს
და უკვდავებას ვნატრობ.
მაშუქებს ლურჯი სხივი
კავკასიონის მთების,
ჩემი კოშკიდან ვყივი,
ჩემი კოშკიდან ვხტები
და ხელს არავინ მიშლის,
მე კი მინდოდა სხვა რამ,
თავისუფლების, გიჟის,
მიუწვდომლობა მზარავს.
გიჟის სიგიჟე მიყვარს
და მოღეღილი უბე,
რადგან სიგიჟის მიღმა
გენიალობა სუფევს.
იგი ყველაფერს ხედავს,
იგი არ ჩხიბავს ლექსებს,
მიწიერობის სევდა
ვისაც ჰკიდია ნეკზე.
მე კი ამ მიწას ვერ ვთმობ
და ქარს ვერ ვიდგამ ფრთებში...
ნუ გამაგიჟებ, ღმერთო,
ნურც მოშურნეებს შეშლი.

## კურიოზები

კაკო პლეხანოვის გამზირზე, №111-ში ცხოვრობდა. ოთხოთახიან ბინაში ორი ოთახი ეკავა, მეორე ორ ოთახში ცნობილი ქართველი დასტაქრის ნიკოლოზ კახიანის ვაჟი, ასევე ცნობილი პროფესორის საული კახიანის ოჯახი ცხოვრობდა. ორივე ოჯახს საერთო ჰქონდა დერეფანი, სამზარეულო, ტუალეტი, აბაზანა. ასეთი რთული პირობების მიუხედავად, მათ ოჯახებს ძალზე თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ერთ მშვენიერ დღეს კახიანებმა ახალი, იზოლირებული ბინა მიიღეს. კაკოს გვერდით ორი ოთახი გამოთავისუფლდა და, რაც მთავარია, უკონკურენტოდ დარჩათ... ტუალეტი. მრავალი წლის შემდეგ, როგორც იქნა, ეღირსათ კვანტალიანებს იზოლირებული ბინა. დამშვიდებული კაკო დარწმუნებული იყო, რომ იმ ორ ოთახს მას მისცემდნენ, მაგრამ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, გამოჩნდნენ პლეხანოვზე ცხოვრების მოსურნე ჯიბესქელი ადამიანები, რომლებმაც გამოთავისუფლებული ორი ოთახის ხელში ჩაგდება მოინდომეს. მართლაც ფულს დიდი წონა აქვსო, რომ იტყვიან, და სასწორი, ორი ოთახით, მათკენ გადაიხარა. კაკოს არც ფული და არც ქონება გააჩნდა. მისი ქონება ხალხის სიყვარული და პატივისცემა, აღიარება იყო. კაკომ გადაწყვიტა თავისი ავტორიტეტი გამოეყენებინა და ბინის მიღების საკითხი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, მის თავმჯდომარესთან ა. მელაძესთან გაერკვია.

მივიდა მელაძესთან, რომელმაც მოუსმინა აღელვებულ კაკო კვანტალიანს, დაამშვიდა და შეჰპირდა: „მაგ ოთახში, შენი ოჯახის გარდა, სხვა ვერავინ შევაო". პასუხით ნასიამოვნები კაკო ღიღინით გამოვიდა თავმჯდომარის კაბინეტიდან. მაგრამ, ფულის ეშხით დაბრმავებული „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" ჩაერივნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში და კაკო კვლავ მიადგა ა. მელაძის კაბინეტის კარს. მოსაცდელში უამრავი ხალხი იდგა და ელოდა თავის რიგს. კაკომ სთხოვა მათ, რომ ა. მელაძესთან ურიგოდ არ შევიდოდა, მხოლოდ კარიდან შეხედვის ნება მიეცათ. თანხმობის მიღების შემდეგ, კაკომ გამოაღო კაბინეტის კარი და ოთახში შეიჭყიტა. ეს ისე ბუნებრივად და იუმორით გამოუვიდა, რომ მოსაცდელში მყოფებმა სიცილი ვერ შეიკავეს. ამის დანახვაზე ა. მელაძესაც გაეცინა და კარში თავშეყოფილ, სასაცილო პოზაში მდგარ კაკოს მიაძახა: „მახსოვს, ბატონო კაკო, მახსოვსო". კაკომ, იმავე წამს გამოიხურა კაბინეტის კარები და დამშვიდებული გაემართა თეატრისაკენ.

გავიდა რამდენიმე თვე, არ დაადგა საშველი იმ ორი ოთახის მიღებას. კაკომ ბევრჯერ გაიმეორა ა. მელაძის კაბინეტში შეჭვრეტის თავისებური მეთოდი და ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი: „მახსოვს, ბატონო კაკო, მახსოვსო" – ესმოდა. მორიგი, მეასედ კაბინეტში შეჭვრეტის შემდეგ, იგივე პასუხის „მახსოვს, მახსოვსო", მოსმენის შემდეგ, მართლაც გადაირია კაკო, გულმოსულმა თავი ველარ შეიკავა და თავმჯდომარეს კარიდან გულმოსულმა მიაძახა:

– „კაცო, მე აქ ბინის სათხოვნელად დავდივარ, ჩემ დანახვაზე „მახსოვს, მახსოვსო", რომ გაიძახი, „აიდოსტს" კი არ გეთამაშებიო" და კარები მიუჯახუნა.

მეორე დღეს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, კვანტალიანს ბინის მიღების ორდერი ჩააბარეს.

* * *

კაკო კვანტალიანი თბილისის „დინამოს" და საერთოდ, ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარი იყო. ასევე ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული იყო მისი ცოლისდა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის პედაგოგი, ქალბატონი როზა ჭიპაშვილი. ეს ტანდემი არც ერთ საფეხბურთო მატჩს არ აცდენდა, დუბლიორთა მატჩებზეც დადიოდნენ. ზეპირად იცოდნენ ორივე შემადგენლობის ფეხბურთელების დადებითი და უარყოფითი მხარეები. კარგად ერკვეოდნენ ფეხბურთის ტაქტიკაში, არჩევდნენ განვლილ მატჩებს, აანალიზებდნენ მოგებისა და წაგების მიზეზებს. ცუდი, მიკერძოებული მსაჯობისთვის არ ერიდებოდნენ მათ ხმამაღლა ლანძღვა-გინებას. მოკლედ, მაგარი „ფანები" იყვნენ.

# კაკი კვანტალიანი



ქართული ფეხბურთის იმ „ოქროს ხანაში" სტადიონზე მოხვედრა და შესასვლელი ბილეთების შოვნა ძნელი იყო, რადგან თბილისის „დინამო" მაღალი კლასის, საერთაშორისო დონის ფეხბურთს თამაშობდა. „სოლისტებად" კი საუკეთესო ვარსკვლავები ჰყავდა. სტადიონზე მოხვედრის მსურველი სჭარბობდა ტრიბუნების ტევადობას. კაკოს და მის ცოლისდას ბილეთებით მამაჩემი, თბილისის სპორტკომიტეტის ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი, ვასო კვანტალიანი ამარაგებდა.

ერთხელაც, თბილისში, „დინამოს" მოსკოვის „სპარტაკთან" მეტად პრინციპული მატჩი ჰქონდა. მამაჩემმა, როგორც ყოველთვის, ორი ბილეთი გაუგზავნა თავის ძმას. იმ პერიოდში, სტადიონზე წასვლის წინ, თავისებური რიტუალი სრულდებოდა. საოცარი საზეიმო განწყობა სუფევდა, ფეხბურთის დაწყებამდე ხალხი ორი-სამი საათით ადრე იწყებდა მომზადებას. გაპარსულები, გალამაზებულნი, იღლიაში გაზეთამოჩრილები, ტაატით მიემართებოდნენ ზეიმის სანახავად. ადრე მისულები ეცნობოდნენ გვერდით მჯდომ გულშემატკივრებს და დიდი ხნის ნაცნობებივით შეხმატკბილებულად საუბრობდნენ მომავალ მატჩზე.

იღლიაში გაზეთებამოჩრილი კაკო როზასთან ერთად სახლიდან გასვლას აპირებდა. უეცრად მისი მცირეწლოვანი შვილები ჯუნა (გელა) და ქეთინო გამოეტირნენ, ჩვენც წაგვიყვანეთო. კაკო უხსნიდა ბავშვებს, რომ დღეს სტადიონზე უამრავი ხალხი მოიყრიდა თავს და ისინი თავისუფლად ვერ დასხდებოდნენ, შეწუხდებოდნენ. ბავშვებმა თავისი გაიტანეს.

გაბრაზებული კაკო ხელიხელჩაკიდებული შვილებით გაუყვა სტადიონისაკენ. უკან კი ქოთქოთით მოსდევდა ზორბა ტანის ცოლისდა. კინოსტუდიასთან, პლეხანოვზე, მილიციის კორდონს გზა გადაეკეტა და უბილეთო მგზავრებს, რომლებიც მრავლად იყვნენ, სტადიონისაკენ არ უშვებდა. კაკოს ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა, ამიტომ, ბილეთები პირით ეკავა და მიაფრიალებდა. უბილეთო გულშემატკივრებმა იცნეს პირში ბილეთებგამოჩრილი კაკო და მივარდნენ მასთან, მუდარით სთხოვეს – „ზედმეტი ხომ არა გაქვთ, ბატონო კაკო?" კაკომ გაუშვა შვილებს ხელი, გამოიღო პირიდან ბილეთები და... „ზედმეტი, ეს ბავშვები არიან, ხელს მიშლიანო", მიუყარა შვილები უბილეთო, გაოგნებულ გულშემატკივრებს და როზასთან ერთად სტადიონისაკენ გაემართა. დროზე მოვიდნენ გონს უბილეთო გულშემატკივრები და სიცილით უკან დაედევნენ ენერგიული ნაბიჯებით მიმავალ კაკოს. „არა, ბატონო კაკო, ბავშვები კი არა, ზედმეტი ბილეთი გვინდაო" და ეშმაკურად მომღიმარ კაკოს ბავშვები უკან მიუბრუნეს.

კურიოზები შეკრიბა
**ჯემალ კვანტალიანმა**

გამოცა

# სათვისტომოებს შორის ერთობისა და ნდობის ზრდისათვის

## თბილისის ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციები

2000 წლის დასაწყისში პოლიტოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ორი სამეცნიერო ცენტრის გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამ ფაქტს წინ უძღოდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულება: „საქართველოში პოლიტიკურ მეცნიერებათა და კვლევისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

პოლიტოლოგიის ინსტიტუტმა უკვე გამოსცა თავის ნაშრომთა პირველი კრებული **„თბილისის ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციები“.**




კრებული მკითხველებს აცნობს საქართველოში, კერძოდ, თბილისში მოქმედ სათვისტომოთა და მსგავსი ორიენტაციის მქონე ორგანიზაციის სტუქტურას, მიზნებს, მოღვაწეობის სფეროს. ის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სათვისტომოებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებასა და ურთიერთნდობის ფაქტორის ზრდას. სათვისტომოების დაახლოება ხელსაყრელ წინაპირობას შექმნის მათ შორის უნდობლობის ყინულის ლღობასა და სამოქალაქო, ანუ, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

სწორედ დემოკრატიაა კარჩაკეტილობისა და, აქედან გამომდინარე, უნდობლობის ხსნის გზა. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის ობიექტური, სრული ინფორმაციის მიწოდებას, სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურება ეს კრებული.

საუბრობს რა ყოველივე ამაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვაჟა კეშელავა, კრებულის შესავალშივე იმასაც სთხოვს დაინტერესებულ მკითხველებს, პოლიტოლოგიის ინსტიტუტს და კრებულის შემდგენლებს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები, რომელიც ცნობარის ხელახლა გამოცემისას იქნება გათვალისწინებული; ასევე საყურადღებო იქნება მათი წინადადებები სხვა მსგავსი საინფორმაციო კრებულების მომზადებისათვის.

მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ამ კრებულში რომელი ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებია დასახელებული. კრებულში მათთან ერთად თითოეული მათგანის მისამართებიც არის მითითებული.

პოლიტოლოგიის ინსტიტუტს, აგრეთვე, შეგროვებული აქვს სოციოლოგიური კვლევის მონაცემები, რომლებიც ამგვარი ორგანიზაციებისადმი თვით ეროვნულ უმცირესობათა დამოკიდებულებას ასახავენ.

განსჯისათვის კრებული და სოციოლოგიური მონაცემები, უთუოდ საინტერესო მასალებს მიაწვდის სპეციალისტებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

კრებული დღეისათვის მეტად საჭირო ანალოგიური გამოცემების უმთავრეს ფუნქციას შეასრულებს, რათა წინ აღუდგეს დახურული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კარჩაკეტილობას და ხელი შეუწყოს სათვისტომოებს შორის ერთობისა და ნდობის ფაქტორის ზრდას, მათ დაახლოებას, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი მექანიზმია ქვეყანაში სტაბილურობის საბოლოო დამყარებისათვის.

კრებული მოამზადეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა გია გიქიმყრელმა, ია გლურჯიძემ, ნონა ღუმბაძემ, მედეა თათულაშვილმა, დალი სუხიშვილმა, ნანა ჩახავამ, ლალი ჩიქვინიძემ, დემი ჩხიკვიშვილმა, ჯიმშერ წოწონავამ, ხათუნა ჭიჭინაძემ ედუარდ პეტროსიანის ხელმძღვანელობით. კრებულის ლიტერატურული რედაქტორია ნელი ოქრუაშვილი, რედაქტორია ნელი გურგენიძე.

**ნათელა ფაილოძე.**

# პოეტის სული კი დარჩა...

არჩილ კიტოშვილი – ადამ ბობღიაშვილის თანამებრძოლი და „სამანელთა“ აქტიური წევრი, კომუნისტური დიქტატურის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. იგი 1943 წელს ოცი წლისა დახვრიტეს თბილისში.

შეთქმულთა ჯგუფი, რომელშიც თანამოაზრეები – ადამ ბობღიაშვილი და არჩილ კიტოშვილი შედიოდნენ, თუშეთის ტერიტორიაზე „სამანის“ სახელწოდებით მოქმედებდა. არსებული საბჭოური ხელისუფლების დამხობისათვის და საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები და პატრიოტი ვაჟკაცები სუკის მესვეურთა ბრძანებით მოღალატე თუშებმა გასცეს და ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ იმედიძე და დევანოზ ამირანიძე იქვე დახვრიტეს; ესეც არ აკმარეს და მერე თავები დააჭრეს. ზოგიერთები კი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იყო არჩილ კიტოშვილიც.

არჩილის პიროვნების შესახებ საინტერესო წერილს გვთავაზობენ ბატონი კოტე ჭრელაშვილი და როსტომ ჩხეიძე, რომელთა ინიციატივითა და წინასიტყვაობით გამოვიდა უდროოდ დაღუპული ჭაბუკის პოეტური კრებული: „რას ფიქრობ, ნისლო ტიალო...“ როგორც ბატონი კოტე კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ლექსების კრებული უფრო ღრმად ჩაგვახედებს პოეტის ბობოქარი სულის სამყაროში, რომლის ტრაგიკული სიკვდილიც ქართული პოეტური ხელოვნების მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისია.

... ლექსები კი დარჩა, დარჩა პოეტის სული, რომელიც ვერც დრომ წაშალა და ვერც სასიკვდილოდ დამიზნებულმა ტყვიამ. ეს ლექსები ხელიდან ხელში, თაობიდან თაობაში გადადიოდა – იზეპირებდნენ, იწერდნენ, მღეროდნენ. ამ პატარა კრებულში წარმოდგენილი ქმნილებები თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ქართულ პოეტურ მემკვიდრეობაში.




**იზა ჯაჭვაძე.**

კროსვორდი




**თარაზულად:** 1. ევროპელების მიერ შერქმეული ამერიკელების (აშშ-ის მკვიდრთა) მეტსახელი. 3. ტარზე დაგებული ბალნისა ან ჯაგრის კონა რისამე წასასმელად. 5. საბერძნეთის დედაქალაქი. 7. დასავლეთევროპულ მითოლოგიაში მახინჯი ქონდრისკაცი, რომელიც იცავს მიწისქვეშა სიმდიდრეს. 9. წელთაღრიცხვის სისტემა. 11. მშვილდით სასროლი ჯოხი. 12. ქიმიური ელემენტი, უფერული გაზი, ჰაერის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. 13. მანძილი, შუალედი ორ ვერტიკალურ ხაზს შორის ტაბულებში, საკონტროლო დავთრებში და სხვ. 15. ზღაპრული შინაარსის იგავი. 17. რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება. 18. მოკლე ალეგორიული მოთხრობა. 19. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 20. ქვეყანა აღმ. აზიაში. 22. თხრობით, გაულექსავი ლიტერატურა. 24. საკრავი, რომელზედაც სრულდება წამყვანი პარტია ანსამბლში. 26. მთვარის შესატყვისი ტიტული ჟღმოსავლეთ მაჰმადიანურ ქვეყნებში. 27. სოფელი ამბროლაურის რაიონში. 28. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა. 30. სპორტული ცურვის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა. 32. სოფელი ოჩამჩირის რაიონში. 33. ტბა ჩინეთის ჩრდ. ნაწილში. 34. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება. 35. ქალაქი ირანში. 36. მოლოდინი, რწმენა.

**შვეულად:** 1. ჩინეთის ფულის ერთეული. 2. აზიის სახელმწიფო. 3. საინჟინრო ნაგებობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული ღერებისა და ძელებისაგან. 4. გარკვეული წესით დამუშავებული ტყავი, რომლებისგანაც კერავენ სამხედრო ან სამუშაო ფეხსაცმელს, ჩექმებს და სხვ. 5. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 6. მდინარის, ტბის პირებზე გავრცელებული მცენარე ისრის მოყვანილობისა. 7. მოწინააღმდეგის ხელის გაკავება ჭიდაობაში. 8. მდინარე საფრანგეთის სამხ. აღმ. ნაწილში. 9. ხის საჭრისი, რომელსაც მოქანდაკეები იყენებენ თიხისაგან, პლასტილინისაგან რისამე ძერწვისას. 10. ორმარცვლიანი მუხლი ანტიკურ ლექსთწყობაში, რომლის პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე – გრძელი. 13. ძველებური ინგლისური ოქროს ფული. 14. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში. 15. მტაცებელი ცხოველი. 16. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით. 20. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. 21. სიყვარულის ღვთაება. 22. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. 23. ხელოვნური საშენი ქვა. 24. პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) ერთობლიობა. 25. გამჭირვალე ნაქსოვი, ნაქარგი. 28. გულამოჭრილი სერთუკი, რომელსაც უკან გრძელი და ვიწრო კალთები აქვს. 29. მცენარე, ისხამს წვრილმარცვლოვან ნაყოფს. 30. მაღალხარისხოვანი მიწა. 31. რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

## 2-3 სექტემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. კომპენსაცია. 8. აქსესუარი. 9. ბალტიმორი. 13. ამალა. 14. აზიმუტი. 15. აპლომბი. 16. ფეტრი. 18. კვიპროსი. 19. პაპანინი. 23. იზერი. 26. დადიანი. 27. ხოინარი. 28. ბრასი. 30. დილეტანტი. 31. ლაბრადორი. 32. ბიბლიომანია.

**შვეულად:** 1. დოკუმენტი. 2. ოპერეტა. 3. მაზანდა. 4. ჩიხტიკოპი. 6. ექსტაზი. 7. ყრილობა. 10. სტარტი. 11. თუმანიშვილი. 12. ასორტიმენტი. 16. ფისკი. 17. ირანი. 20. ლებანი. 21. პაროდია. 22. ანჯაფარიძე. 24. ბომბარდირი. 25. კრატერი. 28. ბასტილია. 29. იერალაში.

ტკივილი



# ან ვის ახსოვდა დედისერთობა...

ძალიან გვიჭირს ახლა წერა. არადა, მსგავსი შინაარსის მასალა არაერთი გამოგვიქვეყნებია ადრე. თურმე, ზოგჯერ წერა კი არა, ფიქრიც ძნელდება და სწორედ ფიქრის უნარი დავკარგეთ თითქოს, როცა კახაბერ ხველელიძეზე ვწერთ.

კახას ცხოვრება, მართლაც, სამაგალითოდ უნდა გაიხადოს მომდევნო თაობამ. ჭეშმარიტება უძღოდა წინ მის ყოველ ნაბიჯს და კი დასტოვებდა კვალს განათებულს სამშობლოს მოთაყვანე ვაჟკაცი.

26 წლის იყო, „შავნაბადას“ ბატალიონში რომ მივიდა. მასავით ალალ და მამულის დამცველ ახალგაზრდებთან გაიყო ლხინიც და ჭირიც. ახლა ამბობენ, დედისერთა ჭაბუკი მოვალე არ იყო ომში ებრძოლაო. ამის დაწერაც კი გვიმძიმს. იმიტომ, რომ ამ წინადადებით კახას სპეტაკ სულს მივაყენებთ შეურაცხყოფას. საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა და რა მოვალეობაზე იქნებოდა ლაპარაკი კახასნაირ მამულიშვილთან. ან ვის ახსოვდა დედისერთობა. განა დედისერთები ომში არ მიდიოდნენ, სიცოცხლეს არ სწირავდნენ? რამდენი ვიცით ისტორიიდან – შვილებს სიცოცხლეს იმიტომ აძლევდნენ, გმირული სიკვდილი რომ შეძლებოდათ. კახას ზამთარში უწია სოხუმის დამცველთა გვერდით დგომა. ვაი, რომ ვერ გაიმარჯვა ბნელეთზე სინათლემ. ტკივილამდე განიცდიდა ბატალიონის დაზვერვის ოფიცერი მარცხს...

გმირულ სიკვდილში სიცოცხლის ხიბლიაო, – უყვარდა ასეთი თქმა კახას. ეს ხიბლი ამკობდა დათო კონიშვილსაც და შოთა ძაძამიასაც, ედუარდ ძალასანიასაც და ვანო ოთარაშვილსაც. კახაც მათი სულისმიერი ძმა იყო, მათი თანამოაზრე, მათი ჭირ-ვარამის მოწილე. აკი, ომშიც ერთად წავიდნენ. ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ, ერთმანეთს უფრთხილდებოდნენ. საქართველოს ძირძველ მიწაზე, კინდღთან, ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში, ერთმანეთის მიყოლებით დაეცნენ ბიჭები, იმ ქვეყნადაც ერთად წავიდნენ.

**იზოლდა თავართქილაძე,**
**რეზო ფორჩხიძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 245-246. კვირა-ორშაბათი, 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

# განცხადება

## ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით საბურთალოს რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვების პროდუქტების შესყიდვაზე

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილება აცხადებს ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერს 2000 წლის 1 ოქტომბრიდან 2001 წლის 1 სექტემბრამდე.

16 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 1800 აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგება:

– მძღოლ-ექსპედიტორის მეშვეობით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მაღალი ხარისხის კვების პროდუქტებით მომარაგება;

– სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პურით მომარაგება უნდა მოხდეს ყოველდღე, რაც შეეხება კვების დანარჩენი პროდუქტებით მომარაგების პერიოდულობას, მოხდება მოთხოვნის შესაბამისად;

– საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში მოხდება განცხადების გამოქვეყნებიდან 18 კალენდარული დღის ვადაში;

– ყოველ პრეტენდენტს აქვს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება.

განმცხადებელმა კვალიფიკაციის გასავლელად უნდა დააკმაყოფილოს ყველა საკვალიფიკაციო მოთხოვნა, რისთვისაც უნდა წარმოადგინოს შემდეგი მონაცემები:

ა) ცნობები შემდეგის მესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით:

– ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა, რომ მის მიმართ არ წარმოებს საქმე გაკოტრების ან სანქციის შესახებ;

– ცნობა, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

– ცნობა, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი;

– ცნობა, რომ შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მისი ხელმძღვანელების მიმართ სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

ბ) დასაბუთებული ინფორმაციები შემდეგზე:

– ცნობა, რომ განმცხადებელს გააჩნია ტენდერით შესასყიდი საქონლის (მომსახურების) წარმოების (მოწოდების) ფინანსური, ტექნიკური და შრომითი შესაძლებლობები;

– განმცხადებლის ზოგადი და სპეციფიური გამოცდილების შესახებ;

– მოცემული მომენტისათვის განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

– განმცხადებლის ფინანსური საქმიანობის ანალიზი ბოლო სამი წლის მანძილზე (საგადასახადო ორგანოების მიერ დამოწმებული ბალანსები).

– იმ შემთხვევაში, თუ ტენდერით შესასყიდი საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მოითხოვს ლიცენზირებას, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ლიცენზიის (სერტიფიკატის ან სხვა სახის ნებართვის ასლი).

– საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ;

– კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა;

– საკვალიფიკაციო შერჩევის შემდეგ გამოვლენილ პრეტენდენტს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე.

ტენდერში მონაწილეობისათვის დაწესებული მოსაკრებლის განაკვეთი შეადგენს 500 (ხუთას) ლარს, რომელიც ირიცხება ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის საფინანსო განყოფილება ა/ა 010130803, სს „საქართველოს ბანკი", საბურთალოს ფილიალი, კოდი 220101509.

– საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

– საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს ყ. შარტავას ქ. № 20, საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილებაში.

საკონტაქტო ტელეფონები: 38-80-90; 38-10-23.

# განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

საერთაშორისო ურთიერთობების, ინფორმაციისა და ანალიზის სამმართველოს, ინფორმაციისა და ანალიზის განყოფილების უფროსი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 60 ლარი);

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- *განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:*

– უმაღლესი ეკონომიკური ან ჟურნალისტური განათლება;

– სადაზღვევო კანონმდებლობის ცოდნა;

– ინგლისური ენის ცოდნა;

– კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45. ტელ: 25-34-92.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

# განცხადება

## საქართველოს ეროვნული ბანკი გაცნობებთ, რომ ბანკებში

სს „ვითა ბანკი", შპს „ლომბანკი", სკბ „კობა", კბ „პირამიდა", შპს „სიგმა ბანკი", შპს „იბერია ბანკი", კბ „ელვა", სს „გეობანკი", შპს კბ „ელდორადო", შპს „ინდუსტრია ბანკი", შპს „საინვესტიციო-სავაჭრო ბანკი", სს კბ „ოლიმპი", კბ „საქართველო", სს „ივერთბანკი", სს კბ „აისი", კბ „კოლხიდა", სს „მაგისტრალბანკი", შპს „ჯორჯიანინვესტბანკი", სს „რეკონსტრუქციისა და განვითარების ქართული ბანკი", სს „თბილინტერბანკი", სს „არაგვიბიზნეს ბანკი", სს კბ „ტრანსკავკასია" მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ტელეფონი: 99-03-27.

---

საააქციო საზოგადოება „სოფლმომარაგება" ატყობინებს თავის აქციონერებს, რომ მიმდინარე წლის 28 სექტემბერს 12 საათზე მოწვეულია აქციონერთა საერთო კრება.

22 სექტემბერს დანიშნულია აქციონერთა რეგისტრაცია.

დღის წესრიგი:

1) სსნკ-დან ს/საბჭოს სახელზე შემოსულ წერილზე (წერილთან ერთვის ახსნა-განმარტება) საბჭოს წევრების მიერ გაკეთებული ანალიზისა და შეფასების გაცნობა საერთო კრებისათვის.

2) საერთო კრებამ შეაფასოს და მოახდინოს რეაგირება ზემოხსენებულ ახსნა-განმარტებასა და საჩივარზე.

3) ს/საბჭოს წევრების ხელფასის განსაზღვრა.

---

### ს/ს „ზევსის" აქციონერთა საყურადღებოდ!

2000 წლის 2 ოქტომბერს, 12 საათზე, გაიმართება ს/ს-ის აქციონერთა საერთო კრება. განიხილება შემდეგი საკითხები:

1) გასული სამეურნეო წლის შედეგები;
2) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა.
3) სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.

კრება გაიმართება ს/ს-ის იურიდიულ მისამართზე: თბილისი, ფონიჭალის დასახლება.

დირექტორატი.

## ტელევიზია – კვირა, 10 სექტემბერი

10.00 „მეტრონომი" 11.05 გლობუსი 11.35 ფრანგული პროგრამა 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.35 „კასპერი" 14.10 ზღვარი 14.25 მუსიკალური ოქტაგონი 14.50 ბავშვები, უპირველეს ყოვლისა 15.00 მოამბე 15.15 რეგიონები 15.40 დოკ. პროგრამა 16.25 მულტსერიალი 16.50 ეძიე ქალი 17.10 მეალომანია 17.50 პირველად იყო სიტყვა 18.15 კომუნიკატორი 18.45 მუნდიალი 19.10 ტოტო-ლოტო 19.25 ჩვენი მისამართია 20.25 ეკოდაიჯესტი 20.45 ფორტუნა 21.25 მოსკოვი-თბილისი 21.45 დიდების ზღაპარი 22.10 საქართველო არის ესე 22.35 „ტიტანიკი" 23.00 „დრო და ადამიანები" 23.15 გალა 00.10 ჯემი 00.40 „ტელეფონი დაკავებულია".

19.00 იყო და არა იყო რა 19.30 „საზღვაო პოლიცია" 20.20 ლოტო „ბედი" 20.50 ძველი აფიშა 21.25 შვიდეული 22.15 მე-7 ცა.

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.00 საბავშვო ფილმი 11.30 მუსიკა 11.40 „კოლომბო" 12.10 სიმფსონები 12.30 „წითელი და შავი" 13.15 მხ. ფ. 18.00, 02.10 კურიერი 18.20 „კოლომბო" 19.35 „ქილეტ სპორტი" 20.05 „წითელი და შავი" 21.00 60 წუთი 22.05 „საიდუმლო მასალები" 22.50 მხ. ფ. 02.00 სიმფსონები 02.50 კლასიკა.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 10.35, 19.20, 20.30, 22.25 მუს. ტალღა 09.25 დოკ. ფ. 09.55 სერიალი 10.40, 20.00 დოკ. სერიალი 11.20 მხ. ფ. 12.50 ოვაცია 13.00 „ჩრდილების დიდოსტატი" 19.00 მულტფილმი 21.10 ტელესერიალი 22.00 მხ. ფ. 23.40 „ნოსტალგია" 23.45 მხ. ფ. 01.00 „ოვაცია".

12.00 მხ. ფ. 14.25 „ფეოლა" 15.10 მხ. ფ. 18.00 „მსოფლიო სპორტი" 19.00 მხ. ფ. 20.20 „სოფლის აშიკი" 21.00 „ვარსკვლავები" 22.00 მხ. ფ. 00.00 „ჯაზ-პარნასი".

ევრიკა 10.00 ცისკრის ზარები 10.03 მულტფილმები 10.30 მხ. ფ. 12.15 სპექტაკლი 18.00 ლოცვა 18.03 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორეს ქადაგება 18.15 საეკლესიო კალენდარი 18.30 საუბრები ბიბლიაზე 20.00 საბავშვო გადაცემა „ნიკორა" 20.30 დოკ. ფილმი 21.30 მუსიკალურ-პუბლიცისტური გადაცემა „მონატრება" 22.15 მხ. ფ. 00.00 ლოცვა 00.00 „დაკარგული სამოთხე".

IST 08.00 „ტონიკი" 10.00 „სამიზნეები" 11.45, 13.10, 15.20, 17.15, 20.40, 22.25, 00.35 კლიპ-მიქსი 12.00 მულტფილმი 13.30 „დეივი" 15.40 მხ. ფ. 18.00 მულტფილმები 19.00 მხ. ფ. 20.55 „ჩემი მტრის მტერი" 22.40 მხ. ფ. 00.50 მხ. ფ., დასასრულს ნონ-სტოპი.

№ 245-246. კვირა-ორშაბათი, 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

## ჭადრაკი

**წლეულს ივლისში ქობულეთმა მეოთხედ უმასპინძლა საქართველოს მოსწავლეთა პირველობას (განათლების სამინისტროს ეგიდით) სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთა შორის. ჩემპიონობა მესამედ მოიპოვა სენაკის № 1 სკოლა-გიმნაზიის მეცხრეკლასელმა გიორგი შურღულაიამ.**

**ჭადრაკის თამაში ათი წლისამ ისწავლა მერაბ ჯღამაძის ხელმძღვანელობით, რომელთანაც წელიწადი იმეცადინა, ახლა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა ავარჯიშებს.**

# გიორგი დიდოსტატობაზე ოცნებობს

გიორგი შურღულაიამ პირველად დიდ წარმატებას 1996 წელს მიაღწია. 10 წლის მოჭადრაკემ ქობულეთში განათლების სამინისტროს ეგიდით გამართულ შეჯიბრებაზე თანატოლებთან პაექრობაში პირველი ადგილი დაიკავა. ორი წლის შემდეგ კი 12-წლიანთა საქართველოს პირველობაზე აჯობა ყველას.

– ამ წარმატებამ საშუალება მომცა ჩემს ასაკში მსოფლიო პირველობაზე გამოვსულიყავი ბარსელონაში, – მითხრა გიორგიმ, – 125 მოჭადრაკე იბრძოდა ჩემპიონობისთვის. 3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერთა შორის ვიყავი. მე-4 ტურში ინდოელ პარი კრიშნას შევხვდი. საოცარი ბიჭი იყო – დარბაზში ფეხშიშველი შემოვიდა, თავზე უზარმაზარი ქუდი ეხურა და გამჭვირვალე ხალათი ეცვა. ისეთი შავი იყო, გამერულს ჰგავდა. გაოცებული მივჩერებოდი. ხელი ჩამომართვა, მერე დამეჭყანა და ენა გამომიყო. წიწაკასავით წითელი ენა ჰქონდა. მთელი პარტიის განმავლობაში პარისთვის თვალი არ მომიცილებია. დაბნეული ვთამაშობდი და წავაგე კიდეც. ეს მარცხი ძვირად დამიჯდა. მართალია, ბოლო ექვს ტურში 5 ქულა მოვაგროვე, მაგრამ მედლისთვის მაინც არ მეყო – მე-4 ადგილზე გავედი.



ბარსელონის შემდეგ უსახსრობის გამო გიორგის დიდ ტურნირებში არ უასპარეზია. ეს იყო, რომ 1999-2000 წლებში ქობულეთში მოსწავლეთა პირველობებზე 16-წლიანთა შორის ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი, არადა, თავად ჯერ მხოლოდ 14 წლისაა.

**– საქართველოში ძლიერი მეტოქეები გყავს?**

– როგორ არა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ გოგუაძე, გიორგი სულაშვილი, მერაბ ნიკოლიშვილი, გიგა ყუფარაძე, ნიჭიერი, კარგი ბიჭები არიან.

**– მსმენია, რომ პატარობისას ცეკვაზე დადიოდი...**

– რაც ჭადრაკის თამაში დავიწყე, ცეკვას თავი დავანებე. ახლა უფრო ფეხბურთით ვარ გატაცებული – სკოლის ნაკრებში ვთამაშობ, მინიფეხბურთში რაიონის ჩემპიონებიც კი გავხდით.

**– კითხვა თუ გიყვარს?**

– უფრო სათავგადასავლო მოთხრობებს ვეტანები, იშვიათად – ლექსებს. ჰო, კიდევ ცურვა მიყვარს. ბიჭებთან ერთად მდინარე ტეხურაზე დავდივარ საბანაოდ...

ჩვენს საუბარს გიორგის მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავა შემოესწრო. ნიჭიერი ბიჭია, მუყაითი, მაგრამ რაღ გინდა, უსახსრობის გამო ტურნირებზე ვერ მივდივართ, მარტო ვარჯიშით კი, აბა რა გამოვა, – ნაღვლიანად მითხრა მან.

გამომშვიდობებისას გიორგის რომ ვკითხე, რაზე ოცნებობ-მეთქი, დიდოსტატი მინდა გავხდეო, მიპასუხა. მჯერა, რომ, სიძნელეების მიუხედავად, ახალგაზრდა მოჭადრაკე გიორგი შურღულაია მუყაითი გარჯით ყველა დაბრკოლებას გადალახავს, ცოტას ფულიანი ძიებიც შეეშველებიან (ასეთები კი, ღვთის მადლით, ცოტა როდი გვყავს) და სენაკელი ყმაწვილი ოცნებას აისრულებს.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: გოჩა ტყებუჩავა და მისი მეგირდი გიორგი შურღულაია.**

**ავტორის ფოტო.**

# „სწრაფმა პარტიამ" გადაწყვიტა

უკვე ვიუწყებოდით, რომ ჩინეთის ქალაქ შენიანში გრძელდება მოჭადრაკეთა მსოფლიო თასის გათამაშება. მეოთხედფინალში ქართველმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველი პარტია მოუგო რუს ევგენი ბარეევს, რომელმაც მეორე პარტიაში წონასწორობა აღადგინა. დამატებით პარტიებში უკეთ ითამაშა რუსმა მოჭადრაკემ და ნახევარფინალშიც ის გავიდა, სადაც მისი მეტოქეა ბრაზილიელი ჟილბერტ მილოში. გუშინ მათი პირველი პარტია ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზავდნენ ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ბორის გელფანდი (ისრაელი), ქალებში კი – უკრაინელი ნატალია ჟუკოვა და ვიეტნამელი ხოანგ თხან ტრანი, შველმა პია კრამლინგმა ჩინელ სიუ იუხუას მოუგო.

განმეორებითი შეხვედრები დღეს გაიმართება.

# იმედიანი პრეტენდენტი

*გერმანულ ჟურნალ „როხადეს" კორესპონდენტი დაგობერტ კოლმაიერი ესაუბრა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვლადიმირ კრამნიკს. მოგეხსენებათ, მატჩი მსოფლიო პირველობაზე გარი კასპაროვსა და ვლადიმირ კრამნიკს შორის (თუმცა, მას ფიდე „კერძო ღონისძიებად" თვლის, რომელსაც ნამდვილ მსოფლიო პირველობასთან საერთო არაფერი აქვს) 7 ოქტომბერს იწყება ლონდონში.*

**აი, ნაწყვეტი ამ საუბრიდან.**

**– სად ემზადებით ამ შეჯიბრებისათვის?**

– შინ, მოსკოვში (კრამნიკმა, რომელიც ტუაფსელანაა, ამას წინათ მოსკოვში მიიღო ბინა). გარდა ამისა, მაქვს საშუალება, ჩემს სეკუნდანტებთან ერთად გერმანიაშიც ვივარჯიშო.

**– ვინ არიან თქვენი სეკუნდანტები?**

– ეს სახელმწიფო საიდუმლოება არაა, მაგრამ მაინც ნება მომეცით, მათი გვარები არ დავასახელო. ჩემი მეტოქე ისედაც ბევრ ცნობას მიიღებს მატჩამდე.

**– და მაინც, თქვენი თანაშემწეები რუსი დიდოსტატები იქნებიან?**

– შესაძლებელია, ასეც იყოს.

**– როგორ აფასებთ თქვენს შესაძლებლობებს კასპაროვის წინააღმდეგ?** (ცნობისათვის: ამ შესაძლებლობებს კასპაროვი თავის სასარგებლოდ აფასებს, პროცენტულად 6:4 – **რედ.**).

– ასეთ პროგნოზს როგორ გეტყვით, მე ხომ მოთამაშე ვარ და არა ჟურნალისტი. რიცხვებს ვერ მოვიშველიებ, ვფიქრობ, ყველაფერი უნდა ვიღონო, რომ ეს მატჩი მოვიგო.

**– მაგრამ თქვენ ხომ არა გაქვთ ისეთი სამატჩო გამოცდილება, როგორც კასპაროვს?**

– დიახ, თუმცა, ამას ლონდონში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. ჩვენ ახალ თამაშს ვიწყებთ.

**– დავუშვათ, ეს მატჩი ვადაზე ადრე დამთავრდა (რეგლამენტით, იგი 16 პარტიისაგან შედგება), მიიღებთ მაშინ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში ნოკაუტ-სისტემით ნიუ-დელიში, რომელიც ფიდეს ეგიდით გაიმართება?**

– მართალი გითხრათ, ამაზე არ მიფიქრია. თუ ოფიციალურ მიწვევას მივიღებ, მაშინ გავითვალისწინებ შექმნილ სიტუაციას. ისე კი, ჯერჯერობით ასე შორეული გეგმები არ შემიდგენია.

**– იქნება თუ არა ლონდონის მატჩი თქვენი კარიერის მწვერვალი?**

– დღეისათვის, რა თქმა უნდა, ასე შეიძლება ვიფიქროთ, მაგრამ ჩემი საჭადრაკო კარიერა ხომ ასე მალე არ მთავრდება. მე მშვიდად უნდა შევხვდე კიდევ სხვა მსოფლიო ჩემპიონატებსაც.

**– დღეისათვის ყველაფერი კარგად არის მოწყობილი?**

– მე ვიყავი ლონდონში და დავათვალიერე ის სასტუმრო, სადაც მე და ჩემმა სეკუნდანტებმა უნდა ვიცხოვროთ. კასპაროვის „შტაბი", ცხადია, სხვა სასტუმროში დაბინავდება...

მოამზადა
**გივი თორელმა.**

## ყოველი მხრიდან



### ამერიკის რუსული ჩემპიონატი

2000 წლის აშშ ღია ჩემპიონატი, ალბათ, ისტორიაში შევა, როგორც რუსეთელი ჩოგნის ოსტატების არნახული წარმატების „დიდი მუზარადის" ტურნირი. ნახევარფინალში 5 ჩოგბურთელი მართლაც რომ დიდი ამბავია.

მთავარ მოქმედ პირად რუსეთელთაგან ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მზარდი სპორტსმენი მარატ საფინი (სურათზე), რომელმაც მეოთხედფინალში დაამარცხა გერმანელი კიფერი – 7:5, 4:6, 7:3, 6:3.



### შუმახერი იმედს არ ჰკარგავს

„ფორმულა 1"-ის 51-ე ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ ოთხი რბოლა დარჩა. ფინელი მიკა ჰაკინენი სულ 6-ოდე ქულით უსწრებს გერმანელ მიხაელ შუმახერს. ხვალ კი იტალიის მონცას ტრასაზე სახელგანთქმული მიხაელი (ფოტოზე) კიდევ ერთხელ შეეცდება გადაუსწროს თავის მეტოქეს.



### რონალდო — სამხედრო პარადზე

ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი რონალდო, რომლის საფეხბურთო კარიერა ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, აგრძელებს „საქორწილო გენერლის" როლს. 7 სექტემბერს, ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღეს, რონალდო ქვეყნის პრეზიდენტ ფერნანდო კარდოზოსთან ერთად სამხედრო პარადს დაესწრო.

**სპორტის რედაქცია.**

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზეა სახელმწიფო მოხელე



1



2



3



4

ალბათ, ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობია, რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი **პეტრე მამრაძე** ქართული ათლეტიზმის ერთ-ერთი მესაძირკვლეა და აგერ უკვე საუკუნის მესამედზე მეტია რეგულარულად ვარჯიშობს სიმძიმეებით.

მოკლედ მის შესახებ: დაიბადა 1952 წელს, დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. წლების განმავლობაში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. პარლამენტის წევრია 1992 წლიდან, ხოლო 1995 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო კანცელარიის უფროსია. ათლეტიზმში ვარჯიშობს 1966 წლიდან: მისი სიმაღლეა 175 სმ, წონა – 72 კგ. საუკეთესო მიღწევები: წოლჭიმში 120 კგ. ამოწევაში 195 კგ. ათლეტიზმის გარდა, გატაცებული იყო კრივით, მკლავჭიდით და ჩოგბურთით. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

* * *

*გთავაზობთ წოლჭიმს პეტრე მამრაძის შესრულებით. ვარჯიშს წინ უძღვის საფუძვლიანი გახურება 24 და 32 კგ-იანი გირებით.* ***(სურ. 1, 2).***

წოლჭიმი. ამ რუბრიკის წინა გამოშვებაში ჩვენ განვიხილეთ კოლინზის რკალით აჭიმვა, როდესაც ათლეტი მაქსიმალურად იღრიკება წელში და რკალის ფორმას იღებს. ბატონი პეტრე კი მთელი სხეულით ეყრდნობა ჰორიზონტალურ სკამს, მკერდზე უშვებს წონას და მცირედი შეყოვნების შემდეგ წევს მას ხელებისა და მკერდის ძალით **(სურ. 3, 4).** ამ ვარჯიშს ეთმობა კვირაში 2-3 დღე, 4-6 მისვლითა და თითოეულ მისვლაში 6-8 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, პროფესორი.**

**ნაზი ზოზიშვილის ფოტო.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 245-246. კვირა-ორშაბათი, 10-11 სექტემბერი, 2000 წელი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ეს სურათი 80-იანი წლების მიწურულს ონის სტადიონზე, თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდის სტუმრობისას არის გადაღებული.

წინა პლანზე ლეგენდარულ გარემარბ სლავა მეტრეველთან ერთად აღბეჭდილია მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული პიროვნება, ხელოვნებისა და სპორტის ადგილობრივი ტრფიალი ნესტორ დუმუაშვილი.

ახლახან ბატონ ნესტორს 90 წელი შეუსრულდებოდა.

ფოტო მოგვაწოდა მაყვალა ჯაფარიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ბატონ ჯემალ გახოკიძეს

ჩვენო საყვარელო და სამეგობროში გამორჩეულო, შენი ხალხის ერთგულო კაცო, ნახევარი საუკუნის გადასახედიდან გასცქერი შენი ცხოვრების განვლილ გზას, სიხარულიც ბევრი იწვნიე და, უმეტესწილად, დაუმსახურებელი ტკივილიც, მაგრამ კაცობისთვის, მეგობრობისთვის, და, რაც მთავარია, შენი სამშობლოსთვის, ხალხისთვის არასდროს გიღალატია, სკამსაც ადვილად შელევიხარ, რომ ის მთავარი არ დარღვეულიყო...

ჩვენო ორმოცდაათი წლის ძმაო ჯემალ, გილოცავთ ლამაზ იუბილეს. წინ მრავალი, მრავალი ათეული კიდევ უფრო მშვენიერი წლები გელოდება შენი ძვირფასი ოჯახის, მეგობრებისა და კიდევ უფრო საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყველაზე საუკეთესო სურვილებით,
მანანა და დემურ ლელაძეები.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## ღიმილის დოზა



– მიხო, გავიგე, ცოლი შეგირთავს.
– კი, სამი კვირის წინათ.
– ჯერ კიდევ შეიძლება, მოგილოცოთ.

* * *

ჩუქჩა წერილს უგზავნის რუსეთის რადიოს:
– გამარჯობათ, თუ შეიძლება! გწერთ მეჯოგე ბედირევი, ძალიან მომწონს „მელდენსონის მარში". თუ შეიძლება, ჩართეთ ერთხელ კიდევ ჩემთვის, თანაც მაცნობეთ, ვინ არის მისი ავტორი.

* * *

ექიმი – პაციენტს:
– როგორი მადა გაქვთ?
– ხან მაქვს, ხან არა.
– როდის არა გაქვთ?
– როცა კარგად დავნაყრდები.

* * *

ქმარი – ცოლს ხელფასის დღეს:
– დასავლეთში ასეთ ხელფასზე იცინიან, შენ კი, სულელო, რა გატირებს?

* * *

შეფი – თავის მძღოლს:
– გადამარჩინე, გოგი! წადი სადგურზე, მატარებელს ჩემი სიდედრი ჩამოჰყვება და წამოიყვანე. ორმოც ლარს გადაგიხდი.
– თუ არ ჩამოჰყვა?
– მაშინ ას ლარს მიიღებ.

* * *

– ერთხელ სინდი კროუფორდი ხანძრიდან ხელში აყვანილი გამოვიყვანე. ხელებზე რომ მეწვინა, ასეთი მიმზიდველი, მომხიბვლელი, წყნარად მეუბნება: „რაც გინდა მთხოვე, ჩემო გმირო, შეგისრულებ".
– მერე რა ქენი?
– ავტოგრაფი ვთხოვე.

* * *

არქიმედეს კანონის ბოლო ფორმულირება:
„ორმოცგრადუსიან სითხეში ჩაძირულ სხეულზე არავითარი კანონი არ მოქმედებს".

* * *

მხცოვანი მსახიობი იგონებს:
– მახსოვს, ერთხელ ჰამლეტს მონოლოგის წინ თავის ქალა დაეკარგა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ვერ ვიპოვეთ. ლენინის ბიუსტი შევაჩეჩეთ. სიბნელე იყო, გამოდგა. „რა დიდებული შუბლია... მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი, საკვირველი ხუმარა და მშვენიერი ამბების მომგონი იყო, საწყალი ვოვიკა". მაყურებლები აღტაცებული იყვნენ.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი ქართველი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ნაციონალური ბალეტის ფუძემდებლის
ნინო რამიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

საქართველოს კონტროლის პალატა გულითად მწუხარებას გამოთქვამს ქართული და მსოფლიო ხელოვნების ლეგენდადქცეული კორიფეს
ნინო რამიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე. ქალბატონი **ნინო რამიშვილი** შეუერთდა ზეციურ საქართველოს, მარადიულ საქართველოს, რომლის ნიჭისა და გენის გაბრწყინებასაც წარმოადგენდა მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება.

სამძიმარს ვუცხადებთ ქალბატონ ნინო რამიშვილის ოჯახის წევრებს.

საქართველოს გადამხდელთა კავშირი.

---

განუზომელია ადამიანური სევდა და ტკივილი დაუვიწყარი შემოქმედისა და პიროვნების – ქალბატონ **ნინო რამიშვილის** გარდაცვალების გამო. იგი უდაოდ იყო მეოცე საუკუნის ქართველ ხელოვანთა უბრწყინვალესი პლეადის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, თბილისის ხიბლი და მშვენება, „ქართული გენი როკვით განფენილი".

თანავუგრძნობ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ღრმა პატივისცემით,
ნიკო ლეკიშვილი.

## ხსოვნა

### მარიამ კეკუა



გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **მარიამ გაბრიელის ასული კეკუა.**

მ. კეკუა დაიბადა 1913 წელს. 1935 წლიდან, ამიერკავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა წარმოებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 1941-1952 წლებში პარტიულ სამუშაოზეა.

სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო 1947 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში. 1953 წელს მარიამ კეკუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1953-1962 წლებში მუშაობდა მოსკოვში ა.ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტში.

1962 წელს მ. კეკუა დაბრუნდა საქართველოში და მეტალურგიის ინსტიტუტში მისი ინიციატივით დაარსდა ნახევრადგამტარ მასალათა ლაბორატორია, რომელსაც ის უცვლელად ხელმძღვანელობდა 1989 წლამდე. მ. კეკუა იყო აღიარებული სპეციალისტი ნახევრადგამტარი მასალების, კერძოდ, სილიციუმ-გერმანიუმის მყარი ხსნარების მონო და პოლიკრისტალების მიღებისა და თვისებათა კვლევის საკითხებში. გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ორი მონოგრაფია. მას კარგად იცნობდა საქართველოსა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოება; არჩეული იყო ნიუ-იორკის აკადემიის ნამდვილ წევრად. მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღნიშნული იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.

ქალბატონ მარიამის პრინციპულობამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა, ადამიანებთან კეთილმა დამოკიდებულებამ განაპირობა კოლეგების და მეგობრების დიდი სიყვარული და პატივისცემა.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, კეთილი ადამიანი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულში.

ფ. თავაძის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

---

### ოთარ ჭელიძე



წავიდა ჩვენგან ჩაის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი **ოთარ ნიკოლოზის ძე ჭელიძე.**

ო. ჭელიძე დაიბადა 1929 წელს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წლიდან განაწილებით მუშაობა დაიწყო აფხაზეთში – გუდაუთისა და აჩიგვარის ჩაის ფაბრიკებში სპეციალობის მიხედვით. 1957 წელს მუშაობას იწყებს პურის მრეწველობაში, ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ – სენაკის პურკომბინატში, საიდანაც მალე დააწინაურეს და 17 წლის განმავლობაში იყო ამ კომბინატის დირექტორი. 1976 წელს, როგორც ჩაის დარგის სპეციალისტი, გადაიყვანეს სენაკის სარაიონთაშორისო ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით, 1979 წლიდან მუშაობას იწყებს სახელმწიფო-სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაიში" მთავარ სპეციალისტად და პენსიაზე გასვლამდე მოღვაწეობდა ჩაის მრეწველობის ცენტრალურ აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე.

ყველგან, სადაც მუშაობდა ბატონი ოთარ ჭელიძე, როგორც სპეციალისტმა და ხელმძღვანელმა დატოვა საქმის სიყვარულის, სიახლისადმი მისწრაფების მნიშვნელოვანი კვალი, რამაც ავტორიტეტი შეუქმნა როგორც თავის კოლექტივში, ასევე საზოგადოებაში.

თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში დაჯილდოებული იყო სახელმწიფო მედლებითა და სიგელებით.

ცხოვრებიდან წავიდა ვალმოხდილი, ნათელი პიროვნება, რომლის სახელი არასოდეს წაიშლება მისი ახლობლების, ოჯახის, კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნიდან.

სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაი".

---

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა"

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ ბოზიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი:
380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS–98@CAUCASUS.NET